

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ინგლისური ფილოლოგია

ნათია ვასაძე

პოლიტიკურად კორექტული დისკურსი სახისა და თავაზიანობის
თეორიების თვალსაზრისით
(ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი ნინო დარასელია



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი

2014

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი 1 პოლიტიკურად კორექტული დისკურსის რაობა და ზოგადი ლინგვისტური მახასიათებლები	6
1.1 შესავალი	6
1.1.1 გენდერული სფერო.....	7
1.1.2 ფემინისტური მოძრაობა საქართველოში და გენდერული თანასწორობა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში	10
1.1.3 კონცეპტუალური მეტაფორები და გენდერული უთანასწორობა	13
1.1.4 გენდერული პრობლემა თანამედროვე ინგლისურში	18
1.2 <i>სექსუალურ უმცირესობათა სფერო.....</i>	<i>26</i>
1.2.2 სექსუალური უმცირესობანი და ადამიანის უფლებები.....	33
1.2.3 სექსუალური უმცირესობანი ქართულენოვან დისკურსში	43
1.3 <i>რასობრივი სფერო.....</i>	<i>45</i>
1.4 <i>ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სფერო.....</i>	<i>58</i>
1.5 ინგლისური პოლიტიკურად კორექტული ტერმინების წარმოება ლექსიკური ერთეულის “challenge” გამოყენებით	65
1.5.1 სხვადასხვა	75
I თავის დასკვნა	83
თავი II პოლიტიკური კორექტულობა თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით.....	87
2.1 შესავალი	87
2.2 გენდერული სფერო სახისა და თავაზიანობის სტრატეგიებთან მიმართებაში	92
2.3 სექსუალურ უმცირესობათა სფერო სახისა და თავაზიანობის სტრატეგიებთან მიმართებაში	98
2.4 რასობრივი სფერო სახისა და თავაზიანობის სტრატეგიებთან მიმართებაში	123
2.5 ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სფერო სახისა და თავაზიანობის სტრატეგიებთან მიმართებაში	139
II თავის დასკვნა	146
საერთო დასკვნა	149
გამოყენებული ლიტერატურა	154

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე შეისწავლის პოლიტიკურად კორექტული დისკურსის ლინგვისტურ მახასიათებლებს.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ პოლიტიკური კორექტულობის ფენომენი ნაკლებად არის ლინგვისტურად შესწავლილი.

ნაშრომის მიზანია:

1. შეისწავლოს პოლიტიკური კორექტულობის ფენომენი და მისი შემადგენელი ერთეულები;
2. გააანალიზოს პოლიტიკური კორექტულობის ლინგვისტური რეალიზაცია თანამედროვე ინგლისურსა და ქართულში;
3. განიხილოს პოლიტიკური კორექტულობა სახისა და თავაზიანობის სტრატეგიების თვალსაზრისით.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. პოლიტიკური კორექტულობის შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია მისი შემადგენელი ოთხი ძირითადი სფერო: გენდერული, რასობრივი, სექსუალურ უმცირესობათა, ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა;
2. გამოვლენილია ზემოაღნიშნული სფეროების ლინგვისტური რეალიზაციის თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურსა და ქართულში;
3. პოლიტიკური კორექტულობა შესწავლილია სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის შემდეგი ლინგვისტური მოძღვრებანი: თავაზიანობის თეორია (Brown & Levinson 1990; Scollon & Scollon 2001; Watts 2003; Eelen 2001); ერვინ გოფმანის თეორია სახის შესახებ (Goffman, 1967); კონცეპტუალური მეტაფორის თეორია (Lakoff & Johnson 1980; Goatly 2006). ასევე ნაშრომები სემანტიკაში (Leech 1983).

კვლევისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: დესკრიფციული, შეპირისპირებითი, სიტყვის კომპონენტური ანალიზისა და სტატისტიკური.

ემპირიული მასალა მოიცავს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირ-მეტყველებითი დისკურსის სხვადასხვა ნიმუშს, აგრეთვე სალექსიკონო მასალას. კერძოდ, გამოყენებულია:

მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები: ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობა “The Killers”(1927);ერსკინ კოლდუელის მოთხრობა “Saturday Afternoon”(1930);რალფ ელისონის რომანი “Invisible Man”(1952); ჰარპერ ლის რომანი “To Kill a Mockingbird”(1961).

ინგლისურენოვანი ელექტრონული საინფორმაციო მასალა (2010-2014წწ.): BBC-ის, CNN-ისა და Washington Guardian –ის რეპორტაჟები.

ქართულენოვანი საგაზეთო მასალა (გაანალიზებულია 25 სტატია 2009-2014წწ): ონლაინგაზეთები: “news.ge” ; “24 saati.ge”;ჟურნალი „ტაბულა“; გაზეთები: „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „კვირის ქრონიკა“, „კვირის პალიტრა“.

ინგლისურენოვანი ვიდეორგოლები: განსხვავებული უნარის მქონე ადამიანებზე ორიენტირებული ორგანიზაციის ‘Pro Infirmis’ მიერ განხორციელებული კამპანია სახელწოდებით ‘Because who is perfect? Get Closer’ (2013); მონტერეის ტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების მიერ გავრცელებული ანტიდისკრიმინაციული კამპანია რასიზმის წინააღმდეგ (2009), გენდერული ანტიდისკრიმინაციული ვიდეორგოლი ქალთა ფეხბურთის შესახებ: **“I am a footballer”**(2013).

ქართულენოვანი ვიდეორგოლები: „გათხოვდება და ქმარი მიხედავს”(2013); „ოჯახის რჩენა მაინც კაცის საქმეა” (2013).

ქართულენოვანი დოკუმენტური ფილმი „დედა, მამა, მე ვარ გეი” (2014); მოკლემეტრაჟიანი ფილმი: „ორიენტაციის გამო ადამიანის დევნა მიუღებელია” (2014); დოკუმენტური ფილმი „მე პატარა ქართველი ვარ”(2014).

სატელევიზიო გადაცემები (2011-2014) რუსთავი 2 - ტოქშოუ „პროფილი”; რუსთავი 2 - გადაცემა „პოსტსკრიპტუმი (P.S)”; საზოგადოებრივი მაუწყებელი - ტოქშოუ „პოზიცია”; საზოგადოებრივი მაუწყებელი - გადაცემები „დიალოგი”; „წითელი ზონა”; ტელეარხი კავკასია: გადაცემები - „სპექტრი”; „ობიექტივი” „ღამის სტუდია”; მე-9-ე არხი: გადაცემა „მთავარი კითხვა” .

ინგლისურენოვანი სიმღერები (4 სიმღერა)სინდი ლაუპერის “True Colors” (1986); ქრისტინა აგილერას “Beautiful”(2002); ლედი გაგას “Born this way”(2011);კენია ვესტისა და ჯეი ზის “Niggas In Paris” (2011).

ასევე მასალები სოციალური ქსელიდან “Facebook”; თბილისი ფორუმი (Tbilisi Forum).

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული დირებულება:

ინგლისური და ქართული პოლიტიკურად კორექტული დისკურსის კვლევამ სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით გამოავლინა აღნიშნული ტიპის დისკურსის როგორც ზოგადლინგვისტური მახასიათებლები, ასევე ინგლისური და ქართული ენებისა და კულტურების სპეციფიკით განპირობებული თავისებურებანი.

ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული დასკვნები და ემპირიული მასალის ანალიზის ნიმუშები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისკურსის ანალიზისა და სოციოლინგვისტიკის თეორიულ კურსებში, ასევე პრაქტიკულ სასემინარო მეცადინეობისას.

ნაშრომის სტრუქტურა განსაზღვრა დასახულმა მიზნებმა და ამოცანებმა. ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის (თავი I - „პოლიტიკურად კორექტული დისკურსის რაობა და ზოგადი ლინგვისტური მახასიათებლები“, თავი II – „პოლიტიკური კორექტულობა თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით“), საერთო დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

თავი 1

პოლიტიკურად კორექტული დისკურსის რაობა და ზოგადი ლინგვისტური მახასიათებლები

1.1 შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში ძალზე აქტუალური გახდა პოლიტიკური კორექტულობის ლინგვისტური რეალიზაციის პრობლემა. როგორც ცნობილია, პოლიტიკური კორექტულობა გულისხმობს ვერბალურ ქცევას, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერი სახის ვერბალურ დისკრიმინაციას: რასობრივს, გენდერულს, რელიგიურს თუ პოლიტიკურს: “The principle of avoiding language and behaviour that may offend particular groups of people“ (Oxford Dictionary 2010).

1793 წელს აშშ-ის უმაღლეს სასამართლოში საქმეზე „ჩიშოლმი ჯორჯიის წინააღმდეგ (Chisholm vs. Georgia) დაისვა პოლიტიკური კორექტულობის საკითხი. პროცესზე გაცხადებულ იქნა, რომ ხშირად სიტყვას „სახელმწიფო“ იმ ხალხის მნიშვნელობას ანიჭებენ, რომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვაც ევალება თავად სახელმწიფოს, იგი მის ვალდებულებას წარმოადგენს. სასამართლოზე დაისვა საკითხი, გაესამართლებინათ ადამიანი, რომლის მიერ საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვაში „ამერიკის შეერთებული შტატები“ პოლიტიკურად არაკორექტულად იყო ნახსენები; აღნიშნულ შემთხვევაში ცალსახად უნდა ყოფილიყო ნათქვამი „შეერთებული შტატების ხალხი“ (ინტერნეტწყარო № 1). სწორედ ამ სარჩელიდან გამომდინარე გაჩნდა ტერმინი „პოლიტიკური კორექტულობა“, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ჩვენს ეპოქაში.

აღნიშნული ტერმინი წარმოიშვა ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა რასობრივად და ეთნიკურად მრავალფეროვანია და შესაბამისად, ნაციონალური, კულტურული თუ ეთნიკური საკითხები აქ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. სპეციალური ლიტერატურისა და ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვყავი პოლიტიკური კორექტულობის შემდეგი სფეროები:

- I. გენდერული;
- II. სექსუალურ უმცირესობათა;
- III. რასობრივი;
- IV. ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სფერო.

1.1.1 გენდერული სფერო

გენდერული თანასწორობის პრობლემა აშშ-სა და ევროპაში აქტუალურ ელფერს იძენს XIX საუკუნის მიწურულს. გენდერული თანასწორობა მიზნად ისახავს საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების სრული მონაწილეობის წახალისებას. აქედან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის პრობლემა მიმართულია გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ დასავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ფემინისტური მოძრაობა, რომლის შექმნაც განპირობებული იყო ქალთა უფლებების შელახვით: მღედრობითი სქესის წარმომადგენლების უფლებები მამრობითისგან მკვეთრად განსხვავდებოდა.

ფემინიზმის ერთ-ერთ პოპულარულ განმარტებად მიიჩნევა 1986 წელს ფემინისტური მოძრაობის წარმომადგენლის, მარი შერის, ციტატა: “Feminism is the radical notion that women are people”, რომელსაც დღესდღეობით ხშირად ვხვდებით მაისურებსა თუ პოსტერებზე (ინტერნეტწყარო № 2).

როგორც ცნობილია, ებრაული მითოლოგიის თანახმად, ადამის პირველი მეუღლე იყო ლილიტი; ის XX საუკუნის შუა ხანებამდე მიჩნეული იყო ბავშვების გამტაცებლად და მკვლელად; აგრეთვე, მამაკაცების მაცდუნებელ დემონად. მას შემდეგ, რაც XX საუკუნის 60-იან წლებში ფემინისტური მოძრაობა გახდა აქტუალური, ლილიტზე ჩამოყალიბდა პირველი დამოუკიდებელი ქალის შეხედულება (ინტერნეტწყარო № 3).

ებრაული მითოლოგიის წიგნში რობერტ გრეივის ავტორობით ვხვდებით შემდეგს: „ღმერთმა მეექვსე დღეს შექმნა ქალი და კაცი თავის ხატად და მსგავსად. მაგრამ იმ პერიოდისათვის არ იყო შექმნილი ევა „ყველა სულდგმულის დედა“.

როდესაც 20 წლის ადამი ხედავდა დაწყვილებულ ნადირებს, ითრგუნებოდა, რადგანაც არ ჰყავდა თავისი გულის სწორი. ხედავდა რა ღმერთი ადამის მდგომარეობას, შექმნა პირველი ქალი ლილიტი. მაგრამ ადამსა და ლილიტს შორის მშვიდობა არასდროს სუფევდა. ერთხელ ადამმა ცოლქმრული მოვალეობის შესრულება მოსთხოვა ლილიტს მისიონერულ პოზაში და უნდოდა ძალით შეესრულებინა ლილიტს თავისი მოვალეობა. მაგრამ ლილიტმა მიუგო:

"მე არ დაეწევი შენ ქვემოთ, შენსავით მტერისგან ვარ შექმნილი, შესაბამისად, თანაბარნი ვართ". იმდენად, რამდენადაც ადამს უნდოდა ძალით შეესრულებინა ლილიტს თავისი მოვალეობა, განრისხებულმა ლილიტმა წარმოთქვა ღმერთის სახელი, გაფრინდა და დატოვა ადამი (Graves:2005).

აღნიშნულ მოკლე პასაჟში ვხვდებით გენდერული უთანასწორობის მაგალითს: ლილიტი თავს მიიჩნევდა სრულფასოვან, თანასწორუფლებიან ადამიანად, მაგრამ ურჩობის გამო დაისაჯა, რადგანაც არ შეასრულა ცოლ-ქმრული მოვალეობა. შესაბამისად, ამ ინციდენტის შემდეგ ღმერთმა შექმნა ევა ადამის ნეკნიდან. აღნიშნულ ნარატივში წარმოდგენილია დღევანდელ საზოგადოებაში არსებული ორი სტერეოტიპი ქალთან მიმართებაში: ქალი, რომელიც მორჩილია ქმრისა და მისი თვალთახედვისა, და ქალი, რომელიც პროტესტს გამოხატავს.

საუკუნეების მანძილზე ქალის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება აისახება ინგლისურ და ქართულენოვან ანდაზებში. საქართველოში ქალს ძირითადად განიხილავენ თავისი სექსუალურობის და არა გონებრივი შესაძლებლობის თვალსაზრით, რაც დასტურდება ქართულ ანდაზებში; მათში ქალისადმი დამოკიდებულება უარყოფითია (ქართული ანდაზები: 1965; სონღულაშვილი:1991):

- „ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო“
- „ქალს თმა გრძელი აქვს, ჭკუა კი, მოკლე“
- „ქალის ჭკუა ბარდის ფურცელზე იდო და ისიც თხას მოუკუნეტიაო“.
- „ქალს ცხრა კეხი აქვს, ერთის შედგმა თუ მოგასწრო ზურგზე, მერე ყველას შეგადგამსო“.
- „ქალის ჭკუა მაყვლისს ტოტზე იჯდა, მივიდა თხა და მოკორტნაო“.

საინტერესოა 1988 წელს გამოცემული ქართული ხალხური მახვილსიტყვაობის ერთ-ერთი სატირულ-იუმორისტული პასაჟი სახელწოდებით „აბა, რაზე ტიროდნენ?“ (ჯანაგა:1988).

„ერთი ყმაწვილი ქალი იყო, წყალზე წავიდა წყლის მოსატანად, წყლის პირას დაჯდა ხის ძირში. იფიქრა: მე რომ გავთხოვდე, შვილი მომეცემა, წყალზე ჩამოვა, ამ ხეზე ავა, ხიდან რომ ჩამოვარდეს, ამ წყალში ჩავარდება და დაიხრჩობაო. დაიწყო ტირილი. ამასობაში დედაც აქ მოვიდა. შვილს ჰკითხა: - რა გატირებსო? ესა და ეს ამბავი მატირებსო, შვილიშვილი რომ დაგეხრჩობა,

ბებიას ვიღა დაგიძახებო. ეხლა დედაც მოჰყვა ტირილს. მოვიდა ქალიშვილის მამაც. რა გატირებთო, -იკითხა კაცმა. –ასე და ასეა ჩვენი საქმე, ბავშვი ხიდან რომ ჩამოვარდეს, აგერ წყალში ჩავარდება, დაიხრჩობა და პაპას ვიღა დაგიძახებო.

კაცმა მოტირლებს უთხრა: დაიცათ, ამ ტოტს მოგტეხავ, ყმაწვილი რომ არ ავიდესო. მოტეხა ტოტი და ურტყა და ურტყა ცოლსა და ქალიშვილს”.

აღნიშნულ მოკლე მოთხრობაში, რომელიც გათვლილია მოზარდებისთვის, ვხვდებით ქალის სენტიმენტალიზმს და აურზაურს არაფრის გამო, რომელიც სრულდება ოჯახური ძალადობით, რომელშიც განრისხებული მამა ცოლ-შვილს უმკლავდება ცემით.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულია შემდეგი სტერეოტიპები: მამაკაცი ოჯახის მარჩენალია, ქალი კი, დიასახლისი, მისი ადგილი სახლშია, მას ევალება ოჯახის მოვლა. ქალთა მომართ დამოკიდებულება ნათლად ჩანს შემდეგ ოპოზიციურ წყვილში: სუსტი სქესის წარმომადგენელი vs ძლიერი სქესის წარმომადგენელი.

რაც შეეხება ინგლისურენოვან ანდაზებს, საყურადღებოა ანდაზათა კრებული: “American Proverbs about Women (Kerschen 1998)”, რომელიც მხოლოდ ქალებზე არსებულ ანდაზებს მოიცავს. ქვემოთ მოყვანილი ანდაზები ასახავს ქალისადმი უარყოფით, დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას. აღნიშნულ შემთხვევაში ქალი წარმოდგენილია, როგორც უსუსური, უგუნური, ხიფათის მომტანი არსება. ისმის მოწოდება ქალის მიმართ ძალადობისკენ. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ანდაზებში პროპოზიციის დონეზე აისახება ზემოხსენებულ საზოგადოებებში აღნიშნული სტერეოტიპები ქალთან მიმართებაში:

- “If you marry a beautiful blonde, you marry trouble”
- “The most fascinating women never make the best marriages”.
- “All women are good; good for something or good for nothing”.
- “The fewer the women, the less the trouble”.
- “Women and their wills are dangerous ills”.
- “Women have no souls”.
- “Among 100 men, I have found one good one; among 100 women, not one”.

- “The men and dogs for the barn, the women and cats for the kitchen”.
- “Women, like gongs, should be beaten regularly”.
- “Women are necessary evils”.
- ”Women have no rank”.

1.1.2 ფემინისტური მოძრაობა საქართველოში და გენდერული თანასწორობა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში

ზემოთქმულთან მიმართებაში საყურადღებოა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც დაცულია ქალთა უფლებები:

მუხლი 39: ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკური ისე სამოქალაქო, ეკონომიკური და საოჯახო უფლებით.


მუხლი 46. საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეული დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულწლოვანი მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

მუხლი 124: ...მოზარდთა და საზოგადოდ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 126. განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში: მუშა ქალი მშობიარობის დროს არანაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად. დამქირავეებს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსაველად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები (1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია: 2009).

დასავლეთში ფემინისტური მოძრაობის განმაპირობებელი იყო შემდეგი ფაქტორები: ქალებს აუცილებლად უნდა შეექმნათ ოჯახი 20 წლის ასაკში და თავი მიეძღვნათ დიასახლისობისათვის. არ შეეძლოთ ემუშავათ მასწავლებლებად, ძიძვად, მდივნებად და უფრო მეტიც, არ შეეძლოთ არჩევნებში ხმის მიცემა. ეს უკანასკნელი კი მათთვის მისაწვდომი გახდა აშშ-ს

კონსტიტუციის მეცხრამეტე ცვლილების შესაბამისად 1920 წლის 18 აგვისტოს (ინტერნეტწყარო № 4-6).



რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ქალებს ხმის მიცემის უფლება არჩევნებში მიეცათ შემდეგ წლებში (ინტერნეტწყარო № 7):

1928 - დიდ ბრიტანეთში	1948 - ისრაელი, ერაყი
1930 - სამხრეთ აფრიკა,	1950 - ინდოეთი
მხოლოდ თეთრი რასის	1952 - საბერძნეთი
ქალებს; ინდიელი და	1953 - მექსიკა
ფერადკანიანი -1984;	1956 - ეგვიპტე, ტუნისი

აფროამერიკელი ქალები 1994	1957 - მაღაიზია
1931 - ესპანეთი	1962 - ალჟირი
1932 - ბრაზილია	1971 - შვეიცარია
1944 - საფრანგეთი	1976 - პორტუგალია
1945 - იტალია	2001 - ბაჰრეინი
1946 - კენია, პალესტინა	
1947 - ჩინეთი, პაკისტანი	

საქართველოში ფემინისტური მოძრაობა იწყება XIX საუკუნის მიწურულს; ბარბარე ჯორჯაძე (1833-1895), გარდა ფემინისტობისა, ცნობილია ლეგენდარულ ქართველ კულინარად, ეკატერინე გაბაშვილი (1851-1938), ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, კატო მიქელაძე (1877-1943) (მელაშვილი: 2013). ერთი პერიოდის სამი ქალბატონი, გასხვავებული ასაკის, თუმცა განმსჭვალული საერთო მსოფლმხედველობით, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა სრულფასოვანი განათლების უფლების მოპოვება იმ პერიოდის ქალბატონებისთვის. აგრეთვე ისინი ცდილობდნენ შეეცვალათ ხედვა ქალის შესახებ.

1893 წელს ბარბარე ჯორჯაძემ გამოაქვეყნა პუბლიკაცია „ორიოდე სიტყვა ემაწვილი კაცების საყურადღებოდ“, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ პირველ ფემინისტურ მანიფესტად. პუბლიკაციაში ასახულია ქალის იმჟამინდელი მდგომარეობა. ნაჩვენებია ქალის შევიწროება მამრობითი სქესის წარმომადგენლების მიერ; ისინი არ აძლევდნენ ქალებს განვითარების საშუალებას. სტატიის ბოლოს კი ბარბარე ჯორჯაძე მოუწოდებს მამაკაცებს „მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდევ კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა“ (ინტერნეტწყარო №8).

კატო მიქელაძის სულისკვეთება გამოიხატებოდა არა მხოლოდ ქალთათვის სრულფასოვანი განათლების უფლების მიღებაში, არამედ იგი ქალთა პოლიტიკური გააქტიურების მომხრე იყო. 1920-იან წლებში კატო მიქელაძე „ცისფერყანწელებს“ დაუპირისპირდა, რადგანაც „ცისფერყანწელებისთვის“ ქალი ითვლებოდა „უმეტყველო მატრონად ან გეტერად“ (მელაშვილი:2013)“.

მიუხედავად ზემოხსენებულისა დღევანდელი ქართული საზოგადოების მენტალობაში გენდერული თანასწორობა პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს.

გარდა ანდაზებისა, რომლებშიც ქალი ნეგატიური სიტყვა-თქმით არის შემკული, ყოველდღიურ მეტყველებასა თუ ნარატივში ქალს სხვადასხვა სახის უარყოფითი კონოტაციის მქონე ეპითეტებით მოიხსენიებენ.

1.1.3 კონცეპტუალური მეტაფორები და გენდერული უთანასწორობა

ცნობილია, რომ ადამიანის კონცეპტუალური სისტემა მეტაფორულ ხასიათს ატარებს; თანამედროვე მეცნიერებაში ხშირად გამოიყენება ტერმინი „კონცეპტუალური მეტაფორა“, რომლის შესწავლაც მეცნიერებმა აქტიურად დაიწყეს. კონცეპტუალური მეტაფორა იჭრება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ყოველდღიურ მეტყველებაშიც კი, „მეტაფორებით ჩვენ ვცხოვრობთ“ (Lakoff & Johnson 1980). მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვა ქალი და მასთან ასოცირებული მეტაფორები. გარდა ანდაზებისა, სადაც ქალი როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური თვისებების მატარებელიცაა, თანამედროვე საზოგადოებაში დამკვიდრდა ისეთი გამოთქმები როგორებიცაა: „ქალი მხოლოდ დიასახლისი უნდა იყოს“; „ქალი და სწავლა?!“; „რა უნდა ქალს პოლიტიკაში?!“; „პოლიტიკა რა ქალის საქმეა“, „ქალი მხოლოდ სამზარეულოში უნდა იყოს“ და ა.შ. მიუხედავად საუკუნეების მანძილზე მიმდინარე პროგრესისა, ემანსიპაციისა და ქალის როლის წინა პლანზე წამოწევისა, ადამიანის კონცეპტუალურ სისტემაში ჩადებულია კოდი, რომ მამაკაცი დომინანტია, ოდითგანვე ბუნებით მბრძანებელია და ჩვენ XXI საუკუნეშიც კი გამოვხატავთ ამას სხვადასხვა შედარებების სასშუალებებით, ვიყენებთ რა იმ კონცეპტუალურ მეტაფორებს, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. „ადამიანის კონცეპტუალური სისტემა ბუნებით მეტაფორულია და მეტაფორა ასახავს იმ რეალობას, რომელშიც ვცხოვრობთ ჩვენ“ (Lakoff & Johnson 1980).

ლეიკოფის მიხედვით, კონცეპტუალური მეტაფორების ძალა გაუცნობიერელი გამოყენებით განისაზღვრება. მეტაფორები არ ქრებიან, ისინი რჩებიან ადამიანთა ცნობიერებაში, მეტაფორათა ზეგავლენა კი ჩვენ მიერ აღქმულ სამყაროს თავისებურებებში ვლინდება (Lakoff & Johnson 1980).

მეტაფორა მრავალფეროვანი ბუნებით ხასიათდება. მეტაფორა შეიძლება განხილულ იყოს იდეოლოგიურ დონეზეც (Goatly 2007). ზოგჯერ მეტაფორა გამოყენებულია იმისათვის რომ აწარმოოს იდეოლოგიური სტერეოტიპები. შეუძლებელია მეტაფორის გარკვეულ ჩარჩოებში მოთავსება, კონცეპტუალურ მეტაფორას შეიძლება ყველგან შევხვდეთ, მათ შორის ერთ-ერთი იდეოლოგიური სტერეოტიპების წარმოებაა, სტერეოტიპები კი ის ფიქსირებული და მყარი შთაბეჭდილებებია, რომლებიც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფზე, ან რომელიმე ერის შესახებ ყალიბდება.

გარდა გენდერული სტერეოტიპებისა, საზოგადოებაში ეთნიკურ-იდეოლოგიური სტერეოტიპებიც შეიძლება წარმოიშვას, ასახოს რა ეთნიკური უთანასწორობის პრობლემა გარკვეული ჯგუფის დომინირების შემთხვევაში. ქართულ ცნობიერებაში ჩამოყალიბდა იდეოლოგიური სტერეოტიპები და შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ კონცეპტუალურმა მეტაფორებმა, რომლებიც ჩვენს ცნობიერებაში არსებობს, დროთა განმავლობაში სტერეოტიპული ხასიათი შეიძინა, მოახდინა იმ რწმენათა განზოგადება, რომლებიც ადამიანის ცნობიერებაში კონცეპტუალური მეტაფორის სახით არსებობს.

ამგვარად, ადამიანის გრძელვადიან მესხიერებაში არსებული კონცეპტუალური მეტაფორები მჭიდროდაა დაკავშირებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან და ხშირ შემთხვევაში მათი გამოყენება სრულიად გაუცნობიერებლად ხდება.

2013 წლის დეკემბერში თბილისის ქუჩებში ასფალტზე დატანილი იყო ქალების მიმართ არსებული იდეოლოგიური სტერეოტიპების ამსახველი დებულებანი; თითოეული დებულება გადახაზული იყო, რაც სიმბოლურად სტერეოტიპის აღმოფხვრას გულისხმობდა, ასევე მათ ერთვოდა ფრაზა: „დაანგრიე სტერეოტიპი“:

„პოლიტიკა რა ქალის საქმეა!“.

„ქალი და ლიდერი?!“.

„ოჯახის რჩენა მხოლოდ კაცის საქმეა!“.

„ქალი ვიცი მე „კუხნაში“.

„გოგოს რად უნდა ამდენი სწავლა?“.

„კაცია და გადაწყვიტოს!“.



საყურადღებოა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გენდერული უთანასწორობა ლექსიკურ-გრამატიკულ დონეზე არ ვლინდება, გენდერული დისკრიმინაცია, ძირითადად, გამონათქვამის ან მთლიანად დისკურსის პროპოზიციულ სტრუქტურაში აისახება.

საინტერესოა ასევე შემდეგი სოციოლოგიური სტატისტიკაც: დასაქმების კუთხითაც გენდერულ უთანასწორობას ვხვდებით საჯარო სტრუქტურებში. თუ განვიხილავთ მოქმედ საქართველოს სამინისტროებსა და სასამართლო უწყებებს, დავინახავთ შემდეგს (ინტერნეტწყარო № 9-22):

საქართველოს პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობის 150 დეპუტატიდან მხოლოდ 17 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 8 მოსამართლიდან 3 ქალბატონია. აღნიშნულ შემადგენლობაში გენდერული თანასწორობა თითქმის დაცულია.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 10 მოსამართლიდან 3 ქალბატონია. თბლისის სააპელაციო სასამართლო: 27 მოსამართლიდან 13 ქალბატონია. გენდერული ბალანსი დაცულია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 10 მოსამართლეებიდან 4 ქალბატონია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში 10 მოსამართლიდან 5 ქალბატონია. გენდერული ბალანსი პირდაპირიპროპორციული სისტემით დაცულია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მინისტრი მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 4 მოადგილიდან, 2 ქალბატონია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში მინისტრი მამარობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 5 მოადგილიდან 3 ქალბატონია.

გენდერული ბალანსი დარღვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, მინისტრი მამარობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 3 მოადგილიდან 1 ქალბატონია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: მინისტრი მამრობითი სქესისაა, 5 მოადგილიდან 1 ქალბატონია. გენდერული ბალანსი დარღვეულია.

მდებრობითი სქესის წარმომადგენელი შინაგან საქამეთა სამინისტროს ძირითად შემადგენლობაში არ არის. მინისტრი, მამრობითი სქესის, 4 მოადგილიდან ოთხივე მამარობითი სქესის წარმომადგენელია.


საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მინისტრი მამარობითი სქესის წარმომადგენელია; ოთხივე მოადგილიდან ოთხივე მამრობითი სქესის წარმომადგენელია. აღნიშნული უწყების ძირითად შემადგენლობაში მდებრობითი სქესის წარმომადგენელი არ არის.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მინისტრი მამრობითი სქესისაა, ხოლო 4 მოადგილიდან 1 ქალბატონია. გენდერული ბალანსი დარღვეულია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: მინისტრი ქალბატონია, ხოლო 5 მოადგილე მამაკაცია. გენდერული ბალანსი დარღვეულია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო: მინისტრი მამაკაცია, ხუთივე მოადგილეც მამრობითი სქესის წარმომადგენელია. აღნიშნული უწყების ძირითად შემადგენლობაში მდებრობითი სქესის წარმომადგენელი არ არის.

ზემოხსენებული საჯარო სტრუქტურების მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მდებრობითი სქესის დასაქმების კუთხით რეალურად არათანაბარი გენდერული ბალანსია. რაც, თავის მხრივ, იმ სტერეოტიპული ხედვის გამოხატულებაა, რომელიც საზოგადოებაში არსებობს.



გარდა ამისა, ბოლო პერიოდის განმავლობაში აქტიურად შუქდება ინფორმაცია ქალის ჩაგვრის შესახებ.

2014 წლის 24 მაისს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო (და ხშირად ფატალური დასასრულის მქონე) ფაქტებისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით „ფემინისტების დამოუკიდებელმა ჯგუფმა“ მოაწყო აქცია-მსვლელობა თბილისის სხვადასხვა ნაწილში. “ნუ დახუჭავთ თვალს ქალების მიმართ ძალადობაზე!”. ტრანსფარანტებზე ვხვდებით შემდეგს:

- „საქართველოში ქალებს აუპატიურებენ“.
- „საქართველოში ქალებს ასახიჩრებენ“.
- „საქართველოში ქალებს კლავენ“.
- „ქალებს პატივს არ სცემენ“.
- „საქართველოში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია“.



ზემოთ მოყვანილი გამონათქვამები ახდენენ ფაქტთა კონსტატაციას და პროპოზიციულად გამოხატავენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას.

1.1.4 გენდერული პრობლემა თანამედროვე ინგლისურში

როგორც ცნობილია, თანამედროვე ინგლისურში სქესი წარმოადგენს გრამატიკულ კატეგორიას ნაცვალსახელებში: ინგლისური მესამე პირის მხოლოდით რიცხვში ნაცვალსახელებში განასხვავებს სამ სქესს: მამრობითს, მდედრობითსა და საშუალებს. ასევე სხვადასხვა ლექსიკური ერთეულის გამოყენების სპეციფიკა ცხადყოფს მამრობითი სქესის დომინანტურ პოზიციას.

ინგლისური ენის სპეციფიკიდან გამომდინარე და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფემინისტები ცდილობდნენ ენიდან ამოეღოთ ყველა ის ლინგვისტური ერთეული, რომლებიც ქალებსა და მამაკაცებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებდა. კერძოდ:

როგორც ცნობილია, მიმართვა “Mrs.”, რომელიც გახლავთ აბრევიატურა სიტყვისა “Mistress”, 1585 წლიდან გამოიყენებოდა დიასახლისისა და გათხოვილი ქალის მნიშვნელობით. 1920 წლიდან აღნიშნულმა მიმართვამ შეიძინა მეუღლის სტატუსის მნიშვნელობა (ინტერნეტწყარო № 23).

ლექსიკონის “Merriam Webster's Collegiate Dictionary” (2003) თანახმად, მიმართვის ფორმა “Ms.” გამოიყენება ოფიციალურად 1949 წლიდან. თანამედროვე ინგლისურში იყენებენ ქალბატონის მიმართვის ფორმას Ms.[mz], რომელშიც არ ფიქსირდება ქალის ოჯახური მდგომარეობა. ისევე, როგორც მამაკაცის მიმართვის ფორმაში “Mr.”, არ ფიქსირდება პიროვნების ოჯახური მდგომარეობა.

სტატისტიკური მაჩვენებლის თანახმად, ორივე მიმართვას, Ms. და Mrs.-ს, აქტიურად იყენებენ, თუმცა უპირატესობა თანამედროვე საზოგადოებაში მაინც Ms.-ს ენიჭება.

წარმოგიდგინოთ მაგალითებს, რომლებშიც ვხვდებით მიმართვებს Ms. და Mrs.; აღნიშნულ მაგალითებს ვხვდებით საინფორმაციო საიტზე www.bbc.com, სტატიების სათაურებსა და ტექსტებში (ინტერნეტწყარო № 24-25):

“Mrs.” :

- “Mrs. Obama says her week-long tour of the country is focusing on "the power and importance of education".
- “BBC wins Christmas Day ratings war, as Mrs Brown's Boys beats Downton”

- “Mrs. Blair was guest speaker at the Melbourne event in February to raise cash for a children's cancer charity”.

- “Mrs. Blair's speaking tour of Australia prompted a host of negative publicity after it was reported she received £100,000 for her engagements”.

- “Mrs Mike White, decided to continue to organise the black tie event in their son's memory”.

- “Mrs Munoz's husband, Erick, filed suit against the hospital on 14 January, arguing that life-support efforts go against her wishes as a paramedic familiar with end-of-life issues”.

- “Mrs. Justice Lang has launched a new investigation into whether London's mayor improperly used his authority to block a Christian group's advert”.

- “Mrs. Justice Thirlwall told both sides: "What is conspicuous in its absence from the court papers is any reference to any of the real effects on the children's learning”.

- “In her judgement, Mrs. Justice Hogg said: "The evidence indicates that both Mr Brewer and his wife were in agreement. He wanted her to have the opportunity to have his child, if she wanted, after his death”.

“Ms. “:

- “Ms. Brooks was editor of the newspaper between 2000 and 2003 before being made editor of The Sun”.

- “Ms. Shuter resigned last year after 11 years at the school”.

- “Ms. Martin's parents are also being sued and face a fine if found guilty”.

- “Ms. Bosom alleges that the pianist - a conservatoire student at the time - practised her piano for eight hours, five days a week from 2003-2007”.

- “Ms. McDonald, from west London, who had a stroke in 1999, said the ruling was very upsetting”.

- “Ms. Alayban, reportedly one of six wives of a scion of the Saudi royal family, had been “.


- “However, Ms. Dancer said the role of the uniform in transmitting bacteria had been exaggerated”.

- “Ms. Lopez, 36, married Mr Noa in 1997, and they divorced 11 months later”.


- “A statement from Ms. Johansson's spokesman published on Wednesday announced that the Hollywood star had "respectfully decided to end her ambassador role with Oxfam after eight years", according to the Associated Press”.

- “Ms. Kidman was summoned to appear by Fairfax's lawyers to help to establish that some of the paper's description of Mr Fawcett was accurate”.
- “She said Ms Jolie left messages concerning travel arrangements and other plans, which Ms Huthart never received”.

წარმოდგენილი 20 მაგალითიდან მიმართვის ფორმას “Mrs.” ვხვდებით 9-ჯერ, ხოლო - “Ms.”-ს 11-ჯერ. აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებელი აისახება ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში, რომლის თანახმადაც, სახელდება “Ms.” ლიდერობს.




ბ) ფემინისტთა უკმაყოფილებას იწვევდა ადამიანის ზოგადი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვა "man", რომლის პირველადი მნიშვნელობა არის „კაცი“. აღნიშნული ლექსიკური ერთეული დიდი სისშირით გამოიყენებოდა პროფესიის აღმნიშვნელ რთულ სიტყვებში. რთული სიტყვის შემადგენელ კომპონენტს "-man", ჩაენაცვლა სიტყვა "person" :



member of congress
spokesman →spokesperson

ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური გრაფა ასახავს მონაცემებს 17 სტატიიდან, რომელიც განთავსებული იყო BBC-სა და CNN-ის საინფორმაციო საიტებზე:



ზოგიერთმა შედგენილმა რთულმა სიტყვამ განიცადა მოდიფიკაცია, ვხვდებით მათ ჩანაცვლებას პოლიტიკურად კორექტული ტერმინებით:

policeman / policewoman →police officer

army wife, Navy wife →Army spouse

cameraman →camera operator

foreman → supervisor


fireman → fire fighter

postman → mail carrier

spaceman→ astronaut

mankind →humankind

businessman → executive → business woman/lady



გ) ინგლისურ ენას ხშირად სექსისტურ ენად მიიჩნევენ. ონლაინ-ლექსიკონის თანახმად, სექსიზმი წარმოადგენს ერთი სქესის მეორეზე დომინირების დაწესებას, რაც გენდერული უთანასწორობის საფუძველს ქმნის. ტერმინი სექსიზმი გაჩნდა აშშ-ში 1960-იან წლებში (ინტერნეტსყარო № 26).

თანამედროვე ინგლისურში სექსისტურ სუფიქსად მიიჩნევა “-ess”, რადგანაც იგი გამოიყენება მხოლოდ მდედრობითი სქესის არსებით სახელებთან. ბ.ა. ილიში ინგლისური ენის ისტორიის წიგნში აღნიშნავს, რომ სუფიქსი “-ess” საშუალო ინგლისურში შემოვიდა ფრანგული ენიდან. მას იყენებენ მდედრობითი სქესის არსებითი სახელის წარმოებაში. თავდაპირველად გვხვდებოდა არაინგლისურენოვან სიტყვებში: Princess, Countess, baroness. შემდეგ კი გავრცელდა ინგლისურენოვან სიტყვებშიც: Shepherdess, Goddess, Murderess (Ильиш 1968).

დღევანდელ ინგლისურში ცდილობენ ნაკლებად გამოიყენონ არსებული სუფიქსის მქონე სიტყვები, რათა არ მოხდეს პიროვნების გენდერზე მითითება, რათა არ დაყონ ადამიანები სქესობრივი კატეგორიების მიხედვით (მდედრობითი/მამრობითი). გამომდინარე აქედან, მათ ჩაენაცვლა ნეიტრალური სიტყვაფორმები:

Headmistress	Headteacher
Stewardess	Flight attendant
Actress	Actor

წინადადებები, რომლებშიც გვხვდება ტერმინის **“Headteacher”** გამოყენება (ინტერნეტ წყარო № 28-37):

- “A headteacher is the most senior teacher and leader of a school. In it’s learning, the headteacher role is responsible for monitoring the work of the mentors – and gets a full overview of attendance, behaviour and assessment reports”.
- “Teachers and head teachers welcomed the growth in specialist schools”.
- “The Scottish premier will also signal new moves to shift power to teachers and head teachers so they can direct their own curriculum”.
- “There is less than a month left to put forward names of inspiring teachers, assistants and head teachers for the national awards”.

წინადადებები ტერმინის **“Flight Attendant”** გამოყენებით:

- “Former Flight Attendant, Crash Survivor Leads 24 Year Battle To Change Flying Rules For Young Children”.
- “Two flight attendants on the Asiana Airlines jet that crashed in San Francisco on Saturday”.
- “Flight Attendants are primarily responsible for providing a safe, comfortable and enjoyable traveling experience to the passengers”.

წინადადებები ტერმინის **“Actor”** გამოყენებით რომლებშიც, აღნიშნული ტერმინი გამოიყენება ქალი მსახიობის მიმართ:

- “The following is a list of nominees and winners of the Screen Actors Guild Award (SAG) for Best Performance by a Female **Actor** in a Leading Role”.
- “Actors nominated fo r Best Actor – Female are”.
- “Before Jennifer became an actor, she was involved in cheer-leading”.
- “Some female actors are good, but others are better”.

ხელოვნური ცვლილებების მცდელობებს ვხვდებით წერილობით დისკურსში, თუმცა ეს ცვლილებები ვერ დამკვიდრდა ენაში სწორედ მათი ხელოვნური ხასიათის გამო:

1) სიტყვის "woman" დამწერლობა შეიცვალა "womyn" ან "wimmin". ეს ფორმა შეიქმნა XX საუკუნის მიწურულს და წარმოადგენს ფემინისტური მართლწერის ნიმუშს, -man ბოლოსართის თავიდან აცილების მცდელობას.

2) ნაცვლად ბოლოსართებისა -or, -er/-ess იყო მცდელობა დაენერგათ ნეიტრალური -ron ბოლოსართი:

Actor/actress	Actron (მსახიობი ნებისმიერი სქესის)
Waiter/waitress	Waitron (მიმტანი ნებისმიერი სქესის)

დ) რადგანაც ინგლისურ ენას აქვს "პრობლემები გენდერთან" დაკავშირებით, შემოიღეს გენდერულად ნეიტრალური ნაცვალსახელები. საუკუნეების მანძილზე ეს საკითხი პრობლემატურად არ განიხილებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც წინა პლანზე წამოიწია ქალთა უფლებებმა, ქალთა ნაწილი ფიქრობდა, რომ ინგლისურ ენაში დომინანტი მამრობითი სქესის ნაცვალსახელებია: მამრობითი სქესის მესამე პირის ნაცვალსახელი he ხშირად გამოიყენებოდა ზოგადი მნიშვნელობით. 2013 წლის მარტში, ეკონომისტმა ფრედ ფოლდვარიმ საზოგადოებას წარუდგინა ახალი გენდერულად ნეიტრალური ნაცვალსახელები "Zhe", "zher", "zhim", რომლებშიც არ ფიქსირდება პიროვნების სქესი. მაგ.: "Zhe was walking zher dog down the street and then gave zhim a treat." ვინაიდან აღნიშნული ნაცვალსახელები წარმოადგენს ენაში ხელოვნური ჩარევის მცდელობას, ისინი ვერ დამკვიდრდნენ ენაში (ინტერნეტწყარო №38).

რენდოლფ კუერკისა და მისი თანაავტორების ინგლისური ენის გრამატიკაში, "A Comprehensive Grammar of the English Language", ვხვდებით შემდეგს: ბოლო ათწლეულის განმავლობაში ნაცვალსახელი "he" გამოიყენება, როგორც არამარკირებული ნაცვალსახელი, როდესაც რეფერენტის სქესი არ არის განსაზღვრული. აღნიშნული ნაცვალსახელის გამოყენება გააპროტესტეს აშშ-ში, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ იგი გამოიყენებოდა ზოგადი მნიშვნელობით და

ასახავდა სქესობრივ უთანასწორობას ენაში. ავტორები გვთავაზობენ მეთოდებს არამარკირებული ნაცვალსახელების თავიდან ასაცილებლად:

(a) The speaker must constantly monitor his listener to check that assumptions he is making are shared assumptions. შემოთავაზებული ცვლილება (“He”-ს ჩაენაცვლოს the და გაკეთდეს პერიფრაზირება):

The speaker must constantly monitor the listener and check that the assumptions the speaker is making are shared.

(b) Very often the writer does not monitor his arguments very well or get his narrative in the right order. შემოთავაზებულია ცვლილება -ჩანაცვლება მრავლობითი რიცხვით:

Very often writers do not monitor their arguments very well or get their narratives in the right order.

(c) The students do almost all the interacting, the teacher taking a back seat.

That is to say, he is not under the pressure of acting as chairman or host. (შემოთავაზებული ცვლილება ჩაენაცვლოს s/he და გაკეთდეს პერიფრაზირება):...That is to say, s/he is not under the pressure of acting as classroom director (Quirk et al 1985: 343)

გენდერული თანასწორობის მაჩვენებელი “s/he” გამოიყენება მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის მამრობითი სქესის ნაცვალსახელის “he”-ს ჩასანაცვლებლად. აღნიშნულს ვხვდებით წერილობით ფორმაში. თუმცა ზეპირ მეტყველებაში ფართოდ იყენებენ მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელს “They”. აგრეთვე გამოიყენება კონსტრუქციები განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით: everyone, everybody; someone, somebody: anyone, anybody: no one, nobody (Quirk et al.1985: 342)

“Everyone thinks they have a right to be here”.

“Has anybody brought their racket?”

“No one should pride themselves on this result”.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

ვინაიდან XIX საუკუნიდან საზოგადოებაში წინა პლანზე წამოიწია გენდერული თანასწორობის პრობლემა, ფემინისტური მოძრაობის ჩამოყალიბებისა და გააქტიურების შემდეგ ინგლისურ ენასა და მეტყველებაში სახეს იცვლის და მკვიდრდება ისეთი პოლიტიკურად კორექტული ლექსიკური ერთეულები, რომლებშიც:

ა) ქალისა და მამაკაცის პროფესიასთან დაკავშირებულ ტერმინებში არ ფიქსირდება პიროვნების სქესი, რასაც ვერ ვხვდებით წინა პერიოდის ინგლისურ ენაში;

ბ) ქალბატონის მიმართვისას არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალის ოჯახური მდგომარეობა;

გ) მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელს “he” ჩაენაცვლა გენდერულად ნეიტრალური ფორმა “s/he” წერილობით დისკურსში;

დ) ზოგადი მნიშვნელობის მატარებელ მესამე პირის მამრობითი სქესის ნაცვალსახელს “he” ჩაენაცვლა განუსაზღვრელი ნაცვალსახელები: everyone, everybody; someone, somebody; anyone, anybody; no one, nobody.

ე) მრავალმა მცდელობამ ხელოვნურად შექმნილი ენობრივი ერთეულების დამკვიდრებისა ენაში უშედეგოდ ჩაიარა, ვინაიდან ენა საზოგადოებრივი მოვლენაა და ვერ იტანს ხელოვნურ ჩარევას.

ქართულში გენდერული პრობლემა ვლინდება ექსპლიციტური მნიშვნელობის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებსა თუ გამონათქვამებში, რომლებშიც აისახება ქართულ საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები და მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება.

1.2 სექსუალურ უმცირესობათა სფერო

საზოგადოებაში ოდითგანვე გამოიყოფოდა და გამოიყოფა სექსუალური უმცირესობები, რომლებიც წარმოადგენენ იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელთა სექსუალური იდენტობა და ორიენტაცია განსხვავდება საზოგადოების სხვა წევრთა სექსუალური ორიენტაციისაგან. მათ ხშირად აბრევიატურით ლგბტ მოიხსენიებენ. ლგბტ გახლავთ საზოგადოების ის ნაწილი, რომელშიც გაერთიანებული არიან ლესბოსელები, გეები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის განმარტებით ლექსიკონის თანახმად:

ლესბოსელი 1. ნიშნავს მდედრობითი სქესის ჰომოსექსუალებს, ანუ ქალებს, რომლებსაც იზიდავენ სხვა ქალები.

2. ქალი, რომელიც სექსუალურ და ემოციურ ლტოლვას მხოლოდ, ან ძირითადად ქალებისადმი განიცდის. ზოგი ქალი ამჯობინებს ტერმინის „გვი ქალი“ გამოყენებას (ინტერნეტწყარო№39).

გვი 1. ტერმინი გამოიყენება ჰომოსექსუალი მამაკაცების მიმართ. ზოგიერთ წრეში ის ასევე ნიშნავს ჰომოსექსუალ ქალებს (ლესბოსელებს).

2. მამაკაცები, რომლებიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ როგორც გეები, განიცდიან სექსუალურ და ემოციურ ლტოლვას უპირატესად, ან მხოლოდ მამაკაცებისადმი(ინტერნეტწყარო№40).

ბისექსუალი ნიშნავს ადამიანს, რომელსაც იზიდავს მისივე და მისი სქესის საპირისპირო პიროვნებები (ინტერნეტწყარო№41).

ტრანსგენდერი ნიშნავს ადამიანს, რომელსაც აქვს მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესი (ე.ი. კაცი ქალის სხეულში ან პირიქით (ინტერნეტწყარო№42).

ევროპული ისტორიის თანახმად, XIX საუკუნემდე ხდებოდა ჰომოსოქსუალიზმის შესწავლა. ზიგმუნდ ფროიდისა და მაგნუს ჰირშფილდის შემოქმედება აქტიურად იყო განსმკვალული ჰომოსექსუალიზმისა და ბისექსუალიზმის კონცეფციით. ფროიდი მიიჩნევდა, რომ ჰომოსექსუალიზმი არ იყო დაავადება ან დანაშაული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა გეებისა და ლესბოსელების მხარდასაჭერი ჯგუფები მეორე მსოფლიო ომამდე და შემდეგ. მეორე მსოფლიო ომის დროს გეებსა და ლესბოსელებს არ ჰქონდათ უფლება ყოფილიყვნენ ჯარისკაცები, სამხედრო პირები, ნებისმიერი სხვა სახის მოხალისეობა მათთვის იყო აკრძალული. 1950 წელს სენატორ ჯოზეფ მაკარტნის პოლიტიკური მოთხოვნით საკითხი დაისვა თანაბარი უფლებების შესახებ. 80-იან წლებში მამაკაცი გეების წარმომადგენლების დიდი ნაწილი გარდაიცვალა აივინფექციით, ამის შედეგად მოხდა სხვადასხვა გეი-მოდრობების ჩამოყალიბება: ისინი მთავრობისგან ითხოვდნენ დაავადების მკურნალობის დაფინანსებას.

1987 და 1990 წელს ვაშინგტონში გაიმართა გეისაზოგადოების მხარდამჭერი ადღუმები, რომლებსაც მილიონი მხარდმჭერი ჰყავდა.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში კი, 1997 წელს ერთ-ერთ ნაციონალურ არხზე ელენ დიჯენერესმა წინა პლანზე წამოწია გეების უფლებები. ცნობილი

ადამიანები, რომლებიც არიან გეები და ჰეტეროსექსუალები, მოითხოვდნენ შემწეობასა და თანაბარ უფლებებს. XXI საუკუნეში კი რამდენიმე ქვეყანაში უკვე ლგბტ-ს წამომადგენლებს მიეცათ ქორწინების უფლება (ინტერნეტწყარო №43).

მიუხედავად საზოგადოების ამ წარმომადგენელთა ორიენტაციისა, ისინი პოლიტიკურად კორექტულად უნდა იყვნენ სახელდებულნი, რათა არ მოხდეს მათი შეურაცხყოფა და დამცირება. ინგლისურ ენაში ვხვდებით სიტყვებს, რომლებიც დამამცირებლად ითვლება ამ პირთათვის. შესაბამისად, მათი ინტერესების დამცველთა საზოგადოებამ დაადგინა პოლიტიკურად ტერმინები:

LGBTQIA (Lesbian Gay Bisexual Transgender Queer Intersex Asexual) რესურსცენტრისა და საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკის ონლაინლექსიკონის განმარტების თანახმად (ინტერნეტწყარო №44-48):

პოლიტიკურად არაკორექტული	პოლიტიკურად კორექტული
<p>Faggot/ fag, – გეი მამაკაცის შეურაცხმყოფელი სახელდება. შემოკლებული ფორმა “fag”, საგარაუდოდ წარმოიშვა ძველი ფრანგულის, იტალიურისა და ვულგარული ლათინურის ფორმებიდან. 1921 წლის შემდეგ წარმოადგენს ამერიკულ სლენგს. ტერმინი “Faggot“ ინგლისურში ჩნდება XVI საუკუნეში, იგი წარმოადგენდა ხანშიშესული ქაღალტონების შეურაცხმყოფელ სახელდებას. სწორედ აქედან იღებს სათავეს აღნიშნული სიტყვით ჰომოსექსუალი მამაკაცის სახელდება: ჰომოსექსუალი მამაკაცი ხშირად გაიგივებულია ქალთან.</p>	<p>Gay - გეი: 1. ტერმინი გამოიყენება ჰომოსექსუალი მამაკაცების მიმართ. ზოგიერთ წრეებში ის ასევე ნიშნავს ჰომოსექსუალ ქალებს (ლესბოსელებს). 2. მამაკაცები, რომლებიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ როგორც გეები, განიცდიან სექსუალურ და ემოციურ ლტოლვას უპირატესად ან მხოლოდ მამაკაცებისადმი. Gay – პირველადი მნიშვნელობა მხიარული, განცხრომის მოყვარული, ფერადოვან ტანსაცმელში გამოწყობილი</p>
<p>Homo – ჰომოსექსუალის შემო-</p>	<p>Homosexual - ჰომოსექსუალი: პი-</p>

<p>კლებული ფორმა, რომელიც დამამცირებელია ამ პირთათვის.</p>	<p>როვნება, რომელსაც მხოლოდ მისივე სქესის ადამიანები იზიდავს.</p>
<p>Queen - ფემინიზებული გეიმამაკაცის შეურაცხყოფელ სახელდება. არ არის შეურაცხყოფელი შიდა ჯგუფური კომუნიკაციისას.</p>	<p>Gay (გეი)</p>
<p>Queer - შეურაცხყოფელი ლგბტ-ს ყველა წარმომადგენლისათვის. ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ტერმინის “Queer” პირველადი მნიშვნელობა არის „უცნაური“; მეორადი მნიშვნელობა სლენგს წარმოადგენს, მას შეურაცხყოფელი დატვირთვა აქვს ჰომოსექსუალისათვის გარე ჯგუფურ კომუნიკაციაში.</p>	
<p>Trans / Tranny – ტრანსგენდერის შემოკლებული და შეურაცხყოფელი ფორმა</p>	<p>Transgender– ტრანსგენდერი: ნიშნავს ადამიანს, რომელსაც აქვს მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესი (ე.ი. კაცი ქალის სხეულში ან პირიქით).</p>
<p>Dyke (dike) – ლესბოსელი, აღნიშნული ტერმინის წარმომადგენლობა ბუნდოვანია, თუმცა პირველად დაფიქსირდა სლენგის ლექსიკონში (Berrey and Van den Bark's American Thesaurus of Slang) 1942 წელს.</p>	<p>Lesbian - ლესბოსელი, თუმცა ზოგიერთი ლესბოსელი უპირატესობას ანიჭებს ტერმინის „გეი“ გამოყენებას</p>
<p>“Bi” - ბისექსუალის შემოკლება</p>	<p>Bisexual - ბისექსუალი: ნიშნავს</p>

ბული ფორმა, ითვლება შეუ- რაცხმყოფელ სახელდებად.	ადამიანს, რომელსაც იზიდავს როგორც მისივე, ასევე მისი სქესის საპირისპირო პიროვნებები.
--	--

როგორც ცნობილია, სიტყვის მნიშვნელობა იცვლება ენის ისტორიულ განვითარებასთან ერთად. სიტყვის სემანტიკურ მნიშვნელობის ცვლილება დაკავშირებულია როგორც ექსტრალინგვისტურ, ასევე ლინგვისტურ ფაქტორებთან (Ginzburg et al: 2004). ექსტრალინგვისტური ფაქტორები მოიცავს იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვ. ცვლილებებს ენობრივი კოლექტივის ცხოვრებაში. აღნიშნული ფაქტორების შედეგად ჩნდება ახალი რეფერენტები. რომელთა სახელდება ხშირად ენაში უკვე არსებული ერთეულებით ხდება, ანუ ადგილი აქვს სიტყვის პირველადი მნიშვნელობის მეტაფორიზაციას. ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ცვლილების ლინგვისტური ფაქტორები მოიცავს ელიფსისს, სინონიმთა დიფერენციაციასა და ანალოგიას.

სემანტიკური ცვლილების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს სიტყვის დენოტაციური მნიშვნელობის დავიწროებას ან გაფართოებას, კონოტაციური მნიშვნელობის დაკნინებას ან გაკეთილშობილებას; მაგალითად სიტყვებს “queen“ (დედოფალი), “queer“ (უცნაური) განუვითარდა სპეციფიკური მეორადი მნიშვნელობები, რომლებსაც უარყოფითი დატვირთვა აქვთ.

ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ცვლილება შეიძლება იყოს როგორც მეტაფორული (მსგავსებაზე დაფუძნებული) ასევე, მეტონიმური (მოსაზღვრეობაზე დაფუძნებული) ხასიათის.

ჟ. ლეიკოფი წიგნში, “Metaphors We Live by” აღნიშნავს: “Metaphor is pervasive in everyday life, not just in language but in thought and action. Our ordinary conceptual system, in terms of which we both think and act, is fundamentally metaphorical in nature (მეტაფორა ჭარბად არის ყოველდღიურ ცხოვრებაში, არა მხოლოდ ენაში, არამედ აზროვნებასა და ქმედებაში. მეტაფორულია ჩვენი ჩვეულებრივი კონცეპტუალური სისტემა, რომელის მეშვეობითაც ჩვენ ვფიქრობთ და ვმოქმედებთ (Lakoff & Johnson 1980)”.

მეტაფორიზაციის შედეგია ლექსიკური ერთეულების “Gay” და “Dyke” მეორადი მნიშვნელობები.

დღევანდელ საზოგადოებაში ორივე ლექსიკური ერთეული აღნიშნავს ჰომოსექსუალ მამაკაცსა და ქალს. სიტყვის “Gay” პირველადი მნიშვნელობა მხიარული, ნეტარების მოყვარული, ფერადოვნად გამოწყობილი, მეტაფორიზაციის შედეგად გადაიქცა ჰომოსექსუალის აღმნიშვნელ ნეიტრალურ ტერმინად (გასული საუკუნის 70-იანი წლები). აღნიშნული, ალბათ, სემებმა - ნეტარების, განცხრომის მოყვარული, ფერადოვნად გამოწყობილი - განაპირობა. აღნიშნული სიტყვის პირველადი მნიშვნელობით გამოყენება დღესდღეობით იშვიათია.

სიტყვა “Gay” ჰომოსექსუალის მნიშვნელობით გვხვდება შემდეგ მაგალითებში (ინტერნეტწყარო№49):

- “The first same-sex weddings have taken place after gay marriage became legal in England and Wales at midnight”.
- "Congratulations to the gay couples who have already been married - and my best wishes to those about to be on this historic day."
- "This is an incredibly happy time for so many gay couples and lesbian couples who will be getting married, but it's an incredibly proud time for our country as well, recognising equal marriage in law,"

ამ თვალსაზრისით აგრეთვე საინტერესეოა ტერმინი “Dyke(dike)”, რომლის პირველადი მნიშვნელობა არის „წყალთხრილი“. აღნიშნული ტერმინი სექსუალური უმცირესობის წევრს წარმოაჩენს, როგორც საზოგადოების ფსკერზე მყოფ ადამიანს. 1960-70 წწ-დან, ფემინისტური მოძრაობის გააქტიურების დროს, გამოიყენება როგორც ლესბოსელის აღმნიშვნელი შეურაცხყოფელი სახელი. თავად ტერმინი „ლესბოსელი“ კი, როგორც ცნობილია, მომდინარეობს საბერძნეთის კუნძულიდან ლესბოსი “Lesbos”, სადაც ცხოვრობდა პოეტი საფო(Sappho) ჩვენს წ.აღ. 600 წელს, იგი სასიყვარულო ლექსებს უძღვნიდა თავის მეგობარ ქალებს (ინტერნეტწყარო№50).

სიტყვა “Dyke(dike)” გვხვდება შემდეგ მაგალითში, რომელშიც პიროვნება თავის მიმართ იყენებს ტერმინს “Dyke”, შესაბამისად, ის ამ შემთხვევაში შეურაცხყოფელი არ არის:

- “How dare you think I'm straight! I'm a DYKE, you idiot!!”

ინდოეთში, ქ. მუმბაიში გამართულ გეიალუმზე ვხვდებით შემდეგ აბრიევიატურას ‘Queer LGBTI’, რომელიც აერთიანებს ლესბოსელებს, გეებს, ბისექსუალებს, ტრანსგენდერებსა და ინტერსექსუალებს; აგრეთვე ჰიჯრა, ქოთისა

და პანთის (Hijra (ინდივიდი, რომელიც თავს მიიჩნევს ტრანსსექსუალად ან ტრანსგენდერად), Kothi(გეიმამაკაცი, რომელიც ქალის ფუნქციას ითავსებს სექსუალური კავშირის დროს), Panthi(გეიმამაკაცი, რომელიც მამაკაცის ფუნქციას ითავსებს სექსუალური კავშირისას) წარმომადგენლებს (ინტერნეტ-წყარო №30). ეს გახლავთ სექსუალურ უმცირესობათა ჯგუფი, რომელსაც არ ცნობს ინდოეთის საზოგადოება. Queer Azaadi March არის მოძრაობა, რომელიც ითხოვს თანაბარ უფლებებს ლგბტ საზოგადოებისათვის.


XIX საუკუნის ბოლოდან სიტყვა “Queer” გამოიყენება გეისაზოგადოების აღსანიშნად. მას აქვს უარყოფითი კონოტაცია. თუმცა 1980-იან წლებიდან შიდა ჯგუფური კომუნიკაციისას მას აქვს ნეიტრალური მნიშვნელობა.

აღნიშნული ტერმინი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და სენსიტიურ ლექსიკურ ერთეულად ითვლება: შიდაჯგუფური მიმართვისას მისაღებია და პოლიტიკურად კორექტული, მაგრამ დამამცირებელი და არაკორექტულია გარეჯგუფური კომუნიკაციისას.

განვიხილოთ შემდეგი წინადადება:

“So if you are straight, lesbian, gay, bisexual, trans or just plain queer because your hair on your grows in a different direction like mine does – Don’t be shy. Come out. Come out. Wherever you are. This is the beginning of the biggest party for new human and civil rights this country has ever seen(ინტერნეტ წყარო №51)”.

აღნიშნულ წინადადებაში ვხვდებით პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებს: straight, lesbian, gay, bisexual, მაგრამ აგრეთვე ვხვდებით არაკორექტულ ტერმინსაც: trans, plain queer. თუმცა, რადგანაც გამონათქვამი მუშბაის აღლუმის აქტივისტს ეკუთვნის, ისინი არ ითვლება ლგბტ წარმომადგენლებისთვის დამამცირებელ და შეურაცხყოფელ ლექსიკურ ერთეულად.



აღლუმზე აქტივისტები გამოვიდნენ სხვადასხვა ტრანსფარანტებით:

“Being GAY is not western invention. It’s a Human reality”;

Today, Tomorrow, Everyday! Forever I AM A PROUD GAY”;

My mom is seeking a Husband for me, ANYONE?”. აღნიშნულ ფრაზებში გამოყენებულია პოლიტიკურად კორექტული ლექსიკური ერთეულები.

აღნიშნულ აღლუმთან დაკავშირებით Queer Azaadi Mumbai –ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია მუსიკალური საღამოს შესახებ, მიპატიჟება წარმოდგენილი იყო გართობული ტექსტის სახით, ინტერესს იწვევს ბოლო წინადადება: „შემოგვიერთდით და ჩვენ აღვზევდებით კრესჩენდოზე თანასწორუფლებიანად და ერთხმად, რადგანაც მუსიკამ, როგორც სიყვარულმა, არ იცის სქესი”.

რა თქმა უნდა, წამყვანის მიერ წარმოთქმული ფრაზა უფრო კორექტულია, თუმცა მე მაინც ვეწინააღმდეგები ტერმინს „შეზღუდული შესაძლებლობების პირი“, რადგანაც სიტყვა „შეზღუდვა“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ნიშნავს: მცირე უფლებებს, ნაკლებ რესურსებს, მცირე ცოდნას, ვიწრო თვალთახედვას, მაშინ, როცა სიტყვა „განსხვავებული“ ნიშნავს: ნიშანი, რომლითაც ერთი საგანი მეორისგან განსხვავდება; ვისიმე, რისამე საპირისპიროდ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული 1986). აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნებოდა თუ

საზოგადოება გამოიყენებს მსგავსი ინდივიდების სახელდებისას ტერმინს „განსხვავებული შესაძლებლობების პირი/პირები“. ეს ტერმინი უკვე გამოიყენება ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიერ მათი ბენეფიციარების მიმართ.

2011 წელს საინტერესო რეპორტაჟი და მთელი გადაცემა მიეძღვნა იმედის არხის ტოქშოუ „პროფილის“ საშუალებით განსხვავებული შესაძლებლობების პირებს. ტოქშოუში გაუღებელი იყო შემდეგი ფრაზა: „არ უნდა ვიყენებდეთ სიტყვებს, რომლებითაც ახასიათებენ ავადმყოფს, დეფექტური, ინვალიდი, დაუნი, შეზღუდული, „ის ბავშვი“. მაგ.: სიტყვა „დაუნი“ მედიცინაში ცნობილია როგორც ტერმინი „დაუნის სინდრომი“, მთავარ კლინიკურ გამოვლინებად ითვლება ჩამორჩენილი ფსიქიკური და ფიზიკური განვითარება, დამახასიათებელი ცვლილება გარეგნობაში და შინაგანი ორგანოების ხშირი დარღვევები. მაგრამ საზოგადოებაში უკვე იმდენად ხშირად გამოყენებადი გახდა ეს სიტყვა, რომ იქცა სხვა შეურაცხყოფელი მნიშვნელობის მატარებლად, როგორცაა: „სულელი“, „იდიოტი“, „უჭკუო“.

ამრიგად, ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სფეროში წარმოდგენილი მასალის თანახმად, მეტყველებიდან უნდა ამოღებულ იქნეს ყველა ის შეურაცხყოფელი ლექსიკური ერთეული, რომელიც განსხვავებული უნარის მქონე ადამიანებზე ნეგატიურად იმოქმედებს და მათ უფლებებს შელახავს.

1.5 ინგლისური პოლიტიკურად კორექტული ტერმინების წარმოება ლექსიკური ერთეულის “challenge” გამოყენებით

ინგლისურენოვან პოლიტიკურად კორექტული ტერმინების წარმოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიტყვა “challenge”. დისერტაციის აღნიშნულ მონაკვეთში განხილულია სიტყვის “challenge” ეტიმოლოგია, სემანტიკა და პრაგმატიკული მახასიათებლები. აგრეთვე დადგენილია, თუ რამ განაპირობა

აღნიშნული ლექსიკური ერთეულის დიდი სიხშირით გამოყენება პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებში.

ავტორიტეტული ლექსიკონების თანახმად, ინგლისური სიტყვა “challenge” საშუალო ინგლისურში ნასესხებია ფრანგული სიტყვიდან “challengé”, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს ლათინურიდან calumnia 'calumny', calumniari 'calumniate', – „ყალბი ბრალდება“, როგორც ვხედავთ, აღნიშნული ლექსიკური ერთეული უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელი იყო. ინგლისური ენის ევოლუციასთან ერთად აღნიშნულმა ლექსიკურმა ერთეულმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

ინტერესს იწვევს, თუ რამდენად შეიცვალა სიტყვის “challenge” მნიშვნელობა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე. ინგლისურენოვანი ავტორიტეტული ლექსიკონების თანახმად, აღნიშნული ლექსიკური ერთეულს აქვს შემდეგი ძირითად მნიშვნელობები:

წელი	ლექსიკონი	განმარტება	
1974	The Merriam-Webster Dictionary	1. to halt and demand the countersign of; 2. to take exception to: dispute; 3. to issue an invitation to compete against one esp. in single combat; dare, defy.	1. შეჩერება და პაროლის ან საშვის მოთხოვნა; 2. გამონაკლისის დაშვება: კამათი. 3. მიპატიუება ერთაბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად; გაბედვა, გამოწვევა.
1974	Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English by A.S. Hornby	1. invitation or call to play a game, run a race, have a fight, etc to see who is better, stronger, etc. 2. Order given by a sentry to stop and explain who one is:	1. მიწვევა ან მოწოდება თამაშში, რბოლაში ან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, რათა გამოვლინდეს ვინ არის უკეთესი, ძლიერი და ა.შ; 2. მცველის მიერ

		‘who goes there?’;	გაცემული ბრძანება პიროვნების იდენტიფიკაციის დასადგენად.
1977	Webster’s New World Dictionary	1. A demand for identification; 2. A calling into question; 3. A call to a duel, contest, etc. 4. Anything that calls for special effort .	1. ბრძანება პიროვნების იდენტიფიკაციის დასადგენად; 2. რაიმეში დაექვევება, პასუხის მოთხოვნა; 3. დუელში, შეჯიბრში გამოწვევა; 4. ყოველივე, რაც ითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას.
1994	Cassell Concise English Dictionary	1. To call on to settle a matter by fighting or by any kind of contest: to claim as one’s own: to accuse: to object to 2. A summons to a contest of any kind, but esp. a duel: 3. A calling of anyone or anything in question: 4. exception to a juror: 5. demand of a sentry: 6. accusation:	1. მოწოდება საკითხის ბრძოლით ან ნებისმიერი სახის შეჯიბრით მოსაგვარებლად; რაიმეზე პრეტენზიის ქონა; ბრალდება; შეწინააღმდეგება. 2. ნებისმიერი სახის შეჯიბრში გამოწვევა, განსაკუთრებით დუელში. 3. რაიმეში ან ვინმეში დაექვევება; 4. ნაფიცო მსაჯულისთვის უარის თქმა 5. მცველის მოთხოვნა; 6. ბრალდება;

		<p>7. claim;</p> <p>8. A difficulty which stimulates interest or effort: a task, undertaking, etc.; To test one's powers and capabilities to the full.</p>	<p>7. მტკიცება;</p> <p>8. სირთულე რომელიც ახდენს ინტერესის ან ძალისხმევის სტიმულირებას: დავალება, წამოწევა ა.შ., საკუთარი უნარებისა და ნებისყოფის სრული გამოვლინების შემოწმება.</p>
1994	The Cambridge Thesaurus of American English	<p>1. Dare, defy, confront, threaten, denounce. 2. Question, dispute, contest, inquire, search, impugn.</p>	<p>1. გაბედვა; გამოწვევა; დაპირისპირება; დამუქრება, დაგმობა. 2. დაეჭვება; კამათი; შეჯიბრი; გარკვევა, ძებნა; რაიმეში ეჭვის შეტანა.</p>
1996	Collins Cobuild Pocket Dictionary	<p>1. A challenge is something new and difficult which will require great effort and determination. 2. A challenge to something is a questioning of its truth, value, or authority. 3. If challenge someone, you invite them to fight or compete with you. 4. To challenge ideas or people means to question their truth, value or authority.</p>	<p>1. ნებისმიერი სახის ახალი და რთული გამოწვევა, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ძალისხმევას და სიმტკიცეს.</p> <p>2. როდესაც სადავო ხდება რაღაცის ჭეშმარიტება, ფასეულობები ან ავტორიტეტი.</p> <p>3. პიროვნების გამოწვევა ბრძოლაში ან შეჯიბრში</p> <p>4. იდეების ან</p>

			ადამიანების ავტორიტეტში, ფასეულობასა ან ჭეშმარიტებაში დაეჭვება.
2000	The American Heritage Dictionary	1.to call to engage in a contest; to invite with defiance; 2. To call into question; dispute; 3. To order to halt and be identified; 4. To take formal objection to juror or voter; 5. To summon to action or effort;	1. შეჯიბრში მიწვევა, გამოწვევა; 2. დაეჭვება, კამათში, გამოწვევა; 3. შეჩერების ბრძანება ილენტიფიკაციის დადგენის მიზნით; 4. ოფიციალური პროტესტი ნაფიცო მსაჯულის ან ამომრჩევლის მიმართ; 5. მიწვევა რაიმე ქმედების ან ძალისხმევის განსახორციელებლად.
2004	Oxford Advanced Learner's Dictionary	1. To question whether a statement or an action is right, legal, etc. 2. To refuse to accept sth. 3. To invite sb to enter a competition	1. განცხადების ან ქმედების სიმართლეში, კანონიერებაში ა.შ. დაეჭვება; 2. რაღაცის მიღებაზე უარის თქმა; 3. ვიღაცის შეჯიბრში მიწვევა.
2005	Longman Dictionary of English Language	1. to invite someone to compete against you in a fight, match etc.; 2. to question the rightness,	1. ვიღაცის გამოწვევა შეჯიბრში, ბრძოლაში, მატჩში ა.შ.; 2. სიმართლეში დაჭკვება

	and Culture	legality etc, dispute; 3. <u>to</u> test the abilities of a person or thing; 4.to stop and demand official proof of the name and intentions of someone.	3. პიროვნების ან ნივთის შესაძლებლობების დადგენა; 4. შეჩერება ვინმეს იდენტიფიკაციის ან ინტენციის დასადგენად.
--	-------------	---	--

ზემოთ მოყვანილი სალექსიკონო განმარტებებიდან საყურადღებოა შემდეგი:

Webster-ის ლექსიკონის (1977) მეოთხე განმარტება: ‘Anything that calls for special effort’ –ნებისმიერი რამ, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას.

ინტერესს იწვევს 90-იანი წლების Cassell-ის ლექსიკონში წარმოდგენილი ერთ-ერთო მნიშვნელობა, რომლის დეფინიციაც გახლავთ: ‘a difficulty which stimulates interest or effort: a task, undertaking, etc.; To test one’s powers and capabilities to the full’ – სირთულე რომელიც ახდენს ინტერესის ან ძალისხმევის სტიმულირებას: დავალება, წამოწევა ა.შ. რომელიც ადამიანის უნარებისა და ნებისყოფის სრულ გამოვლინებას უწყობს ხელს.

საყურადღებოა XXI საუკუნის Oxford-ის ლექსიკონი, რომლის მიხედვითაც, ლექსიკური ერთეულის “challenge” პირველადი მნიშვნელობა არის: ‘A new or difficult task that tests sb’s ability and skill’ – ახალი ან რთული დავალება, რომელიც ადამიანის უნარების ერთგვარი გამოცდაა. ანალოგიურ მნიშვნელობას ვხვდებით Longman-ის ლექსიკონშიც (Longman 2005).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ 70-იანი წლებიდან დღემდე სიტყვის “challenge” მნიშვნელობამ „გამოწევა“ თანდათანობით მიიღო დადებითი კონოტაცია. სწორედ აღნიშნული მნიშვნელობა დაედო საფუძვლად პოლიტიკურად კორექტული ტერმინების წარმოებას თანამედროვე ინგლისურში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური კორექტულობა გულისხმობს ვერბალურ ქცევას, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერი სახის ვერბალურ დისკრიმინაციას: რასობრივს, გენდერულს, რელიგიურს, თუ პოლიტიკურს. შესაბამისად, პოლიტიკური კორექტულობის მისაღწევად ენობრივი კოლექტივის მთავარი მიზანია, იპოვოს ახალი ენობრივი ერთეულები იმათ ჩასანაცვლებლად,

რომლებიც ეხება ინდივიდის გრძნობებს, ავიწროებს მის ადამიანურ უფლებებს, რაც დაკავშირებულია ენობრივ უტაქტობასთან, ასაკობრივ დისკრიმინაციასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და სხვა.

საკვლევ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ განსხვავებული უნარის მქონე ადამიანის სახელდება ინგლისურენოვან ენობრივ კოლექტივებში ხდებოდა სხვადასხვა ტერმინით, რომლებიც ეტაპობრივად იცვლებოდა. ამ ცვლილების მიზეზს წარმოადგენს აღნიშნული ტერმინების მიერ ნეგატიური კონოტაციის შექმნა, არათავაზიანი და არაკორექტული დატვირთვის გამოვლენა.

დღეს განსხვავებული უნარის მქონე ადამიანის სახელდებისას ინგლისურენოვან ენობრივ კოლექტივებში აქტიურად იყენებენ პოლიტიკურად კორექტულ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა შემადგენლობაშია სიტყვა “challenged”. ამ ტერმინის გამოყენებით ხდება აღნიშნულ ჯგუფში შემაჯავლი ადამიანების ,ნაკლის’ ეფემიზაცია. თუ აღნიშნულ ტერმინს თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს არაპირდაპირობის სტრატეგიის (off-record-indirect startegy) ნიმუშს. ტერმინს “challenged” ვხვდებით პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებში, როგორებიცაა: Physically challenged, Visually challenged, Vertically challenged, Mentally challenged.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები წარმოადგენენ განსხვავებული უნარის მქონე ადამიანების სახელდების სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც შინაარსობრივი დატვირთვით ერთი და იგივეა, მაგრამ შეურაცხმყოფელი და დამაკნინებელი სახელდებაა ამ პირთათვის.

არაკორექტული ტერმინები განსხვავებული უნარის მქონე პირთა სახელდებისას	პოლიტიკურად კორექტული ტერმინები განსხვავებული უნარის მქონე პირთა სახელდებისას
Lame	
Crippled	
Handicapped	
Invalid	
Spastic	


Special needs	Physically challenged
Retarded people	
Learning difficulties/ learning disability	
Differently abled	
Disabled	

Physically-challenged-ის სინონიმებად ასევე მოიაზრება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: disabled, differently abled, exceptional, impaired, incapacitated. მაგრამ მიჩნეულია, რომ აღნიშნული ტერმინები დღესდღეობით შინაარსობრივად პოლიტიკურად არაკორექტული და არათავაზიანობის გამომხატველია.


ზემოსხენებულ სიტყვის challenge შემცველ ლექსიკურ ერთეულთა გამოყენება პირველად განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980 წელს, რათა აღეკვეთათ შემდეგი ტერმინების disabled/handicapped ხმარება. შემდეგ კი, ზემოსხენებულ პოლიტიკურად კორექტულ ტერმინთა გამოყენება გავრცელდა ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განსხვავებული უნარის მქონე პირთა სახელდებისას უნდა მოხდეს ხაზგასმა მათი შესაძლებლობების და არა შეზღუდვების. აგრეთვე, მიზანშეწონილი არ არის ემოციურად დატვირთული მსახდვრელების გამოყენება, როგორც არის: საბრალო, უბედური, საცოდავი ან სხვა. ტერმინში: “physically challenged” გვაქვს ჯერ შესაძლებლობის განმსაზღვრელი სიტყვა და შემდეგ სიტყვა “გამოწვევა”, ვხვდებით პოლიტიკურად კორექტულ დადებითი მნიშვნელობის მატარებელ სახელდებას, რომელშიც ევფემიზაციის ხარჯზე შერბილებულია პიროვნების ნაკლი და დადებითი კუთხით არის წარმოჩენილი: ინდივიდის ნაკლი წარმოდგენილია როგორც გამოწვევა მისთვის.

საყურადღებოა ვებგვერდის “google” დახმარებით ნაწარმოები სტატისტიკური კვლევა, რომელმაც აჩვენა ტერმინის „ზმნიხედა+challenged” უხვი რაოდენობის სტატიები თუ ვიდეომასალები. აღნიშნულის ძიება თარიღდება 2013 წლის მონაცემებით (სულ: 7,400,000).



აგრეთვე, “google books”-ის დიაგრამის თანახმად, პოლიტიკურად კორექტული ტერმინი, რომლის სტრუქტურა გახლავთ: ზმნიზედა + მიმდებარე II ზმნისა ‘challenge’, 1980 წლიდან აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა წიგნსა თუ სტატიაში.



შესაბამისად, ლექსიკური ერთეული “challenge”, რომელიც გვხვდება ზმნიზედასთან შერწყმის შედეგად რთულ სიტყვებში, მიჩნეულია ფიზიკური ნაკლის მქონე ინდივიდთა მიმართვისას პოლიტიკურად კორექტულ ტერმინად. იგი დადებითად წარმოაჩენს იმ მამაც ადამიანს, რომელიც მის კონკრეტულ წინააღმდეგობას უმკლავდება და აღნიშნული ტერმინი გვევლინება დადებითი სემანტიკის მატარებელად, ვინაიდან ინდივიდის ნაკლის წარმოჩენას ახდენს მხოლოდ დადებითი კუთხით.

ინდივიდის ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ტერმინებში აღსანიშნავია ტერმინი "challenged"-ის გამოყენება/ჩანაცვლება.

<i>პოლიტიკურად არაკორექტული</i>	<i>პოლიტიკურად კორექტული</i>
Invalid > handicapped > disabled	Physically challenged
Short people	Vertically challenged people
Fat people	Horizontally challenged people
Blind	Visually challenged
Mute	Vocally challenged
Ugly	Aesthetically challenged
Bald	Follicularly challenged
Dead	Metabolically different
Psychopath	Socially misaligned
Retarded children	Children with learning difficulties

აღნიშნული მონაკვეთი მსურს დავასრულო იტალიელი მეცნიერის უმბერტო ეკოს სიტყვებით: „მთავარი ის კი არ არის, რომ მოვიგონოთ თუ რა ვუწოდოთ „ჩვენ“ (მოსაუბრეებმა) სხვებს, მთავარია ვიცოდეთ, თუ როგორ სურთ ამ სხვებს იწოდებოდნენ“.

1.5.1 სხვადასხვა

აღნიშნულ ქვეთავში გაერთიანებულია შემდეგი სოციალური ჯგუფები, რომლებიც ხშირად პოლიტიკურად არაკორექტულად მოიხსენებიან. კერძოდ: ასაკოვანი ადამიანები, სოციალურად შეჭირვებულები, მიუსაფრები და ასევე არაპრესტიჟული სპეციალობის წარმომადგენლები.


სოციალურად დაუცველ ინდივიდთა აღმნიშვნელი ინგლისურენოვანი ტერმინები:

<i>პოლიტიკურად არაკორექტული</i>	<i>პოლიტიკურად კორექტული</i>
Old age pensioners	Senior citizens
Poor	
Disadvantaged	Economically disadvantaged
Ill-provided	Low income people
Socially deprived	Economically exploited
Underprivileged	
Disadvantage	
Unemployed	Unwaged
Old	Chronologically gifted
	Mature

წარმოვიდგინოთ, ინგლისურენოვანი სტატიების სათაურებს, რომლებშიც გვხვდება სოციალურად დაუცველ ინდივიდთა პოლიტიკურად კორექტული ტერმინები (ინტერნეტწყარო№82).

1. “The average debt held by *senior citizens* has ballooned to \$50,000 in 2010, up 83% since 2001, according to Federal Reserve data”.
2. “*Senior citizens* struggle with mounting debt”.

3. “After Barack Obama offered his potential vice presidency to a *senior citizen*, *CNN* decided to let the new candidate-to-be air her views”.
4. “Odyssey Honors Sandy Smith for Work with Students from *Economically Disadvantaged* Communities”.
5. “No Obamacare subsidy for some low-income Americans”.
6. “*Mature people* realize what's truly important”.



პროფესიასთან დაკავშირებული ტერმინები

პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებზე მომუშავე პირები ცდილობენ შეიმუშაონ იმ პროფესიებთან დაკავშირებული პოლიტიკურად კორექტული ტერმინები, რომლებიც არ სარგებლობენ დიდი პატივისცემით საზოგადოებაში:


<i>პოლიტიკურად არაკორექტული</i>	<i>პოლიტიკურად კორექტული</i>
---------------------------------	------------------------------

Garbage/Trash Collector	Waste Management Sanitation engineer
Undertaker	Morticians Funeral director
Barber	Hair stylist Beautician

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ვხვდებით, პროფესიასთან დაკავშირებული პოლიტიკურად კორექტული ტერმინებს (ინტერნეტწყარო №83):

1. “Lisa Jones is a **mortician** at the Staffordshire NHS trust. She works alongside the Forensic Service in special cases such as Home Office murder inquiries”.
2. “ A deaf **mortician** in the UK tells the BBC about her job and how she got there.“So, You Wanna Be a **Mortician**?”.
3. “The following post will be my attempt to destroy your dreams of becoming a **funeral director**”.
4. “He always wanted to be **funeral director** and started his business fourteen years ago”.
5. “A **hair stylist** is accusing former "American Idol" judge and rapper Nicki Minaj of wiggling out on a deal”.
6. “Steve Jones hosts a competition to find Britain's best amateur **hair stylist**”.
7. “Five **beauticians** are given challenges to encourage them to shed their insecurities”.


8. “A young Cheltenham **beautician**, Alexandra Wilson, has reached the finals of the BBC Three search to find the UK's top Young Talent”.
9. “Lauren Harris, 20, of Oakenclough Road, Bacup, triumphed in the final of BBC Three's Young **Beautician** of the Year competition”.



<i>პოლიტიკურად არაკორექტული</i>	<i>პოლიტიკურად კორექტული</i>
Slums	Substandard housing
Third world countries	Emerging nations
Uneducated	Alternatively schooled

10. “It reported that 80 percent of the world's people still live **insubstandard housing**”.

11. “Firms place asylum seekers in **sub-standard housing**”.
12. “Private security firms G4S and Serco have placed asylum seekers in **sub-standard** properties, according to a report by the National Audit Office”.
13. “London Fire Brigade (LFB) has expressed its concern over the thousands of people living in the capital in **substandard housing**”.
14. “Substandard housing for troops”.
15. “**Emerging** and developing **nations** have embraced mobile and internet technology, but how it's used varies from region to region”(ინტერნეტწყარო№84).



სოციალურად დაუცველ ინდივიდთა აღმნიშვნელი ქართულენოვანი ტერმინები:

პოლიტიკურად არაკორექტული	პოლიტიკურად კორექტული
უპატრონო	მიუსაფარი
ღარიბი შეჭირვებული	სოციალურად დაუცველი
მაწანწალა უპატრონო	მზრუნველობამოკლებული

ნარკომანი	პრობლემური ადამიანი
ლოთი	
შვილობილობა, შვილად აყვანა	მინდობით აღზრდა


წარმოვიდგინოთ მაგალითებს ქართულენოვანი სტატიებიდან, რომლებშიც გვხვდება პოლიტიკურად კორექტული ტერმინები (ინტერნეტ-წყარო №81):

1. „დღეს ჩვენს ქვეყანაში უამრავი თავშესაფარია, სადაც ათასობით **მიუსაფარი** ბავშვი ცხოვრობს”.
„ვაჭრობა ობოლი და **მიუსაფარი** ბავშვებისთვის გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების პროდუქტით”.
2. „თუ ვინმეს გაგაჩნიათ ინფორმაცია, ან შემთხვევით წააწყდით **მიუსაფარ** ადამიანს, რომელიც ღამეს ღია ცის ქვეშ ათევს, ნუ დაიზარებთ, გადაარჩინეთ თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე”.
3. „სოციალური სუბსიდიების სააგენტო **სოციალურად დაუცველთა** ბაზაში არსებული ოჯახების მდგომარეობას ხუთ წელიწადში ერთხელ გადაამოწმებს”.
4. „დახმარება **სოციალურად დაუცველ** ოჯახებს”.
5. „დაახლოებით ერთი თვეა, რაც **სოციალურად დაუცველი** ოჯახები, რომლებიც რეალურად საჭიროებენ დახმარებას, ელოდებიან”.
6. „**სოციალურად დაუცველი** ბავშვები თბილისში”.
7. „საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ევრიჩაილდმა" და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა, ევროკავშირის დაფინანსებით, ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის აღერნატიული სერვისების – **მინდობით აღზრდის**, მცირე ტიპის საოჯახო სახლებისა და დღის ცენტრების საჭიროებათა კვლევის შედეგები დღეს, 27 აპრილს წარმოადგინეს”.
8. „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი მინდობით აღზრდის პროგრამაში მონაწილე ბეკოშვილებისა და რეხვიაშვილების ოჯახებს ესტუმრა. ოჯახებში, რომლებიც კარის მეზობლები არიან, **მინდობით აღზრდაში** 3 ბავშვი იმყოფება”.

„ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირებისათვის გათვალისწინებული საარსებო შემწეობის გაცემის თარიღმა, 1-ელ ივნისამდე გადაიწია“.

9. „კონფერენცია მზრუნველობა მოკლებული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია“.
10. „ჩვენს დროში მზრუნველობა მოკლებული ბავშვების პრობლემა აქტუალურია. იუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში ოცამდე ბავშვთა სახლი ფუნქციონირებს, მიტოვებული ბავშვების უმრავლესობა მაინც ქუჩაში იზრდება“.
11. „მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დამახინჯებული ფსიქიკა და სამად გაყოფილი სამყარო“.

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკულ გამოსახულებაში ნათლად ჩანს ზემოთ მოყვანილი პოლიტიკურად კორექტული ტერმინების სტატისტიკური მაჩვენებელი.



ინტერესს იწვევს, თუ როგორ მოიხსენებიან, არაპრესტიჟული იმიჯის მქონე პროფესიები ქართულენოვანი საზოგადოების მიერ. წარმოდგენილი მაგალითები გვხვდება სხვადასხვა ქართულენოვან სტატიებში (ინტერნეტ-წყარო № 81):

პოლიტიკურად არაკორექტული	პოლიტიკურად კორექტული
--------------------------	-----------------------

დალაქი, პარიკმახერი	სტილისტი
გრიმიორი	ვიზაჟისტი
ოფიციანტი	მიმტანი
მეძავი ბოზი პროსტიტუციით დაკავებული	სექსმუშაკი
მეკუბოვე	დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენელი
მენაგვე, მეუზოვე	დასუფთავების სამსახურის მუშაკი/წარმომადგენელი

1. „ასე მივიდა იგი იტალიაში მცხოვრებ ნიგერიელ **სექსმუშაკებამდე**, რომლებიც უკვე 20 წელზე მეტია არალეგალური მიგრაციის გზით კეთენ იტალიის საზღვარს და თავს და სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს პროსტიტუციით არჩენენ“.
2. „2013 წლის 17 დეკემბერს, **სექს-მუშაკებისადმი** ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს, “იდენტობის” აქტივისტები გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში ნაცემ სექს-მუშაკს შეხვდნენ. ვიდეო დამონტაჟებულია, რათა სექს-მუშაკის იდენტიფიცირება შეუძლებელი იყოს, მისივე უსაფრთხოების მიზნით“.
3. „17 დეკემბერს აღინიშნება **სექს-მუშაკების** დაცვის დღე ძალადობისა და მკაცრი მოპყრობისაგან (International Day to End Violence Against Sex Workers). უკვე ჩამოყალიბდა ტრადიციაც, რომელმაც მიიღო სახელწოდება: „წითელი ქოლგების მარში“ (March of the Red Umbrellas). ამ დღეს ყველა, ვინც არ არის გულგრილი სექს-მუშაკების შრომით საქმიანობაში არსებული შესაძლო დისკრიმინაციისადმი, გამოდის ქუჩაში წითელი ქოლგით“.
4. „შედიხართ რომელიმე კაფე/რესტორანში და გხვდებათ მოღუშული **მიმტანი**, რომლის დანახვაზეც ალბათ არასასიამოვნო შეგრძნება გაგიჩნდებათ“.
5. „იუთუბზე **ვიზაჟისტი** ანი მწითურიძე აღმოვაჩინე, რომელმაც ქართულ ენაზე გამოსცა წიგნი "მაკიაჟის ანბანი ქალბატონებისთვის“.


6. „რატომ გახდა მედია ჩახავას შვილიშვილი ვიზაჟისტი და მაკიაჟის გაკეთების რა რჩევებს იძლევა იგი?“.

7. „როგორც ერთ–ერთი მომსახურების დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენელმა გვითხრა, დამკრძალავი ბიუროს მომსახურება 2000 ლარი ჯდება“.

8. „რატომ არ იყენებენ დასუფთავების სამსახურის მუშაკები თანამედროვე ტექნიკას?“.

9. „სტილისტი მიშა გასიტაშვილი პოპულარული ქართველების ნდობით აღჭურვილი პირია“.

10. „მოკლედ, თუ ვინმეს ოჯახური კერა მოგბეზრებიათ, სტილისტი მიშა მზადყოფნაშია“.



I თავის დასკვნა

1. ამრიგად, პოლიტიკური კორექტულობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ვერბალური ქცევა, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერი სახის ვერბალურ დისკრიმინაციას: რასობრივს, გენდერულს, რელიგიურს თუ პოლიტიკურს.

სპეციალური ლიტერატურისა და ინგლისურ და ქართულ ემპირიულ მასალაზე ჩატარებული კვლევების შედეგად გამოყოფილ იქნა პოლიტიკურად კორექტული დისკურსის ოთხი ძირითადი სფერო: **გენდერული, სექსუალურ უმცირესობათა, რასობრივი, ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა** სფეროები.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ აღნიშნული სფეროები განსხვავებულად არის რეალიზებული თანამედროვე ინგლისურსა და ქართულში.

2. XIX-XX საუკუნეებში ფემინისტური მოძრაობის გაძლიერებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც აისახა ინგლისური ენის ლექსიკასა და გრამატიკაში.

- ა) ინგლისურენოვანი ფემინისტები მოითხოვდნენ რომ, მდებარეობითი სქესის მიმართვის ფორმაში არ ასახულიყო ქალის ოჯახური მდგომარეობა. შესაბამისად, ნაცვლად მიმართვისა “Mrs“ შეიქმნა მიმართვის ფორმა “Ms“.
- ბ) ფემინისტ ქალთა პროტესტს იწვევდა ადამიანის ზოგადი მნიშვნელობის მატარებელი ბოლოსართი “-man“, რომელიც ძირითადად გვხვდებოდა პროფესიასთან დაკავშირებულ ტერმინებში. აღნიშნულის ჩანაცვლება მოხდა განზოგადებული მნიშვნელობის ტერმინით “person”, რომელშიც არ არის განსაზღვრული პიროვნების გენდერი.
- გ) ზოგადი მნიშვნელობის მხ. რიცხვის მე-3-ე პირის ნაცვალსახელს “he” ჩაენაცვლა გრამატიკული კონსტრუქციები, რომელთა მთავარი მიზანია ზოგადის მნიშვნელობით გამოყენებული “he”-ს თავიდან აცილება.
- დ) მცდელობა, შემოუშავებელიყო გენდერულად ნეიტრალური მესამე პირის მხ. რიცხვის ნაცვალსახელები “zhe”, “zher”, “zhim” უშედეგო აღმოჩნდა. ვინაიდან, ენისთვის „მიუღებელია“ ხელოვნური ჩარევა.

3. ვინაიდან, ქართულ ენაში, ინგლისურისგან განსხვავებით, სქესი არ გამოიხატება გრამატიკულად, აღნიშნული პრობლემა არ დამდგარა ქართულ საზოგადოებაში. თანამედროვე ქართულში ქალისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიხატება ძირითადად პროპოზიციათა დონეზე. ეს უკანასკნელი ეფუძნებიან კონცეპტუალურ მეტაფორაში ასახულ სტერეოტიპებს: მათში ქალი წარმოდგენლია სუსტ სქესად, მამაკაცი კი, ძლიერად. აღნიშნულ სტერეოტიპთა რღვევაც პროპოზიციათა დონეზე ხდება.

4. რასობრივ სფეროში, ინგლისურენოვან კულტურებში, ტერმინი „რასა“ ეფუძნება კონცეპტუალურ მეტაფორას: „რასა არის ფერი“. აღნიშნული პრობლემა იწვევს რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლთა პროტესტს.

XX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა ისეთი ინგლისური ტერმინების აღმოფხვრა, რომლებშიც საზოგადოებრივი პიროვნების კანის ფერი. ასევე რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლთა პროტესტს იწვევს ცალკეული ერების გაიგივება ცხოველთა გარკვეულ სახეობებთან და მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფელი ლექსიკური ერთეულების გამოყენება.

5. ქართულში რასობრივად დისკრიმინაციული ტერმინები ეფუძნება ცალკეული ერისათვის დამახასიათებელი საკუთარი სახელების განზოგადებული მნიშვნელობებით გამოყენებას. ასევე ხშირია ლექსიკური ერთეულის „ურჯულო“ გამოყენება განსხვავებული რელიგიის მქონე ინდივიდთა მიმართ. ხშირ შემთხვევაში წოდებით ბრუნვაში, ან უარყოფით კონტექსტში გამოყენებული ცალკეული ეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინი შეურაცხყოფელ ლექსიკურ ერთეულად იქცევა.

6. როგორც თანამედროვე ინგლისურში, ასევე ქართულ ენაში, ფიზიკური/მენტალურ ნაკლის მქონე პირთა პოლიტიკურად კორექტული სახელდება ეფემიზაციის პრინციპს ეფუძნება.

7. ყურადღებას იპყრობს ინგლისურენოვან რეალობაში ლექსიკური ერთეული „challenge“, რომელიც ფართოდ გვხვდება ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა აღმნიშვნელ პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებში (ზმნიზედა + სიტყვა „challenge“ წარსულის მიმდევობის ფორმით). აღნიშნული რთული სიტყვები გვევლინება დადებითი სემანტიკის მატარებლად, ვინაიდან ინდივიდის ნაკლს წარმოაჩენენ მხოლოდ დადებითი კუთხით.

8. საქართველოში ფიზიკური/მენტალურ ნაკლის მქონე ადამიანთა მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად ვარირებს; საზოგადოების ერთი ნაწილი გულისყურით ეკიდება განსხვავებული უნარის მქონე ადამიანებს. მეორე ნაწილისათვის ეს ადამიანები მარგინალები არიან. ისინი უარს ამბობენ მათთან ურთიერთობაზე და ქართულ მედიაში ამის მრავალი მაგალითი არსებობს. ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ადამიანებს საზოგადოების ნაწილი სახელითაც კი არ მოიხსენიებს. კერძოდ, მათ მიმართ გამოიყენება

ნაცვალსახელები: „ისეთი“, „ის“. საზოგადოებისთვის ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სახელდება ტაბუირებულია.

აგრეთვე საყურადღებოა, სამედიცინო ტერმინები: „დაუნი“, „დებილი“, რომელთა ყოფით მეტყველებაში გამოყენება ნეგატიური კონოტაციის მატარებელია.

9. თანამედროვე ინგლისურენოვანი და ქართული საზოგადოებები მისწრაფიან აღმოფხვრან ის ლინგვისტურად შეურაცხყოფელი ტერმინები, რომლებიც ახდენენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, კერძოდ: სოციალურად დაუცველი ინდივიდების, არაპრესტიჟული პროფესიის ადამიანების სახელდებას.

აღნიშნულ სფეროშიც პოლიტიკურად კორექტული ტერმინების წარმოება ეფუძნება ევფემიზაციის პრინციპს.

თავი II

პოლიტიკური კორექტულობა თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით

2.1 შესავალი

წინამდებარე თავის მიზანია შეისწავლოს პოლიტიკური კორექტულობის ცნება თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით. მიმაჩნია, რომ პოლიტიკური კორექტულობის ქცევის ტიპი მჭიდრო კავშირშია თავაზიანობისა და სახის თეორიებთან.

თანამედროვე ეტაპზე კულტურათაშორისი ურთიერთობების დროს მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ცალკეული კულტურისათვის დამახიასათებელ პოლიტიკური კორექტულობის ნორმებზე, რათა არ წარმოიქმნას გარკვეული გაუგებრობა კომუნიკაციის დროს.

როგორც ცნობილია, ყოველდღიურ მეტყველებაში ვიყენებთ სხვადასხვა სახის დისკურსს და ეს დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოზე - ვიმყოფებით მეგობრების გარემოცვაში თუ ოფიციალურ ატმოსფეროში. აქედან გამომდინარე, მეტყველი სუბიექტი ირჩევს შესაბამის სამეტყველო რეგისტრს (რომელშიც დაცულია, როგორც თავაზიანობის, ასევე პოლიტიკური კორექტულობის ნორმები) და მიუსადაგებს იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც ის იმყოფება.

როდესაც მეტყველი სუბიექტი ჩართულია საუბრის პროცესში, ის ინდივიდუალურად ცნობიერის თუ ქვეცნობიერის დონეზე ირჩევს იმ სამეტყველო რეგისტრს, რომელიც მას დაეხმარება საუბრის პროცესის წარმართვაში.

ბრაუნისა და ლევინსონის (Brown & Levinson 1990) თანახმად, თავაზიანობის სტრატეგიები ემსახურება კომუნიკანტთა სახის შენარჩუნებას. ტერმინი „სახე (Face)“ სოციოლინგვისტ ერვინ გოფმანთან განმარტებულია შემდეგნაირად:

“Face is the positive social value a person effectively claims for himself by the line others assume he has taken during a particular contact...an image of self delineated in terms of approved social attributes (სახე - ეს არის სოციალური ღირებულება, რომელსაც პიროვნება ეფექტურად ირგებს გარკვეული კონტაქტის დროს და ის აღიარებულია სხვათა მიერ... ის წარმოადგენს სოციალურად მისაღებ თვითხატს (Goffman 2006:5).

„სახე“ ეს არის სოციალური ფენომენი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომუნიკაციისას. აღნიშნული თეორიის თანახმად, ადამიანები ინტერაქციისას ცდილობენ შეინარჩუნონ სახე და ამასთანავე დაიცვან და პატივი სცენ სხვის სახეს და გრძნობებს. მეტყველ სუბიექტს შეუძლია შეიმუშაოს სხვადასხვა სახე სხვადასხვა საკომუნიკაციო პროცესში. ადრესატის ტიპიდან გამომდინარე ადრესანტი იყენებს სხვადასხვა ტიპის სახეს. სოციალური ურთიერთობების ტიპიდან გამომდინარე გოფმანმა გამოყო სახის ის მახასიათებლები, რომლებიც ღირებულია მეტყველი სუბიექტის მიზნების მისაღწევად (Goffman 2006).

ე. გოფმანის თეორია „სახის“ შესახებ ასახავს, ადამიანის უნარს წარმოაჩინოს “თვითობა” (“the self”) და “სხვა” (“the other”) კომუნიკაციისას. აგრეთვე, თეორია შეისწავლის სოციალურ მიმართებებს ზემოხსენებულ ორ ცნებას შორის; გოფმანი განასხვავებს ორი ტიპის „სახეს“: დადებითსა და უარყოფითს.

დადებითი სახე - კომუნიკანტები არიან ერთი სოციალური ჯგუფის წევრები. მათ შორის დისტანცია დიდი არ არის და მათი კომუნიკაცია ხასიათდება ფამილარობით, ინტიმურობით, რაც გამოიხატება არაოფიციალური რეგისტრის გამოყენებაში.

უარყოფითი სახე - სიტყვა „უარყოფითი“ ამ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს ნეგატიურს. უბრალოდ, კომუნიკანტებს შორის არსებობს სოციალური დისტანცია, ისინი ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას თავიანთ ქმედებასა თუ

ქცევაში, რაც არ გულისხმობს იმას, რომ მათ შორის არ არის პატივისცემა (Goffman 2006).

ინტერესს იწვევს ჯეფრი ლიჩის თავაზიანობის თეორია: იგი თავაზიანობას განსაზღვრავს „ინტერპერსონალური რიტორიკის“ ფარგლებში და მკვეთრ სხვაობას ავლენს სემანტიკასა და პრაგმატიკას შორის. ლიჩის თვალსაზრისით, სემანტიკა ეხება გრამატიკასა და ლინგვისტურ სისტემებს, პრაგმატიკა კი, რიტორიკას, კავშირს წინადადების აზრსა და მის კომუნიკაციურ მნიშვნელობას შორის.

ლიჩს შემოაქვს თავაზიანობის 6 მაქსიმა: ტაქტის (Tact), გულუხვობის (Generosity), მოწონების (Approbation), თავმდაბლობის (Modesty), თანხმობის (Agreement) და თანაგრძნობის (Sympathy) (Leech 1983:131). აღნიშნულს იილენ ჯინო, ავტორი წიგნისა „A Critique of Politeness Theories“, შემდეგნაირად განმარტავს: “Leech’s concept of politeness is concerned with conflict avoidance, which is attested by the specifications of the maxims, as well as by his claim that politeness is geared to establishing comity” (ლიჩის თავაზიანობის ცნება ეხება კონფლიქტის თავიდან აცილებას, რომელიც დასტურდება მაქსიმების სპეციფიკით. აგრეთვე, ლიჩის მტკიცებით, თავაზიანობა კავშირშია კორექტულ ქცევასთან (Eelen 2001:9).

რიჩარდ უოტსის თანახმად, თავაზიანობა არის გონივრული და ტაქტიანი ქმედების განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც ექსპლიციტურად მარკირებული და პირობითი ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, განსხვავება თავაზიანობასა და კორექტულ ქმედებას შორის არ გულისხმობს მკაფიო და ფუნდამენტურ სხვაობას. განსაზღვრული ლინგვისტური ფორმები არასდროს არის „შინაგანად თავაზიანი“. შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთობითი ქცევის მიმართება პირობითობასთან განსაზღვრავს თავაზიანობას (Politeness is a special case of politic behavior. Politeness is a subset of politic behavior which is explicitly marked and conventionalized. Therefore, the differentiation between politeness and politic behavior does not really imply a clear-cut fundamental difference. Specific linguistic forms are never ‘intrinsically polite’, so only the relationship of behavior to appropriateness conventions determines politeness (Watts 2003).

სქოლონი და სქოლონი სახისა და თავაზიანობის თეორიების შესახებ აღნიშნავენ შემდეგს: კომუნიკანტები ქმნიან გარკვეულ არამარკირებულ ვარაუდებს მათი ურთიერთობის შესახებ. აგრეთვე ნებისმიერი კომუნიკაციის პროცესში ირგებენ შესაბამის სახეს. გარდა არამარკირებული ვარაუდებისა,

კომუნიკანტები იწყებენ საუბარს მათი ურთიერთობის შესახებ, რომელიც ადამიანური ურთიერთობის ბუნებრივ პროცესს წარმოადგენს. კომუნიკანტები კომუნიკაციის პროცესში თავად განსაზღვრავენ, როგორი სახე მოირგონ და როგორი ურთიერთობა დაამყარონ.

სოციოლინგვისტიკაში არამარკირებული ვარაუდების კომბინაციას, რომელიც ეხება დიალოგის მონაწილეებს და მათ ურთიერთობებს იმ ვარაუდების შესახებ, რომლებიც კომუნიკაციისას წარმოიშვება, შეისწავლის სახის თეორია. სქოლონებთან „თვითობა“ აღნიშნულია, როგორც კომუნიკაციური იდენტობა. ტერმინის „სახე“ შესწავლის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რაც ღიად ტოვებს კითხვას, თუ ვინ არის „ნამდვილი“ ადამიანი ამ სახის მიღმა. უფრო მეტიც, ვარაუდებში მნიშვნელოვანია ის კულტურული სხვაობები „თვითობის“ შესახებ, რომელიც კომუნიკაციის ჩართულობის პროცესში ვლინდება (*“The ‘Self’ as a Communicative Identity. One reason the term ‘face’ is attractive in communicative studies is that it leaves open the question of who is the ‘real’ person underneath the face which is presented in communication. Nevertheless, it is important to point out now that there may be significant cultural differences in the assumptions made about the ‘self’ that is involved in communication” Scollon & Scollon 2001:46*).

როგორც ცნობილია, ბრაუნისა და ლევინსონის „თავაზიანობის თეორია“ ეფუძნება სწორედ ერვინ გოფმანის „სახის თეორიას“. მათთან კი ტერმინი „სახე“ განმარტებულია შემდეგნაირად: *“The public self image that every member wants to claim for himself“* („სახე“, ეს არის ის საზოგადოებრივი თვითხატი, რომელსაც საზოგადოების თითოეული წევრი ირგებს (Brown & Levinson 1990:61).

აგრეთვე, ბრაუნი და ლევინსონი აღნიშნავენ, რომ *“სახე” “can be lost, maintained or enhanced, and must be constantly attended to interaction”* - შეიძლება დაიკარგოს, შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს; სახე ყოველთვის თან უნდა ახლდეს კომუნიკაციას (Brown & Levinson 1990:61).

ბრაუნისა და ლევინსონის „თავაზიანობის თეორიის“ თანახმად, „სახე“ აბსტრაქტული ცნებაა; იგი შედგება ორი ძირითადი მოთხოვნისგან: 1. კომუნიკანტი მიისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ, უარყოფილია სხვაზე აზრის თავს მოხვევა; 2. კომუნიკანტის მიზანია, მისი ვერბალური ქმედება მისაღები და მოსაწონი იყოს (Brown & Levinson 1990:13).

ბრაუნისა და ლევისონის „თავაზიანობის თეორიაში“ გამოიყოფა ოთხი ტიპის სტრატეგია:

1. დადებითი თავაზიანობა (Positive Politeness) მიზნად ისახავს კომუნიკანტთა დადებითი სახის შექმნასა და შენარჩუნებას. ხაზგასმულია, რომ კომუნიკანტები ერთ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნიან. აღნიშნული მისწრაფებანი კი რეალიზდება ენაში, რაც ვლინდება არაოფიციალური რეგისტრის, ჟარგონის, სლენგისა და სხვ. გამოყენებაში (Brown & Levinson 1990:101).

აგრეთვე ავტორები აღნიშნავენ, რომ დადებითი თავაზიანობა კავშირშია დადებით სახესთან “the positive consistent self-image or ‘personality’ (crucially including the desire that this self-image be appreciated and approved of) claimed by interactants” (Brown & Levinson 1990:61). დადებითი თვითხატი ან „პიროვნულობა“ ძირითადად შეიცავს სურვილს, რომ ეს თვითხატი დაფასებულ და მიღებულ იქნეს მსმენელთა მიერ).

2. უარყოფითი თავაზიანობა (Negative Politeness) – კომუნიკანტთა მისწრაფებაა შეინარჩუნონ მათ შორის არსებული დისტანცია. ყოველივე ეს ვლინდება ოფიციალური ან ნეიტრალური რეგისტრის გამოყენებაში. კომუნიკაციის პროცესში ვხვდებით როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ სამეტყველო აქტებს უარყოფითი თავაზიანობის გამოსახატავად (Brown & Levinson 1990:129).

ბრაუნი და ლევისონი აღნიშნავენ, რომ უარყოფითი თავაზიანობა ეს არის: “The basic claim to territories, personal preserves, rights to non-distraction - i.e. to freedom of action and freedom from imposition”, ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს თავისუფალი ვერბალური ქმედება, კომუნიკანტის დამოუკიდებლობა, ანუ სხვაზე ზემოქმედებისგან თავის შეკავება (Brown & Levinson 1990:61).

3. თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგია (Bald On Record)– ადრესანტი არ ითვალისწინებს ადრესატის გრძნობებს და არ ფიქრობს იმაზე რომ მისმა ნათქვამმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც მისი, ასევე ადრესატის სახის რღვევა (Brown & Levinson 1990:72).

4. თავაზიანობის არაპირდაპირობის სტრატეგია (Off-Record-indirect strategy) არაპირდაპირობის სტრატეგიის მიზანია არაპირდაპირი სამეტყველო აქტების გამოყენებით თავიდან აიცილოს სახის რღვევის საშიშროება. ანუ, მოსაუბრე ცდილობს მოხსნას დაძაბულობა და აიცილოს ყოველგვარი სახის პირდაპირი რღვევის მუქარა (Brown & Levinson 1990:211).

ზემოხსენებული სტრატეგიებიდან გამომდინარე, ადრესანტი ინფორმაციის მიწოდებისას ცდილობს არ ჩააგდოს ადრესატი უხერხულ ან დამაბნეველ ვითარებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული სტრატეგიების გათვალისწინება არ მოხდა და კომუნიკანტთა სახის ნორმების დაცვა არ განხორციელდა, ადგილი აქვს „სახის რღვევას“ ან სახის რღვევის საშიშროების შემქმნელ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ადრესანტისა და ადრესატის სახის მოთხოვნებს. ბრაუნისა და ლევინსონის თანახმად, აღნიშნულ შემთხვევაში „მიმდინარეობს ადრესატისა და მოსაუბრის სახის მოთხოვნების საპირისპირო პროცესი (“Run(s) contrary to the face wants of the addressee and/or the speaker” (Face Threatening Acts (FTA's (Brown, & Levinson 1990:68,70).

ბრაუნი და ლევინსონი აღნიშნავენ, თავაზიანობის ორივე ტიპი ეფუძნება გრაისის ოთხ მაქსიმას: თვისობრივის, ოდენობრივის, რელევანტურობისა და მანერის. სწორედ აღნიშნული მაქსიმების არგათვალისწინება გარკვეულ კონტექსტში იწვევს კომუნიკანტთა სახის რღვევას (Face Threatening Acts (FTA (Brown & Levinson 1990:95).

ინტერესს იწვევს, თუ რა მიმართებაშია ზემოაღნიშნული სახისა და თავაზიანობის სტრატეგიები პოლიტიკურად კორექტულ დისკურსთან.

2.2 გენდერული სფერო სახისა და თავაზიანობის სტრატეგიებთან მიმართებაში

განვიხილოთ გენდერული სფერო სახისა და თავაზიანობის სტრატეგიებთან მიმართებაში.

ინგლისურენოვანი ემპირიული მასალა. როგორც უკვე აღინიშნა, ინგლისურენოვან სამყაროში, ფემინისტთა თვალსაზრისით, პოლიტიკურად არაკორექტულ მიმართვას წარმოადგენს “Mrs.” ვინაიდან, მასში წარმოდგენილია ქალის საოჯახო სტატუსი. აღნიშნული მიმართვა, ფემინისტთა თვალთახედვით, მათ აყენებს მამაკაცებთან არათანაბარ მდგომარეობაში. ჩანაცვლებული პოლიტიკურად კორექტული მიმართვა “Ms.” თავაზიანობის თეორიის მიერ დადებითად აღიქმება.

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა სახისა და თავაზიანობის თეორიის თვალსაზრისით, კომუნიკაციისას გათვალისწინებული უნდა იყოს ცალკეული

საკომუნიკაციო სიტუაციის სპეციფიკა, ის, თუ როგორ სოციალურ ურთიერთობებს ამყარებენ ინდივიდები, როგორი სახის ტიპს ირგებენ ისინი. როდესაც ადრესანტი ადრესატის მიმართ ადრესატისავე ნებართვით იყენებს მიმართვის ფორმას “Mrs.”, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ადგილი აქვს სახისა და თავაზიანობის დადებით სტრატეგიას. ანუ, კომუნიკანტებს შორის არსებობს გარკვეული სიახლოვე. აღნიშნულის საპირისპიროდ მიმართვის ფორმა “Ms.” ასოცირდება უარყოფით თავაზიანობასთან.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში წარმოდგენილია მიმართვა “Ms.”, რომლებიც გვხვდება საინფორმაციო საიტზე www.bbc.com სტატიების სათაურებსა და ტექსტებში:

- “However, Ms. Dancer said the role of the uniform in transmitting bacteria had been exaggerated”.
- “Ms. Lopez, 36, married Mr. Noa in 1997, and they divorced 11 months later”.
- “A statement from Ms. Johansson's spokesman published on Wednesday announced that the Hollywood star had "respectfully decided to end her ambassador role with Oxfam after eight years", according to the Associated Press”.
- “Ms. Kidman was summoned to appear by Fairfax's lawyers to help to establish that some of the paper's description of Mr. Fawcett was accurate”.
- “She said Ms. Jolie left messages concerning travel arrangements and other plans, which Ms. Huthart never received”.

ზემოაღნიშნულ მაგალითებში მიმართვა “Ms.” წარმოადგენს უარყოფითი თავაზიანობას, რადგანაც კომუნიკანტებს შორის არსებობს სოციალური დისტანცია, შესაბამისად, მოსაუბრეები იყენებენ უარყოფითი სახის სტრატეგიას.

როგორც უკვე ითქვა, ფემინისტებისთვის დისკრიმინაციას იწვევდა ადამიანის ზოგადი მნიშველობის მატარებელი სიტყვა “man”, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა პროფესიის აღმნიშვნელ რთულ სიტყვებში “Policeman”, “Cameraman”, “Fireman”, “Postman”, “Spaceman”, “Businessman” “Chairman”, “და ა.შ. აღნიშნული ტერმინები ფემინისტებისთვის წარმოადგენდა სახის მრღვეველ ლექსიკურ ერთეულებს. აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებს ჩაენაცვლა ნეიტრალური ლექსიკური ერთეულები, “Police officer”, “Camera operator”, “Fire fighter”, “Mail carrier”, “Astronaut”, “Chairperson”. მათში არ ფიქსირდება პიროვნების

სქესი. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ტერმინების გამოყენება ასოცირდება უარყოფით თავაზიანობასთან.

ინტერესს იწვევს შემდეგი მაგალითი: ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდზე (www.fifa.com), ვხვდებით გენდერულ ანტიდისკრიმინაციულ ვიდეორგოლს, რომელიც მიმართულია ქალი ფეხბურთელების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების წინააღმდეგ. კერძოდ, აღნიშნული ვიდეო რგოლი ცდილობს თავიდან აიცილოს ყველა ის საკომუნიკაციო სიტუაცია, რომელის დროსაც ქალი ფეხბურთელების მიმართ სახის რღვევის მატარებელი ქცევა ხორციელდება.

როგორც ზოგადად მიჩნეულია, აღნიშნულ სპორტის სახეობაში ქალები ვერ თამაშობენ ისე, როგორც მამაკაცები. ვიდეორგოლის შინაარსი და თანდართული ვერბალური აქტი ეწინააღმდეგება აღნიშნულ მოსაზრებას. ვიდეორგოლში ხაზგასმულია, რომ მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები ისეთივე წარმატებით და პროფესიონალიზმით თამაშობენ ფეხბურთს, როგორც საპირისპირო სქესის წარმომადგენლები.



ვიდეორგოლის ვერბალურ ნაწილში „we all dream, of scoring the winning goal on a greatest stage of all. At FiFA we believe that in football there are no limits...I am a footballer” ვხვდებით ისეთ ლექსიკურ ერთეულს, როგორიცაა: ინკლუზიური “we”, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ქალები და მამაკაცები აღნიშნულ სპორტში თანასწორი შესაძლებლობის მატარებელი არიან. ისინი მიეკუთვნებიან ერთ სოციალურ გარემოს და აქვთ საერთო სლოგანი და შემართება „I am a footballer” (ინტერნეტწყარო№85).

ქართულენოვანი ემპირიული მასალა. ქართულ მენტალიტეტში ოდითგანვე დამკვიდრებული იყო ოჯახში ქალისა და ვაჟის განსხვავების სტერეოტიპები. როდესაც ოჯახს ჰყავდა როგორც ქალი, ასევე ვაჟი, უპირატესობა ყოველთვის ვაჟს ენიჭებოდა, რადგან ის გვარის გამგრძელებელად, სამომავლოდ ოჯახის მარჩენლად და ა.შ. ითვლებოდა. მაშინ, როდესაც, ქალიშვილი ყოველთვის

„მეორეხარისხოვნად“ აღიქმებოდა. ის უნდა გათხოვილიყო ნაადრევ ასაკში, გაეჩინა და გაეზარდა შვილები, ხელი მიეყო ოჯახური საქმიანობისთვის, განათლებაზე კი ხშირ შემთხვევაში ზედმეტი იყო საუბარი. დღესდღეობით კი ზემოხსენებული სტერეოტიპი ერთგვარ რღვევას განიცდის და იშვიათად თუ შევხვდებით ოჯახებს, რომლებიც მსგავსი იდეოლოგიით სულდგმულობენ. თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში მშობლები შვილებს თანაბრად აღიქვამენ, მიუხედავად სქესისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში შეიძლება შევხვდეთ ამ სტერეოტიპულ გადმონაშთს.

აღნიშნულ სტერეოტიპთან დაკავშირებით ვებგვერდზე „YOUTUBE“ გამოქვეყნდა ვიდეო რგოლები, რომლებიც შეიქმნა იმისათვის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში დაინგრეს ქალისა და ვაჟის დისკრიმინაციის ამსახველი სტერეოტიპები. პირველ ვიდეო რგოლში ყურადღებას იპყრობს შემდეგი წინადადება: „ჯერ არ დაბადებულხარ და შენი ცხოვრება შენ არ გეკუთვნის“. აღნიშნული წინადადება წარმოადგენს ქალთა მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას და ქმნის სახის რღვევის საშიშროების შემქმნელ აქტს.

აღნიშნული ვიდეორგოლის სათაურშივე „გათხოვდება და ქმარი მიხედავს“ ვლინდება ქალისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება.



სათაურში იგულისხმება, რომ ქალი გათხოვების შემდეგ კარგავს უფლებებს და დამოკიდებული ხდება საპირისპირო სქესის წარმომადგენელზე, რომელიც იქნება მისი ცხოვრების გზამკვლევი და რომელმაც უნდა „მიხედოს“ მას.

ვიდეორგოლში ვხვდებით შემდეგს: დედის მიმართვას ჯერ არ-დაბადებული მღედრობითი სქესის ბავშვისადმი: „დედას გოგო, რომ იცოდე წინ რამდენი რამე გელოდება. კარგად უნდა გათხოვდე და ოჯახს მოუარო. ჯერ კი არ დაბადებულხარ, მაგრამ უკვე ვხედავ, როგორ ფუსფუსებ. ბევრი სწავლა და

მუშაობა არ გინდა, რა ქალის საქმეა, თან ხალხი რას იტყვის” (ინტერნეტ-წყარო№86).

აღნიშნული გამონათქვამები „ოჯახს მოუარო”, „ბევრი სწავლა და მუშაობა რა ქალის საქმეა” არ ითვალისწინებს მომავალი ქალის შეხედულებებსა და უფლებებს. აღნიშნულ მაგალითში კომუნიკანტი მიმართავს პირდაპირობის სტრატეგიას, რასაც მიეყვართ კომუნიკანტთა სახის რღვევისკენ.

მეორე ვიდეორგოლი ეხება ჯერ არდაბადებულ მამრობითი სქესის წარმომადგენელს. მისი სათაურია: „ოჯახის რჩენა მაინც კაცის საქმეა” (ინტერნეტ-წყარო№87); აღნიშნულ ვიდეორგოლში მამის მიერ შექმნილია ყოვლისშემძლე ვაჟკაცის ხატი ოჯახურ სიტუაციაში.



ვიდეორგოლის ვერბალურ ნაწილში ვხვდებით შემდეგს: „მამას ვაჟკაცი, მაგარი ბიჭი გაიზრდება, მამამ რომ შენით იამაყოს. რამდენიც არ უნდა იოცნებო, საბოლოოდ მაინც ოჯახის მარჩენალი გახდები. წელში გაწყდები, მაგრამ ცოლს არავითარ შემთხვევაში არ ამუშავებ, როგორც კაცურ კაცს შეეფერება. ჯერ არ დაბადებულხარ და შენი ცხოვრება შენ არ გეკუთვნის. ყველა მარტომ უნდა არჩინო”.

ზემოაღნიშნულ ფრაზებში „ოჯახის მარჩენალი გახდები”, „წელში გაწყდები” „ცოლს არავითარ შემთხვევაში არ ამუშავებ”, „ყველა მარტომ უნდა არჩინო” წარმოდგენლია თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგია, რომელიც არ ითვალისწინებს არც მამრობითი და არც მდედრობითი სქესის წარმომადგენლის დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი. შესაბამისად, აღნიშნული ვიდეორგოლი არის სახის რღვევის ნათელი მაგალითი.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას და სექსისტურ გამოხატვას ვხვდებით შემდეგ ქართულენოვან საგაზეთო სტატიებსა თუ სატელევიზიო გადაცემებში:

“რუსთავი 2-ის”, ტოქშოუში „პოზიცია” (2013 წლის 7 მაისი) ფარული ჩანაწერების თემაზე მსჯელობისას გადაცემის ერთ-ერთმა რესპონდენტმა, გაზეთ „რეზონანსის” რედაქტორმა ლაშა ტულუშმა, მეორე რესპონდენტს, ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორს თამარ ჩერგოლეიშვილს, მისი მეუღლის, უშიშროების საბჭოს მდივნის, ნაცვლად მოჰკითხა პასუხი. საპასუხოდ თამარ ჩერგოლეიშვილმა ოპონენტს ქალთა უფლებების პატივისცემისკენ მოუწოდა (ინტერნეტწყარო№88):

თამარ ჩერგოლეიშვილი: „რა შუაშია ჩემი მეუღლე? მესაუბრეთ მე. მე არ გესაუბრებით თქვენს მეუღლეზე... მესაუბრეთ, როგორც ჟურნალის რედაქტორს. XXI საუკუნეა. ქალებს პატივი ეცით, თუ შეიძლება“.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ჩანაწერში არ იყო გამოყენებული პოლიტიკურად არაკორექტული ლექსიკური ერთეულები, ლაშა ტულუშის დისკურსმა გამოიწვია როგორც მისი, ასევე ადრესატის სახის რღვევა; მან მოიხსენია თამარ ჩერგოლეიშვილი არა როგორც ჟურნალ „ტაბულას” რედაქტორი, არამედ როგორც ყოფილი მაღალჩინოსნის, გიგა ბოკერიას, მეუღლე. აღნიშნული ვერბალური ქმედებით ლაშა ტულუშმა შელახა თამარ ჩერგოლეიშვილის უფლებები. მსგავსი სამეცყველო აქტი დამახასიათებელია თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიისთვის (Bald On Record).

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. გაზეთ „ასავალ-დასავალის” 2013 წლის 3-9 ივნისის გამოცემაში მწერალი თამაზ წიგწივაძე ამბობს:

„ახლა, თუ ყველა ქალი ბუტკაში შვეა და იქ ქარგვით, ჭრა-კერვით დაკავდება, ხოლო ყველა მამაკაცი ბუტკიდან გამოვა, კავსა და გუთანს მოეკიდება – საშველი უსათუოდ იქნება!”

წარმოთქმულ ფრაზებში ავტორი ძირითადად არ იყენებს პოლიტიკურად არაკორექტულ ლექსიკურ ერთეულებს, თუ არ ჩავთვლით ჟარგონულ სიტყვას „ბუტკა”. თუმცა იგი ირონიული ტონით ხაზს უსვამს ქალისა და მამაკაცის ტრადიციულ საქმიანობას. შესაბამისად, იგი მიმართავს თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიას. აღნიშნული ვერბალური ქმედება წარმოადგენს კომუნიკანტთა სახის რღვევის ნიმუშს.

ქალისა და მამაკაცის შესახებ არსებული სტერეოტიპი ვლინდება შემდეგ მაგალითშიც: საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „დიალოგი” (2013 წლის 17 ივლისი) შალვა ნათელაშვილი „ქართული ოცნების” საპრეზიდენტო კანდიდატს მიმართავს (ინტერნეტწყარო№89): ”განმაცვიფრა მისმა [გიორგი

მარგველაშვილი, "ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი სურათმა, როცა ის ქსოვს... "კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბუჭველსა?" – რუსთაველიც კი გმობდა ასეთ ქმედებებს... კაცი უნდა გრდემლზე მუშაობდეს და არა ქსოვდეს".

შალვა ნათელაშვილის გამონათქვამები ეფუძნება ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულ სტერეოტიპს ქალისა და მამაკაცის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ. აღნიშნული ვერბალური ქმედება შეიძლება განვიხილოთ თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის ნიმუშად.

ტელეარხ კავკასიის გადაცემაში „სპექტრი“ (2013 წლის 27 ივნისი) კოკი იონათამაშვილი ამბობს (ინტერნეტწყარო№90): „საოცარია ასევე ის, რომ მშვენიერი გარეგნობის გოგონა (ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელი) გველაპარაკება მთელი დღე ფინანსთა სამინისტროდან. მშვენიერი გოგონაა, მაგრამ ისეთ მძიმე თემებს ამბობს. ამას არ აქვს მნიშვნელობა, გარეგნულ მონაცემებს ადამიანის, ეს ჩვენ ნახევრად ხუმრობით ვთქვით, თუმცა ის მართლაც მშვენიერი გოგონაა (სტილი დაცულია)".

აღნიშნული დისკურსის მონაკვეთის ანალიზი ავლენს, რომ მთქმელი ახდენს ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების აქტუალიზაციას; „მძიმე თემაში“ იგულისხმება სერიოზული პრობლემები, რომელთა განხილვის უნარი მხოლოდ მამაკაცებს შესწევთ. ქალს მხოლოდ „მშვენიერი გარეგნობა“ უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, აღნიშნულ დისკურსში ადრესანტი იყენებს თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიას, რასაც კონტექსტუალურად მივყავართ სახის რღვევისკენ.

გენდერული სფეროს განხილვამ სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით გვიჩვენა შემდეგი: ორივე ენასა და კულტურაში სახისა და თავაზიანობის ნორმების რეალიზაცია შეიძლება მოხდეს როგორც ექსპლიციტური ლინგვისტური საშუალებებით, ასევე იმპლიციტურად, გარკვეული სტერეოტიპების გამოყენებით.

სხვადასხვა კონტექსტში ცალკეული ლინგვისტური ერთეულის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა პრაგმატიკული დატვირთვის იყოს. კომუნიკანტთა შორის არსებული სოციალური დისტანციიდან გამომდინარე, ერთი და იგივე ლინგვისტური ერთეული შეიძლება აღვიქვათ, როგორც დადებითი ან უარყოფითი თავაზიანობის ნიმუშად.

2.3 სექსუალურ უმცირესობათა სფერო სახისა და თავაზიანობის სტრატეგიებთან მიმართებაში

განვიხილოთ სექსუალურ უმცირესობათა სფერო სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით.

ინგლისურენოვანი ემპირიული მასალა. ინტერესს იწვევს პირველ თავში განხილული ცნობილი ამერიკელი მომღერლისა და კომპოზიტორის, ლედი გაგას, 2011 წლის სიმღერის “Born This Way”(„ასეთად დაბადებული“) ანალიზი სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით. როგორც უკვე აღინიშნა სიმღერის ტექსტში ნათლად და მკაფიოდ არის წარმოდგენილი ის პოლიტიკურად კორექტული ვერბალური ქცევა, რომელიც გამორიცხავს ყველა ტიპის დისკრიმინაციას, რასობრივს, გენდერულს, რელიგიურს და სხვა..

სიმღერის ტექსტში მომღერალი მსმენელს მიმართავს: არ აქვს მნიშვნელობა, ხარ აფრო-ამერიკელი, თეთრი თუ ყვითელი რასის წარმომადგენელი, შერეული წინაპრები გყავდა, ლიბანელი თუ აღმოსავლეთის ქვეყნების მცხოვრები ხარ (You're black, white, beige, chola descent, You're Lebanese, you're orient), უბრალოდ, გვიყვარდეს ერთმანეთი. არ აქვს მნიშვნელობა, ხარ ქრისტიანი, მუსულმანი, კათოლიკე თუ ათეისტი, განსხვავებული ორიენტაციის ადამიანი: გეი, ლესბოსელი, ტრანსგენდერი ან ჰეტეროსექსუალი (No matter gay, straight, or bi, lesbian, transgendered life), მთავარია, გწამდეს ღმერთის (Believe capital H-I-M).

- “It doesn't matter if you love him, or capital H-I-M”

"There's nothing wrong with loving who you are"

She said, "'Cause he made you perfect”.

- “Don't be a drag, just be a queen

Whether you're broke or evergreen

You're black, white, beige, chola descent

You're Lebanese, you're orient

Whether life's disabilities

Left you outcast, bullied, or teased

Rejoice and love yourself today
'cause baby you were born this way”.

- “No matter gay, straight, or bi,
Lesbian, transgendered life,
I'm on the right track baby,

- No matter black, white or beige
Chola or orient made,
I'm on the right track baby,
I was born to be brave”.

ლედი გაგას სიმღერის ტექსტში გამოყენებულია დადებითი თავაზიანობის ნორმები; მომღერალი თითქოსდა იყენებს პოლიტიკურად არაკორექტულ ტერმინებს: “drag”, “queen”, “black”, “chola descent”, “orient”, “disabilities”, “straight”, “bi”, “transgendered”. თუმცა იგი ხაზს უსვამს, რომ მიეკუთვნება იმავე სოციალურ ჯგუფს, რომელსაც მისი ადრესატები. შესაბამისად, ზემომოყვანილი პოლიტიკურად არაკორექტული ტერმინების ნიმუშები გამოიყენება შიდაჯგუფური კომუნიკაციისას და დადებითი თავაზიანობის მაჩვენებელია.

თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ქრისტინა აგილერას სიმღერა **“Beautiful“** (2002). სიმღერის ტექსტში, გამოყენებული არ არის ლგბტ საზოგადოების აღმნიშვნელი პოლიტიკურად კორექტული ლექსიკური ერთეულები. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა საზოგადოებამ სიმღერა უმაღლ დადებითად მიიღო, რადგანაც ვიდეორგოლში ვხვდებით ლგბტ საზოგადოებისთვის მისაღებ ვიზუალურ ხატებს.

როგორც უკვე აღინიშნა, სიმღერის ტექსტში მომღერალი, როგორც თავის თავს, ასევე სხვასაც მოუწოდებს: „შესანიშნავი ვარ(ხარ), მიუხედავად იმისა თუ რას იტყვიან სხვები. სიტყვები ვერაფერს დამ(გვ)აკლებს. არ აქვს მნიშვნელობა რას გავაკეთებთ, რას იტყვიან, ჩვენ ვართ მელოდია სიმღერაში, სავსე ლამაზი შეცდომებით. სადაც ჩვენ წავალთ, მზე ყოველთვის იკაშკაშებს. ხვალ კი შეიძლება სხვა მხარეს აღმოვჩნდეთ”.

- “I am beautiful
No matter what they say
Words can't bring me down
I am beautiful

In every single way
Yes words can't bring me down”

- “You're beautiful

No matter what they say
Words can't bring you down
You're beautiful

In every single way
Yes words can't bring you down

- No matter what we do

No matter what we say
We're the song inside the tune
Full of beautiful mistakes”

- “And everywhere we go

The sun will always shine
And tomorrow we might awake
On the other side”.

სწორედ ვიზუალური და ვერბალური კოდების მეშვეობით ვხვდებით, რომ



აღნიშნული სიმღერა ეძღვნება სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს. ავტორი ლებტ საზოგადოებას მოიაზრებს ზოგადად საზოგადოების ნაწილად და სიმღერის ტექსტში ვხვდებით პირველი/მეორე პირის მხ. და მრ. რიცხვის ნაცვალსახელებს: “I am beautiful”, “You're beautiful” ;“And everywhere we go”, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ავტორი არ ავლენს ზღვარს სხვადასხვა სოციალურ

ჯგუფებს შორის. შესაბამისად, აღნიშნული სიმღერა შეიძლება განვიხილოთ დადებითი თავაზიანობის ნიმუშად.


როგორ უკვე აღინიშნა, ამერიკელი პოპმომღერალის, სინდი ლაუპერის, სიმღერა **"True Colors"** (1986) წარმოადგენს სექსუალურ უმცირესობათა ჰიმნს. მომღერალმა იგი მიუძღვნა თავის ლესბოსელ დას, რომელიც თავისი ორიენტაციის გამო უარყოფილ იქნა როგორც ოჯახის წევრების, ასევე საზოგადოების სხვა ნაწილის მიერ. სიმღერის ტექსტში ვხვდებით: „ვხედავ შენს ბუნებრივ ფერებს და ამიტომაც მიყვარხარ, ნუ იქნები უბედური და ნუ გეშინია მათი ჩვენების, რადგანაც შენი ბუნებრივი ფერები არის მშვენიერი, როგორც ცისარტყელა“. სიმღერის ტექსტის ინტერპრეტაციამ ცხადყო, რომ სიმღერის მორალი გამოხატავს შენდობას, პატიებას, ნამდვილ სიყვარულს და მეგობრობას. ადრესანტი მის უშუალო ადრესატს დებულობს ისეთად, როგორც არის მიუხედავად მისი „ბუნებრივი ფერებისა“

“But I see your true colors
Shining through
I see your true colors
And that's why I love you
So don't be afraid to let them show
Your true colors
True colors are beautiful,
Like a rainbow
Show me a smile then,
Don't be unhappy”.

ლაუპერმა, სიტყვით “rainbow” (ცისარტყელა), გამოხატა თავისი დამოკიდებულება ლგბტ წარმომადგენელთა მიმართ. როგორც ცნობილია, ცისარტყელა წარმოადგენს ლგბტ საზოგადოების სიმბოლოს. აქ ქვეტექსტად იგულისხმება პიროვნების ორიენტაცია, კონკრეტულად კი ვხვდებით იმპლიკაციას სიტყვაში “rainbow”, რომელიც ლგბტ საზოგადოების სიმბოლოს წარმოადგენს. აღნიშნულ სიმღერაში, პიროვნების ორიენტაცია მოცემულია იმპლიკაციის დონეზე, არაპირდაპირი სამეტყველო აქტით, რაც თავაზიანობის არაპირდაპირობის სტრატეგიას წარმოადგენს.

თუმცა, კონტექსტიდან გამომდინარე, ლგბტ საზოგადოების სიმბოლომ „ცისარტყელა“ უარყოფითი დატვირთვა მიიღო შემდეგ მაგალითში, რომელიც

თავაზიანობის პირდაპირობის (Bald On Record) სტრატეგიის ნიმუში გახლავთ: სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ გამოქვეყნდა ფოტო:



აღნიშნული ფოტო გამოხატავს დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას სექსუალურ უმცირესობათა მიმართ. ჩამოთვლილი ტერმინები: გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი გულისხმობს ლგბტ წარმომადგენლების დისკრიმინაციას; თუ ფოტოზე გამოსახულ ლგბტ წარმომადგენელთა ტერმინების გარდა ყურადღებას გავამახვილებთ სიტყვაზე “HUMAN”, იგი ფერადი და დიდი ასოებით არის წარმოდგენილი მაშინ, როდესაც სხვა დანარჩენი სიტყვები უფრო მცირე და არაფერადი ზომის შრიფტით.

ფოტოს მიხედვით, ადამიანთა ჯგუფიდან გამორიცხულია სექსუალური უმცირესობები, რაც ლგბტ წარმომადგენლების დისკრიმინაციას იწვევს და იგი არ ითვალისწინებს ადრესატის გრძნობებს. ამ ფოტოს ავტორი არ ფიქრობს იმაზე, რომ გამოიწვევს „სახის რღვევას“. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ფოტო კონტექსტუალურად პოლიტიკურად არაკორექტულია და იგი აგრეთვე არათავაზიანობის ნიმუშია.

2013 წლის 17 მაისს საქართველოში გაიმართა ჰომოფობიისა და ტრანსფობიასთან ბრძოლის (აიდაპო-International Day Against Homophobia and Transphobia) საერთაშორისო დღესეთან დაკავშირებით ფლეშმობაქცია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებსაც.

როგორც ცნობილია, „ჰომოფობია“ ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს: „ჰომოს“- „იგივე“, „ტოლი“ და „ფობოს“-„შიში“. აღნიშნული ტერმინი აღნიშნავს უსაფუძვლო შიშს ჰომოსექსუალების მიმართ.

ტრანსფობია, ნეგატიური დამოკიდებულება ტრანსსექსუალებისა და ტრანსგენდერების მიმართ. შიში იმ ადამიანებისადმი, რომელთა ბიოლოგიური სქესი და გენდერული იდენტობა არის განსხვავებული.

აღნიშნულ აქციასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ გამოქვეყნდა ფოტო, რომელიც წარმოადგენს ლგბტ საზოგადოების ფერადოვან დროშას. მასზე დატანილი შემდეგი წარწერები კი იწვევს ინტერესს:



„მე ვარ გეი, მე ვარ ლესბოსელი, მე ვარ ბისექსუალი, მე ვარ ტრანსგენდერი, ვარ შენნაირი და მე ვარ ადამიანი“. აღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებულია დადებითი თავაზიანობის ნიშუმი. კომუნიკანტებს შორის ხაზგასმულია სოციალური დისტანციის ნაკლებობა. გამოყენებულია მეორე პირის ნაცვალსახელი “I am like you”. ცისარტყელას ფერები კი მიუთითებს განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებაზე: წითელი - სიცოცხლე, ნარინჯისფერი - ჯანმრთელობა; ყვითელი - მზე; მწვანე - ბუნება; ლურჯი - სული; ალისფერი - სექსუალურობა.

Used by the gay community to represent diversity and unity.



გებგვერდ “Gay Neighbor”-ზე მოყვანილია ლგბტ წარმომადგენელთა სპეციალური ტერმინოლოგიის ლექსიკონი, რომელიც შემუშავებულია ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის, „გეებისა და ლესბოსელების ალიანსი ცილისწამების წინააღმდეგ (Gay & Lesbian Alliance Against

Defamation/GLADD (ინტერნეტწყარო№104)” მიერ. შესაბამისად, აქ დაცულია პოლიტიკორექტულობა და თავაზიანობისა და სახის თეორიის ნორმები.

პოლიტიკურად არაკორექტული	პოლიტიკურად კორექტული
Homosexual	gay; gay man or lesbian
“homosexual relations/relationship,” "homosexual couple," "homosexual sex," etc.	“relationship” (or "sexual relationship"), “/couple” (or,if necessary, "gaycouple"), "sex," etc.
"sexual preference"	"sexual orientation"
"gay lifestyle" "homosexual lifestyle"	“lesbian,” "gay," "bisexual"
"admitted homosexual" "avowed homosexual"	“openly lesbian,” "openly gay," “openly bisexual"
"gay agenda" "homosexual agenda"	"lesbian and gay civil rights movement" or "lesbian and gay movement"

"hermaphrodite"	"intersex person"
"sex change," "pre-operative," "post-operative"	"transition"
"special rights"	"equal rights" "equal protection"
"transgenders," "a transgender"	"transgender people," "a transgender person"
"transgendered"	"transgender"

ქართულენოვანი ემპირიული მასალა: 2014 წლის 17 მაისს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდა ფილმი სახელწოდებით: „დედა, მამა, მე ვარ გეი“.

ფილმის ერთ-ერთი მონაწილე დავით შუბლაძე, რომელიც აცხადებს თავის იდენტობას და ორიენტაციას, რომ ის არის გეი, ამბობს შემდეგს: „19-20 წლის ასაკში დავისვი დედაჩემი და მამაჩემი და ვუთხარი: დედა, მამა, მე ვარ გეი. თავიდან, რა თქმა უნდა, არაერთგვაროვანი რეაქცია იყო, ჩვეულებრივი რეაქცია, როგორც ქართულ ჰეტერო-ნორმატიული ოჯახი მიიღებს ამას. დედა რა გვეშველება, მოგვეჭრა თავი, ხალხი რას იტყვის ჩვენზე და ა.შ. მაგრამ, გავიდა ერთი-ორი კვირა და მიხვდნენ, რომ ორიენტაციას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. არ ვარ ისეთი ტიპი, რომელზეც ასობით სტერეოტიპია, რომ არიან გარყვნილები, ავადმყოფები.“

გარდა ამისა, როდესაც მამაჩემი ტელევიზორს უყურებს, ვინმე გეი გამოდის იქ, გადმომხედავს ხოლმე მე, სახე შეეცვლება, უნდა თქვას: „ეს პიდარასტი, არ შეგვჭამეს ამ პიდარასტებმა?!“. მაგრამ, ხვდება, რომ არ უნდა

თქვას ეს, თვითონ ჰყავს ოჯახში გვი, რომელზეც იგივე სტერეოტიპები არსებობს და იგივენაირად ლაპარაკობენ და მიხვდა, რომ არ არის ეს ეს, და ხვდება, რომ ეს მართლაც ესე არ არის და უბრალოდ სტერეოტიპია” (სტილი დაცულია).

ფილმის მონაწილის, დავით შუბლაძის, მიერ წარმოთქმულ ტექსტში ვხვდებით შემდეგს: კომუნიკანტები (დავითი და მშობლები) არ მიეკუთვნებიან ერთ სოციალურ ჯგუფს (ლგბტ-ს), მაგრამ არიან ერთი ოჯახის წარმომადგენლები. როგორც დავით შუბლაძის ნარატივიდან ვხვდებით, მას შეხვდა წინააღმდეგობა ოჯახში, მამამ მის მიმართ გამოიყენა პოლიტიკურად არაკორექტული ტერმინი „პედერასტი“, რითაც გამოიწვია როგორც საკუთარი, ასევე შვილის სახის რღვევა. თუმცა ოჯახი შეეგუა შვილის ორიენტაციას და ოჯახის წევრები იცავენ უარყოფითი თავაზიანობის ნორმებს. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს უარყოფითი თავაზიანობის მაგალითს.

2013 წლის 17 მაისს საქართველოში გამართულ ჰომოფობიისა და ტრანსფობიასთან ბრძოლის (აიდაპო-International Day Against Homophobia and Transphobia) საერთაშორისო დღესთან მოწყობილ ფლეშმობაქციასთან დაკავშირებით ვხვდებით სხვადასხვა ფორუმზე, პოლიტიკურად კორექტული ტერმინების მაგალითებს (ინტერნეტწყარო№91):

- „გადაუდგნენ წინ გუგების მსვლელობას და არ უშვებდნენ”
- „ჰომოსექსუალიზმი არ უნდა იქნეს უარყოფილი”
- „გეი ხარ იყავი, რას აფიშირებ“
- „მივესალმები მსგავს აქციებს საქართველოში. ამგვარი გამოსვლები ჩვენი საზოგადოების აზროვნების დონის ამაღლებისთვის არის საჭირო. მსგავსი აგრესია მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელი იყო, მაგრამ, თუ ჩვენი ჰომოსექსუალი მეგობრები განაგრძობენ აქტიურობას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ თაობაში თუ არა, შემდეგ თაობებში გაძლიერდება სექსუალური თავისუფლება“.

სავარაუდოდ, კომუნიკანტები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან; აქ გაუღერებულ ფრაზებში გარდა პოლიტიკურად კორექტული ტერმინებისა „გეები“, „ჰომოსექსუალიზმი“, კონტექსტუალურადაც შენარჩუნებულია დადებითი თავაზიანობის სტრატეგია (Positive Politeness).

როგორც უკვე აღინიშნა, სექსუალურ უმცირესობათა სახელდება ქართულ საზოგადოებაში ხშირად არაპოლიტიკორექტული ტერმინებით გამოიხატება. მაგ.: გეებს ხშირად მოიხსენიებენ შემდეგი სიტყვებით: „პედერასტი“, „მამათმავალი“, „ცისფერი“, „მესაჯდომე“, „ქალუსია“, „ქეთინო“, „ქეთუსია“. ეს სახელდებები ადამიანმა ხშირად შეიძლება გაიგონოს როგორც ყოველდღიურ მეტყველებაში, ასევე წაიკითხოს ქართულ ონლაინგაზეთებში, ფორუმებსა თუ ბლოგებზე. ყველა ეს მაგალითი სახის რღვევის ნიმუშია.

წინა თავში მოყვანილია დიმიტრი ლორთქიფანიძის 2009 წელს პარლამენტის ტრიბუნიდან გაკეთებული განცხადება ჰომოსექსუალობის დასჯად ქმედებასთან დაკავშირებით. აღნიშნულია: „მამათმავლობა უნდა იყოს დასჯადი ქმედება, თუკი იგი საზოგადოებრივ და საჯარო ინტერესს აშკარად ლახავს, თუკი იგი წარმოადგენს გაუკუღმართებული და გაუზნეურებული ქცევის წესებს და ამით ცდილობენ საზოგადოებაში დანერგონ არაჯანსაღი ტენდენციები“.

მომდევნო მაგალითი წარმოადგენს სახის მრღვეველ აქტს, რადგანაც მთქმელი არ ითვალისწინებს მსმენელის გრძნობებს და იყენებს შეურაცხყოფელ სიტყვებს, რაც თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიისთვის არის დამახასიათებელი.

თავაზიანობის თვალსაზრისით განვიხილოთ ონლაინგაზეთ news.ge-ზე 2012 წლის 22 ოქტომბერს განთავსებულ სტატია სახელწოდებით:

„რკინიგზის თანამშრომელს ეზგუბაია მამათმავალი ეგონა და მატარებლიდან აგდებდა“; „თბილისი ფორუმზე“ კი ვხვდებით სიტყვა „პედერასტს“: „გაიკვირვეთ, თორემ ჩვენ არა გვყავს პარლამენტის თავმჯდომარე პიდარასტი“; „იქ გეები ჰქვიათ. პიდარასტები აქ არიან“.

განვიხილოთ თავაზიანობის კუთხით ერთ-ერთი ბლოგერის მიერ წარმოდგენილი მოსაზრება ქართველი მამაკაცის წარბებთან დაკავშირებით. კერძოდ:

„...მამაკაცები დასცინებენ, მამამისი პიდარასტს დაუძახებს, დედამისი კი შალს მოახვევს შუბლზე...“.

აღნიშნული სიტყვების გამოყენებით მოსაუბრე მიმართავს სახის პირდაპირობის სტრატეგიას (**Bald On Record**) და ის გამიზნულად არღვევს კომუნიკანტთა სახეს.

2013 წლის 17 მაისს საქართველოში გამართულ ჰომოფობიისა და ტრანსფობიასთან ბრძოლის (აიდაპო - International Day Against Homophobia and

Transphobia) საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ლგბტ საზოგადოების მიმართ განხორციელდა შეურაცხყოფელი და დისკრიმინაციული ვერბალური ქცევა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, „თბილისი ფორუმზე“ წამოჭრილ პოლემიკაში ვხვდებით, არაპოლიტიკორექტულ მაგალითებს (ინტერნეტ წყარო№91):

- „რუსთაველზე იყო პიდარასტების აქცია“
- „პიდარასტები უნდა იცემონ „პიდარასტობა და კაი ცხოვრება პოლანდიაში“

- „ეს გეები, პიდარასტები თუ ლესბები რატომ აძლევენ ამის უფლებას თავს?

ზემოჩამოთვლილ მაგალითებში ტერმინები: „პიდარასტები“, „ლესბები“ თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიას (Bald On Record) წარმოადგენს და იწვევს მკითხველის სახის რღვევას და არ ითვალისწინებს ადრესატის გრძნობებს.

2014 წლის 17 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებელზე გადაცემაში „წითელი ზონა“, ერთ-ერთ სიუჟეტში, ვხვდებით 2013 წლის მეუფე სპირიდონის ქადაგებას:

„რა გგონიათ, ის, ვინც დღეს მოდის და ქართველი ხალხის გამამათმავლებას, სოდომისტობას და გაპიდარასტებას უკეთებს აგიტაციას, პროპაგანდას და რეკლამას, ის იმაზე უარესი მტერი არ არის?! ვინ არის მოძალადე, ჩვენ ვართ თუ ისინი? მოდიან, აფინანსებენ, ვითომ საქართველო დამონებული ჰყავთ ფინანსურად და ეკონომიკურად და ეუბნებიან: შენ თუ არ გახდები მამათმავალი, ბილწი და სოდომელი ცოდვით დაცემული, არაფერს არ მოგცემთო, გრანტსაც არ მოგცემთო. ჩვენა ვართ კიდევ მოძალადეები? გკითხებით?!“ (სტილი დაცულია).

სიუჟეტში გაჟღერებული სიტყვებიდან გამომდინარე, გამოყენებულია არაპოლიტიკორექტული ტერმინები და გამიზნულად, პირდაპირი სამეტყველო ქმედებით ხდება მსმენელის შეურაცხყოფა.

24.05-25.05.211, გაზეთ „ალიას“ №40 სტატიაში წარმოდგენილია დიტო ჩუბინიძის ინტერვიუ გია ყრუაშვილთან სახელწოდებით: „პირდაპირ გეუბნებით, საქართველო არის განწირული!..“

„გია ყრუაშვილი: ბოდიში მომითხოვია საზოგადოებისთვის, მაგრამ საქართველოში თუ ამდენი პედერასტი იყო, ნამდვილად არ მეგონა!... სხვათა შორის, არც ის მეგონა, ამ პედერასტებს თუ ამდენი მხარდამჭერი ჰყავდათ...“

ბ-ნი ყრუაშვილის ვერბალურ ქცევაში გამოყენებულია პოლიტიკურად არაკორექტული ტერმინი „პედერასტი“, რომელიც მიმართულია ერთ-ერთი პარტიისადმი, რომლის ყველა წევრი და მხარდამჭერი წოდებულია ჰომოსექსუალად. ბუნებრივია, აღნიშნული იწვევს, მსმენელის სახის რღვევას, რაც თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის (Bald On Record) მაგალითია.

განვიხილოთ შემდეგი ნაწყვეტი ზემოაღნიშნული ინტერვიუდან: „გია ყრუაშვილი: ქართველობა დაიბრუნეთ, თქვე უბედურებო, პირველ რიგში!.. პატრიარქმა თქვა, – ყველაზე მეტად ქართველობა გვაკლიაო!.. დიახ: „რა პურითა, ქართველობით განვიცდით, განვიცდი შიმშილს!“ გაიგეთ, შეიგნეთ, ამ ჭიპგადმოგდებული ქალების და ამ პედერასტების საქართველო არ იქნება არასოდეს!“ (სტილის დაცულია)

კვლავაც ბ-ნი ყრუაშვილის მიერ განხორციელდა სახის მრღვეველი აქტი, წინადადებით: „გაიგეთ, შეიგნეთ, ამ ჭიპგადმოგდებული ქალების და ამ პედერასტების საქართველო არ იქნება არასოდეს!“, რაც კვლავ თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიას უსვამს ხაზს (Bald On Record).

განვიხილოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი აღნიშნული ინტერვიუდან: „გია ყრუაშვილი: ჩვენი მამებისა და ბაბუების დროსაც იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სექსუალური გადახრები ჰქონდათ, მაგრამ ასეთ ადამიანებს მინისტრებად და დეპარტამენტის თავმჯდომარეებად კი არ ნიშნავდნენ... ყველას კისერი უტეხია, მაგრამ მე, იცით, რა მაშინებს? ამ ბინძურ და აქოთებულ ადამიანებს, ტელევიზიით რეკლამას რომ უკეთებენ და ხმაშეწყობილად გაიძახიან, – უი, რა კარგია პედერასტობაო!.. აი, ეს მაშინებს, როგორც ექვსი შვილის მამასა და ბაბუას.

დიტო ჩუბინიძე (ჟურნალისტი): კარგით, გავანებოთ თავი ამ ოჯახებ-ამოსაწყვეტ პედერასტებს, მიტინგზე ოპოზიცია რატომ არ გამოდის?“.

პოლიტიკურად არაკორექტული ტერმინი „პედერასტები“ აქტიურად გამოიყენება ჟურნალისტთა მიერ. აღნიშნულს თან ერთვის სიძულვილის ენის მახასიათებელი სიტყვები: „კარგით გავანებოთ თავი ამ ოჯახებამოსაწყვეტ“. აღნიშნული არ ითვალისწინებს მსმენელის გრძნობებს და ის გამიზნულად

არღვევს მსმენელის სახეს, შესაბამისად გვაქვს, თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის (Bald On Record) მაგალითი.

„კვირის ქრონიკის“ №18 დიტო ჩუბინიძის ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან „არ გიფიქრიათ ერთ რამეზე, ხალხო?! პირდაპირ ვამბობ ამას, გეიკლუბებში ნაწრუწუნები ასვლელიანი რომ ჩამოგიტანს იერუსალიმიდან წმინდა ცეცხლს, რა სიკეთე უნდა მოგვიტანოს იმ ცეცხლმა?...“:

„რეზო ამაშუკელი: დღევანდელი მსოფლიოს 70 პროცენტზე მეტი არის გაპედერასტებული, ახლა, ამ დედამიწაზე, არის დარჩენილი პატარ-პატარა კუნძულები, რომლის წაშლაც უნდათ და აი, ახლა ამაზე მიდის ომი! ბოლიში მომითხოვია და ამ პედერასტების ემისარი რომ არის აქ ერთი ქალბატონი, კამენს რომ ჰგავს, მე ვიცი, მაგათი „ლიბერალობა“ რაც არის... ჟურნალებს რომ გამოსცემენ და ერთ ამბავში არიან, პედერასტების ფულით კეთდება ეგ ყველაფერი და ამ ყველაფრის დირიჟორი, ისევ და ისევ ბოკერიაა და ის შავი ალბინოსი – რამიშვილი... ის საცოდავი ბავშვი – სანდრო გირგვლიანი რომ მოკლეს, სინამდვილეში ამათ მაშინ ქართული ფენომენი მოკლეს“(სტილი დაცულია).

ბ-ნი ამაშუკელის მიერ წარმოთქმულ ფრაზებში, „მსოფლიოს 70 პროცენტზე მეტი არის გაპედერასტებული“, „ამ პედერასტების ემისარი“, „პედერასტების ფულით კეთდება ეგ ყველაფერი“, კვლავ დომინირებს პოლიტიკურად არაკორექტული ტერმინი „პედერასტი“, რაც ზოგადად აუდიტორიის უარყოფით რეაქციასა და კომუნიკანტთა სახის რღვევას იწვევს.

10–11.05.2011, გაზეთი „ალიას“ №35 სტატია სათაურით: „ევროპას ბავშვებისთვის ჰომოსექსუალიზმის „დადებითი მხარეების“ გაზიარება სურს (წყარო folksland.net)“.

„ერთი ტალახიანი ღორი ყველას სვრის და ზუსტად ასეა ბინძური ჰომოსექსუალისტების შემთხვევაშიც. ჰოდა, საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ სულ მალე გეები და ლესბოსელები კი აღარ იქნებიან სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, არამედ ნორმალური ორიენტაციის ადამიანები მოხვდებიან აბსოლუტურ უმცირესობაში.

... ასე მაგალითად, ამსტერდამის მერს ებერჰარდ ვან დერ ლაანს, რომელიც, ბუნებრივია, გამოცდილი მესაჯდომეა, საზიზღარი კანონპროექტი მოუმზადებია, რომელიც მან უკვე ყველას გააცნო. დოკუმენტის თანახმად, ჰომოსექსუალიზმის შესახებ თითქმის ამომწურავი ინფორმაცია ჰოლანდიელ

ბავშვებს უკვე მცირე ასაკიდან უნდა ჰქონდეთ. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ წარსულში პედერასტ ჩინოენიკს ჰომოსექსუალიზმის, როგორც დამატებითი საგნის შემოღება სურდა, თუმცა ახლა გადაიფიქრა და სპეცკურსის დაწყებით კლასებში შეტანაც მოისურვა”.

ინტერვიუს პირველ ნაწილში ვხვდებით პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებს: „ჰომოსექსუალისტების”, „გეები”, „ლესბოსელები”, „სექსუალური უმცირესობა”, მაგრამ კონტექსტუალურად და ასევე ექსპლიციტურ დონეზე ხდება ლგბტ საზოგადოების შეურაცხყოფა, რადგანაც ისინი გაიგივებული არიან „ტალახიან ღორთან” და ზემოხსენებული ინტერვიუც თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის (Bald On Record) მაგალითია.

განვიხილოთ თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის ნიმუშები ამოკრეფილი ტელეგადაცემიდან „ობიექტივი”:

1. ნინო ჯღარკავა: ”სამშობლო, ერი და ენა ისე არ გაგვინადგურებია, როგორც თქვენ (გიგა ბოკერია)... არც ქალთა ქორწინებაზე ვგიჟდებით სიხარულით და არც კაცის კაცთან დაოჯახება გვასხამს ფრთებს [თქვენსავით]“ (ინტერნეტწყარო№92).

2. ნინო რატიშვილი: ”ჩვენთვის ეს [ჰომოსექსუალობა] მანკიერებაა... მრუშობა ჯანსაღი მანკიერებაა უკვე... რა თქმა უნდა, ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, მიუღებელია და მე არ მინდა, მაგალითად, რომ ვინმე მყავდეს ასეთი ორიენტაციის ახლობელი, ნათესავი, მეგობარი“... (ინტერნეტ წყარო№93)

3. ნინო რატიშვილი: ”ზოგისთვის ეს არჩევანია, ზოგისთვის ეს ბიოლოგიური პრობლემაა და დაავადებაა. მე მესმის ეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოხდეს წახალისება“ (ინტერნეტწყარო№94).

4. ილია ჩაჩიბაია: „კარგად გვახსოვს ტომას ფლეტჩერი, ჰომოსექსუალი პედაგოგი ჩამოიყვანეს ბრიტანეთიდან და ზუგდიდის მეოთხე სკოლაში ასწავლიდა ბავშვებს... ახალი ადამიანის გაზრდა უნდოდით მათ [ნაციონალურ მოძრაობას], როდესაც ფლეტჩერი და მისწავრები ჩამოჰყავდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ”ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ – ასეთი პროგრამა იყო და სწორედ რეგიონებში აღიქვამდა ყველაზე უარყოფითად ამ მოვლენას ხალხი იმიტომ, რომ ტრადიციულები ვართ ქართველები. არ შეგვიძლია ის, რომ ვიღაცა მოვიდეს და გვასწავლოს ის, რომ კარგია დღეში ხუთჯერ თმის შეღებვა. სწორედ ამას აკეთებდა მამაკაცი

პედაგოგი, თომას ფლეტჩერი... თმის შედეგაში იგულისხმება ის, რომ ჰომოსექსუალი იყო“ (ინტერნეტწყარო№95).

5. „აი, მაგალითად, შვილი მირჩევნია მე ნარკომანი მყავდეს, ვიდრე ცისფერი იყოს... მაგალითად, აი, ამერიკელებს ხომ ნებადართული აქვთ, რომ ჯარისკაცი ჰყავდეთ შეიძლება ცისფერი?“ (ინტერნეტწყარო№96).

6. ”საქართველოში არ მინდა, რომ ესეთი რაღაცეები ხდებოდეს. ხელს არ ჩამოვართმევ (სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელს), არც ჩემს სახლში არ შემოვუშვებ, ჩემს სამეგობროში ხო ვერ გაიჭაჭანებენ ვერასდროს, რა“ (ინტერნეტწყარო №97).

7. „მსოფლიო, ევროკავშირი, ევროპარლამენტი გვეუბნება საქართველოს, დაიცავით აქ გეები და ლგბტ-ია თუ რაღაც უბედურობების უფლებებით... არაფერი საერთო არ აქვს აქ საქართველოს დაცვას და ლგბტ-ს დაცვა და ამას რომ გეკარნახობს ევროპარლამენტი, ვერ გავიგე, ჩვენც კიდევ თავი უდმოგლეჯით მივისწრაფით ზუსტად იმ ქვეყნისკენ, იმ ამერიკისკენ, სადაც უზნეობაა, არა?“ (ინტერნეტწყარო №98).

8. „იმან მოიტანა, რომ უღმერთობას ქადაგებდნენ. ყოველდღე ხან მამათმავლობას გვიჩვენებდნენ, ხან ტრანსსექსუალებს გვიჩვენებდნენ, ხან გარყვნილებას, ხან აღვირახსნილობას“ (ინტერნეტწყარო№99).

9. „ორი ჰომოსექსუალის ზასაობა ხომ გინახიათ? მაგაზე ამაზრზენი ხომ არაფერი არ არის, არა? აი, ეს კოჰაბიტაცია ამას მაგონებს, რა, ჰომოსექსუალების ზასაობას“ (ინტერნეტ წყარო№100).

პირდაპირობის სტრატეგიის მაგალითის (Bald On Record) წარმოადგენს, ზემოხსენებული მაგალითებიდან შემდეგი ფრაზები: „არც ქალთა ქორწინებაზე ვგიჟდებით სიხარულით და არც კაცის კაცთან დაოჯახება გვასხამს ფრთებს“; „ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, მიუღებელია და მე არ მინდა მაგალითად, რომ ვინმე მყავდეს ასეთი ორიენტაციის ახლობელი, ნათესავი, მეგობარი“; „ზოგისთვის ეს არჩევანია, ზოგისთვის ეს ბიოლოგიური პრობლემაა და დაავადებაა“. „აი, მაგალითად, შვილი მირჩევნია მე ნარკომანი მყავდეს, ვიდრე ცისფერი იყოს“; „ხელს არ ჩამოვართმევ (სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელს)“; „ევროპარლამენტი გვეუბნება საქართველოს, დაიცავით აქ გეები და ლგბტ-ია თუ რაღაც უბედურობების უფლებებით“; „ყოველდღე ხან მამათმავლობას გვიჩვენებდნენ, ხან ტრანსსექსუალებს გვიჩვენებდნენ, ხან

გარყვნილებას, ხან აღვირახსნილობას”. აღნიშნულ ფრაზებში, ავტორები კვლავ არ ითვალისწინებენ ადრესატის გრძობებს, ამასთანავე ექსპლიციტურად, გამოსატყვევ სიძულვილს,

გაზეთ „ასავალ-დასავალის” სხვადასხვა ნომერში უხვად ვხვდებით, თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის (Bald On Record) მაგალითებს:

1. 2013 წლის 27 მაისი- 2 ივნისის გაზეთ „ასავალ-დასავალში” გიორგი გიგაური დასძენს:

„და რა უფლება აქვთ, სიძულვილის ენაზე და ჰომოფობიაზე მელაპარაკონ მაჯლაჯუნები, რომლებიც წლებია, იმათ ძღვენს მიირთმევენ, ვინც ათობით ათასი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ათასობით ბავშვი მოკლა ერაცსა თუ ავღანეთში?!”

„ან გაპედერასტებით, ანდა – ნატო-ს დაემშვიდობეთო!.. თუ ჩვენი დემოკრატიულობა მხოლოდ იმით განისაზღვრება, საქართველოში რამდენი გეი-პარადი ჩატარდება და რამდენი პედერასტი გათხოვდება თავისი „ოცნების მამაკაცზე“, მაშინ ქართველები ხმამაღლა იტყვიან, რომ არ უნდათ ასეთი დემოკრატია!”

2. 2013 წლის 3-9 ივნისის გაზეთ „ასავალ-დასავალში” გიორგი გიგაური:

„ლაშა, მეგობარო, „პიდარმონი“ თამამად შეგვიძლია ”პედარასტის“ ერთგვარ მოფერებით ფორმიდანაც განვიხილოთ და მე თუ მკითხავ, უფრო გიხდება, ვიდრე უხეში და მკვეთრი ”პედარასტი“ და ”მეტ...აკე!“ ...ამ დეგენერატ ლაშა ბუღაძეს (მართლაც ”კლინიკურ შემთხვევას“) ემშობლიურება პედარასტ პიდარმონები და სძულს ჩვენი დედა ეკლესია, პატრიარქი და ასიათასიანი მრველი!“ (სტილი დაცულია)

3. 2013 წლის 17-23 ივნისის გაზეთ „ასავალ-დასავალში”, კვლავ გიორგი გიგაური დასძენს:

გიორგი გიგაური: ”პირდაპირ ვიტყვი, ის, ვინც საქართველოში 17 მაისი დაგეგმა და უდიდესი პროვოკაცია მოაწყო, პედარასტები არ არიან! ესენი უფრო უარესები, სულიერი პედარასტები და იდეოლოგიური მამათმავლები არიან!..

ამ, უკაცრავად და, ლგბტ შაბაშს ხელმძღვანელობდა ვინმე ქეთევან ხუციშვილი (სოროსის ფონდის ხელმძღვანელი საქართველოში). ანუ, საქართველოში ლგბტ პროპაგანდისა და ანტიქართული, პედარასტული ძირგამომთხრელი საქმიანობის შტაბი ძია სოროსის ბუნავია!

დიახ, ეს არის უბინძურესი, უმზაკვრულესი იდეოლოგია, რომელიც ჯერ

გეილუმებს შემოგვაპარებს, შემდეგ ერთსქესიან ქორწინებებს დაგვაკანონებინებს, შემდეგ ბავშვების შვილად აყვანას გვთხოვს და ყველაფერ ამას თუ მიაღწევენ, მერე, ჰოლანდიის მსგავსად, კანონში ჩაგვაწერინებენ, რომ ბავშვების სექსუალური ცხოვრების ასაკი 12 წლით უნდა განისაზღვროს (ანუ პედოფილია კანონიერი გახდეს!) და ისეთი სიბილწეები, როგორც არის ინცესტი, ზოოფილია, ნეკროფილია და ასე შემდეგ, საქართველოში ისეთივე ჩვეულებრივი და უწყინარი რამ გახდეს, რომ როგორც, მაგალითად, ცაციაობაა!

უსინდისოდ ტყუიან ისინი, ვინც, პრაქტიკულად, ყველა ტელეეთერიდან გვიმტკიცებს, რომ ჰომოსექსუალიზმი ჩვეულებრივი მოვლენაა და ჩვენ ამას უნდა შევეგუოთ!“

4. 2013 წლის 22-28 ივლისი გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ალექო ასლანიშვილი:

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი: ”მე არ ვიცი, რამდენი პედარასტია დღეს საქართველოში, ოღონდ, ცხადია, განუზომლად მეტი, ვიდრე ჩემს ყმაწვილკაცობაში იყო... ყოველ მათგანზე შემწედ და მფარველად თითო არასამთავრობო მაინც მოდის. ყოველი პედარასტის უკანაღს ეროვნულ ღირებულებას სძენენ და მის ”მაჯისცემას“ ფხიზლად და ფაქიზად აყურადებენ“.

5. 2013 წლის 13-19 მაისის „ასავალ-დასავალში“ ედუარდ შევარდნაძე დასძენს:

„გეია, თუ რაღაც ჯანდაბაა, გასაგებია, რომ მსოფლიოში მათ მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ ეს საქართველოა და მე, როგორც რიგით ქართველს, არ მინდა, რუსთაველზე მათი ადლუმი ვნახო! რა უბედურებაა. ვეღარ გაგვირკვევია, კაცია თუ ქალი. გეილუმები საქართველოში ვერ გაიმართება“.

ზემოაღნიშნული დიალოგებიდან, ყურადღებას იპყრობს შემდეგი ფრაზები „რამდენი პედერასტი გათხოვდება თავისი ”ოცნების მამაკაცზე“; „პიდარმონი“ თამამად შეგვიძლია „პედარასტის“ ერთგვარ მოფერებით ფორმიდანაც განვიხილოთ“; „ის, ვინც საქართველოში 17 მაისი დაგეგმა და უდიდესი პროვოკაცია მოაწყო, პედარასტები არ არიან! ესენი უფრო უარესები, სულიერი პედარასტები და იდეოლოგიური მამათმავლები არიან!“; „მე არ ვიცი, რამდენი პედარასტია დღეს საქართველოში, ოღონდ, ცხადია, განუზომლად მეტი, ვიდრე ჩემს ყმაწვილკაცობაში იყო“; „გეია, თუ რაღაც ჯანდაბაა, გასაგებია“; „გეი-ადლუმები საქართველოში ვერ გაიმართება“.


თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის მაგალითებს ვხვდებით, აგრეთვე გაზეთ „ალიაში“.

1. გაზეთი „ალია“ (2013 წლის 13-19 მაისი) ხათუნა ელბაქიძე: „რა, აუცილებლად პედერასტი და ლესბოსელი უნდა იყო [გიორგი ფარესიშვილის შესახებ], პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიები რომ მოითხოვო და ”ნაციონალები“ მხარში დაგიდგნენ?“

2. გაზეთში „ალია“ (2013 წლის 24 ივლისი) ვხვდებით ნინო სამხარაძის სიტყვას: „რასმუსენისთვის, ქართველი პედერასტების დუნდულების უსაფრთხოება და ლესბოსელების ვარდისფერი სექსი ისეთივე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, როგორც ანტიტერორისტული მისიები ნატოსთვის. რასმუსენის ივლისის ვიზიტის ერთი ნაწილიც ხომ აღვირახსნილი სექსით დაკავებულთა უსაფრთხოებას დაეთმო და თითი დაგვიქნია, ჭკუით იყავითო. თუკი თქვენი ნატო პედერასტებისა და ”ლესბიანკების“ დაცვაა, ასეთ ალიანსზე უარს ბევრი იტყვის“.

ზემოაღნიშნულ ნაწყვეტებში გაზეთი „ალიადან“ ორივე რესპონდენტი ჭარბად იყენებს პოლიტიკურად არაკორექტულ ტერმინებს. თუმცა აგრეთვე ვხვდებით პოლიტიკურად კორექტულ ტერმინს „ლესბოსელი“. მთლიანობაში დისკურსის აღნიშნული მონაკვეთი მიმართულია კომუნიკანტთა სახის რღვევისკენ.

2014 წლის 24 მაისს ლგბტ დროშასთან დაკავშირებით სოციალური ქსელის გვერდზე “Facebook” „ასე იტყოდა ზარათუშტრა“, გავრცელდა ლგბტ დროშის ცისარტყელას საპირისპირო ქართული ცისარტყელას ვერსია (ინტერნეტ წყარო №101):



**ქართულ-ტრადიციულ-მამაკაპური
ცისარტყელა უნდა იყოს ასეთი.
არ გვინდა პიდარასტული ცისარტყელა**

ფერადოვან ცისარტყელას დაუპირისპირდა შავი რკალით წარმოდგენილი ე.წ. ქართული ცისარტყელა შეურაცხყოფელი წარწერით.

2013 წლის 17 მაისის ჰომოფობიის აქციასთან დაკავშირებით ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ პირდაპირ ეთერში გაშვებულ რეპორტაჟში ჰომოფობიისა და მმკ-ს (მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი) წევრების დაპირისპირებისას, მმკ-ს წარმომადგენელი აუღერებს შემდეგ ფრაზას: „შენი ძმა ვარ მართლმადიდებელი... გეები არ უნდა გავატაროთ... უნდა აეუხსნთან, რომ ეს არის ცოდვა... (ინტერნეტწყარო№102)“

ზემოაღნიშნულ მაგალითში ავტორი იყენებს ტერმინ „გეი“-ს, რომელიც ლგბტ წარმომადგენლებისთვის პოლიტიკურად კორექტულია, ასევე დაცულია თავაზიანობის ნორმები. აღნიშნული უარყოფითი თავაზიანობისა (Negative Politeness) და არაპირდაპირობის სტრატეგიის ნიმუშია (Bald On Record).

თუმცა იგივე მაგალითში, მიუხედავად ტერმინ „გეების“ გამოყენებისა, გვაქვს ფრაზა „გეები არ უნდა გავატაროთ“. აღნიშნული წარმომადგენს ჰომოფობიის ნიმუშს და იწვევს კომუნიკანტთა სახის რღვევას.

2013 წლის 17 მაისის ჰომოფობიის დღესთან დაკავშირებით ოპერის ვარსკვლავი თამარ ივერი 17 მაისის ცნობილი მოვლენების შემდეგ ფეისბუქის გვერდზე აქვეყნებს შემდეგს (ინტერნეტწყარო №103):

„აბსოლუტურად ამაყი ვიყავი იმ ფაქტით, თუ რა გვარიანად შეაფურთხა ქართულმა საზოგადოებამ თქვენი გუნდის ხელშეწყობით გამართულ აქციას... აქციის ორგანიზატორებს ამჯერადაც კოვზი არა ნაცარში, არამედ სოფლის ტუალეტის ფსკერზე რომ მასაა, იმაში ჩაუვარდათ... გამალებული ნუ ეწვეით საქართველოს ხალხის მენტალიტეტში დასავლეთის „ფეკალური მასების“ შემოტანა-პროპაგანდას“.

აღნიშნულმა ძალზედ ნეგატიური გამოძახილი პოვა საზოგადოების მხრიდან. ქმა ივერმა ლგბტ საზოგადოება დაგმო და „ფეკალურ მასებთან“ გააიგივა. აღნიშნულმა ვერბალურმა ქცევამ გამოიწვია როგორც ადრესანტის, ასევე, აუდიტორიის სახის რღვევა. მოქალაქეები აკრიტიკებდნენ თამარ ივერს 2013 წელს ჰომოფობიური განცხადებების გამო და მიმართავდნენ „ოპერა ავსტრალიას“, რომ ჰომოფობი მომღერლის სცენაზე გამოსვლა არ დაეშვა. „ოპერა ავსტრალიამ“ და ბრიუსელის ოპერამ "ლა მონე" შეუწყვიტა კონტრაქტი ქნ ივერს .


2009 წლიდან მოპოვებული მასალის საფუძველზე ქართულ საზოგადოებაში გამოიკვეთა ლგბტ წარმომადგენელთა მოხსენიების შემდეგი დისკრიმინაციული და შეურაცხყოფელი ხშირად გამოყენებადი ლექსიკური ერთეულები:

პოლიტიკურად არაკორექტული	პოლიტიკურად კორექტული
მამათმავალი	ჰომოსექსუალი/გეი
ცისფერი	
პედერასტი	
პიდარასტი	
პედარასტი	
მესაჯდომე	
მეტრაკე	
პიდარომონი	
სოდამელი	
ლესბიანკა	ლესბოსელი
ლესბი	
ჰერმა	ჰერმაფროდიტი
ტრანსი	ტრანსგენდერი
გადახრილი ორიენტაცია	სექსუალური ორიენტაცია
ორიენტაციაარეული	
სექსუალური გადახრა	
არატრადიციული ორიენტაცია	განსხვავებული ორიენტაცია


ჩატარებული სტატისტიკური ანალიზის შედეგად წარმოგიდგენთ,

გრაფიკულ გამოსახულებას, რომელშიც ნათლად ჩანს მაგალითებში გამოყენებული ტერმინები.

არაპოლიტიკორექტული ტერმინების გრაფიკული გამოსახულება:



პოლიტიკურად კორექტული ტერმინების გრაფიკული გამოსახულება:



თავაზიანობის არაპირდაპირობის სტრატეგიის (Off-Record-indirect strategy) მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულენოვანი სინამდვილის მაგალითები:

2–8.05.2011, გაზეთი „კვირის პალიტრის“ №18, ეკა ასათიანის ინტერვიუ ლალი მოროშკინასთან, რომელიც ეხება მის რომანს, „უსექსობა პატარა ქალაქში“.

„ლალი მოროშკინა: იცით, რომ დღეს ძალიან ბევრი მაღალი თანამდებობის პირი პატარა ბიჭებზე ძალადობს?! ჰომოსექსუალიზმი ცალკე თემაა, რომელიც აყვავებული კი არა, უკვე გადაყვავებულიც არის ჩვენს ქვეყანაში. მე მინდა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას: თეთრს – თეთრი, შავს – შავი, ცისფერს – ცისფერი და ვარდისფერს – ვარდისფერი... უმჯობესია ადამიანი თავისუფლად ამბობდეს, რა ორიენტაციის არის, ვიდრე რყენიდეს ახალგაზრდას მისივე სურვილის საწინააღმდეგოდ.“

აღნიშნული დისკურსის მონაკვეთში მოსაუბრე ინარჩუნებს სოციალურ დისტანციას აუდიტორიასთან. იგი მიმართავს პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებს, ასევე პროპოზიციულ დონეზე გმობს დისკრიმინაციას ლგბტ საზოგადოების წარმომადგენელთა მიმართ.

ასევე, პოლიტიკური კორექტულობის ნორმები დაცულია ყოფილი სახალხო დამცველის, გიორგი ტულუშის, განცხადებაში (ინტერნეტწყარო №105):

„ორი წელია, სახალხო დამცველი ვარ და ჩემს აპარატში ერთი განცხადებაც არაა შემოსული სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევის ფაქტზე“.

აღნიშნულ განცხადებაში გამოყენებული ტერმინები: „სექსუალური უმცირესობები“, „ლგბტ“, „ლესბოსელი“ დაცულია, როგორც პოლიტკორექტულობა, ასევე არაპირდაპირობის სტრატეგია.

2014 წლის 17 მაისს, საზოგადოებრივი მაუწყებელზე გადაცემა „წითელ ზონაში“ წამყვანმა წარმოსთქვა შემდეგი: „გეიც ადამიანია, ლესბოსელიც ადამიანია“ (ინტერნეტწყარო №106). აღნიშნულ გამონათქვამში დაცულია თავაზიანობისა და უარყოფითი სტრატეგიების ნორმები.

ბიძინა ივანიშვილი: ”სექსუალურ უმცირესობებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც სხვა მოქალაქეებს და საზოგადოება ამას ნელ-ნელა შეეჩვევა... ვიცი, რომ ხალხის ნაწილი ამას ვერ ღებულობს. ამიტომ სახელმწიფოში სამართალდამცავი სტრუქტურები ფუნქციონირებს და ჩვენ ნებისმიერი

უმცირესობების უფლებების დასაცავად ყველაფერს გააკეთებთ” (ინტერნეტ წყარო №107).

აღნიშნულ წინადადებაში ბ-ნი ივანიშვილი მიმართავს არაპირდაპირ სამეტყველო აქტს, რითაც სახის რღვევის საშიშროების თავიდან აცილება ხდება.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. თეა წულუკიანი: ”არ შეიძლება ცივილიზებული ადამიანები ერთმანეთს უჭვრიტინებდნენ, ვის ვისთან სძინავს. ეს არის საფუძველი ცივილიზებული საზოგადოების... ასეთი რაღაცები არსებობს, ეს ამ ადამიანების ძალით გამოგონილი არ არის. როდესაც ადამიანი იღვიძებს ასეთი განცდით და იმის გათვითცნობიერებით, რომ მე თურმე ვარ უმცირესობა, არ შეიძლება, რომ ამის გამო მას ვინმე თავს დაესხას, გალახოს, რადგან ეს არის ბარბაროსობა... რაც შეეხება შეკრებას, შეკრების თავისუფლების უფლება აქვს ყველას, თუკი ისინი არ არღვევენ კანონს“ (ინტერნეტ წყარო №108).

აღნიშნული პასაჟი, არაპირდაპირი სამეტყველო აქტით, რომელშიც არ ფიქსირდება რომელიმე პოლიტიკურად კორექტული ლგბტ ტერმინი, მთქმელი არაპირდაპირობის სტრატეგიას მიმართავს.

სექსუალურ უმცირესობათა დისკურსი მრავალმხრივობით გამოირჩევა და თანამედროვე საზოგადოებაში აღნიშნული სფეროს კვლევა დიდი აქტუალობით ხასიათდება. ლგბტ ჯგუფს ყველა ერში ვხვდებით და, შესაბამისად, ყოველი ერი ცდილობს შეიმუშაოს ტერმინები აღნიშნული სოციალური ჯგუფის სახელდებისას.

ინგლისურ და ქართულენოვან მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ენაში არსებობს სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაციის გამომხატველი როგორც ექსპლიციტური ასევე, იმპლიციტური საშუალებები. ორივე ენაში ვხვდებით სიძულვილის გამომხატველ პოლიტიკურად არაკორექტულ ტერმინებს აღნიშნული სოციალური ჯგუფის სახელდებისას.

ინგლისურ და ქართულენოვან მასალათა კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ პოლიტიკურად კორექტული დისკურსის აღნიშნულ სფეროში ვხვდებით თავაზიანობის ოთხივე სტრატეგიას.

2.4 რასობრივი სფერო სახისა და თავაზიანობის სტრატეგიებთან მიმართებაში

საუკუნეების განმავლობაში რასობრივი დისკრიმინაცია ძირითადად ეფუძნებოდა ადამიანთა განსხვავებულ კანის ფერს. შეერთებულ შტატებში თეთრი რასის წარმომადგენლები ყოველთვის პრივილეგიებით სარგებლობდნენ და მათ ფონზე ინდიელთა და აფროამერიკელთა საზოგადოება ყოველთვის იზარებოდა, ვინაიდან ისინი არ აკმაყოფილებდნენ ფორმულას “WASP (White-Anglo-Saxon-Protestant (თეთრი – ანგლო-საქსი-პროტესტანტი (ინტერნეტ წყარო №109(1))” და არ მიეკუთვნებოდნენ იმავე რასას.

ფერი ის ხელსაყრელი მექანიზმია, რომელიც განასხვავებს რასებს. გოუთლის მიხედვით, კანის ფერით შეიძლება ადამიანის ხასიათის, იუმორის, ტემპერამენტისა და პიროვნულობის დადგენა (Goatly:2006). ავტორის კვლევას მეტაფორულ ხედვამდე, კონცეპტუალურ მეტაფორამდე (რასა არის ფერი) მიყვავართ. თუ ამ საკითხს მეტაფორულად მივუდგებით, შევნიშნავთ, რომ შაკანიანთა რასის წარმომადგენლები კონცეპტუალურ მეტაფორაში უარყოფითი კონოტაციის მატარებელნი არიან. გოუთლის თანახმად, თეთრი ყოველთვის სინათლესთან და სისუფთავესთან ასოცირდება. მაშინ როდესაც, შავი ფერი – ბოროტებასთან და შავ ძალებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომაც დამკვიდრებულია სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, აფროამერიკელები უსუფთაო ადამიანებად აღიქმებიან.

შავი ფერი იშვიათად იწვევს დადებით ემოციებს, ამიტომაც შაკანიანთა საზოგადოების უარყოფის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სწორედ მათი განსხვავებული შეფერილობაა, გოუთლის ცხადად და მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული და გაშლილი კონცეპტუალური მეტაფორა “Race is Colour”, რომელსაც მოსაუბრე ჩვეულებრივ იყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ვერც კი ამჩნევს მას.

ინგლისურენოვანი ემპირიული მასალა. მონტერეის ტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა 2009 წელს გააჩაღეს ანტიდისკრიმინაციული კამპანია რასიზმის წინააღმდეგ ვიდეორგოლის მეშვეობით. ვიდეორგოლის კადრები შედგება მხოლოდ შავ-თეთრი გამოსახულებებისგან, რათა არ გამოჩნდეს ადამიანის კანის ფერი.



ვერბალური ქცევა, რომელიც ვიდეორგოლს თან ახლავს, შეძღვენი საკვანძო იდეის მატარებელია: ყველანი ვცხოვრობთ ერთ მსოფლიოში, რომელიც შედგება სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანებისგან, ყველას თავისი იდეები და ოცნებები გააჩნია. მიუხედავად ამ განსხვავებული შეხედულებებისა, უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ ვიცხოვროთ ჰარმონიულად. რასობრივი დისკრიმინაცია უნდა დასრულდეს, რადგანაც ადამიანთა რასის სილამაზე სწორედ სხვადასხვა კულტურასა და ადამიანთა მრავალფეროვნებაშია.

“We all live in the same world. Our world full of people, people with different cultures, people with different opinions, ideas and dreams. Most people needs somebody to hold on to. We are all unique in our way but we forget how beautiful uniqueness is.

Racism is the lack of respect to a different races of our planet. Racism is growing and it is started to affect each one of us, like never before. Racism provokes people to hide who they truly are by hiding their cultures and their backgrounds.

Racism leaves people apart. Racism divides us. Instead of helping each other, we even though are brothers and sisters we abandon them living them alone to face their problems alone. Racism is hurting. We forget that we live in the same world. And we still disrespect each other. Showing no interest of one another. We can give each other our backs, instead of a hand.

The world keeps spinning, but we are stuck in the same problems, because of lot commitment and loyalty to the people of our planet. We are all humans, all of us have feelings, so let’s start respecting each other, no matter of differences. Let’s learn how to live together in harmony. Discrimination of races must come to an end, since the beauty of the human race is **trench of** the cultures and diversity of people (ინტერნეტწყარო№109).

ვიდეორგოლში წარმოდგენლია სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის პირები, ვერბალური აქტის ნაწილში ფართოდ ვხვდებით ინკლუზიურ ჩვენებით ნაცვალსახელს “we”. მაგ.: “we all live in the same world”; “we are all unique”; “we even though are brothers and sisters”; “we can give each other our backs”; “we are all humans”. წარმოდგენილ მაგალითებში ინკლუზიური ნაცვალსახელის გამოყენებით სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის პირების წარმოდგენა ხდება, როგორც ერთი ოჯახის წევრებისა - „ყველანი ერთნი ვართ”.

ბოლოს კი ვიდეორგოლი მთავრდება აბრაამ ჯოშუა ჰესჩელის ფრაზით: Racism is man's gravest threat to man - the maximum of hatred for a minimum of reason” (რასიზმი ყველაზე სერიოზული საშიშროებაა კაცობრიობისთვის – მაქსიმალური სიძულვილი მინიმალური მიზეზის გამო).

ვიდეორგოლი, როგორც ვერბალური ასევე, ვიზუალური ნიშნებით აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს, ინარჩუნებს მსმენელისა თუ მაყურებელის დადებით სახეს და წარმოადგენს დადებითი თავაზიანობის ნიმუშს.

როგორც უკვე პირველ თავში აღინიშნა, 2011 წლის მიწურულს ამერიკელმა რეპერებმა კენია ვესტმა და ჯეი ზიმ გამოსცა სიმღერა სახელწოდებით "Niggas in Paris". სიმღერის ტექსტსა და სათაურში შეიმჩნევა ტერმინი “Niggas” გამოყენება შემდეგ ფრაზებში: "Niggas in Paris", “First niggas got to find me”, “What's Gucci my nigga?”, “Got my niggas in Paris and they going gorillas, huh!”.

ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხდება აფროამერიკელი მსმენელის სახის რღვევა, რადგან სიტყვა “nigga” წარმოადგენს დისკრიმინაციულ ფორმას, რომელშიც ხაზგასმულია კანის ფერი, და შესაბამისად, დამამცირებელია აფროამერიკელებისთვის; აგრეთვე მათთვის შეურაცხყოფელია სიტყვა “gorilla”, რომელშიც ასევე ხაზგასმულია აფროამერიკელთა კანის ფერი და მონგოლოიდური სახის ფორმა, რაც გორილას სახის ფორმასთანაა გაიგივებული. მაგრამ რადგანაც, ორივე რეპერი გახლავთ აფროამერიკელი და ერთი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლი, ისინი სიმღერის ტექსტში იყენებენ სწორედ იმ ტერმინებს, რომლებიც მიღებულია მათი წრისათვის, შიდა ჯგუფური კომუნიკაციის პროცესში, მაგრამ ყოველად მიუღებელი სხვა რასის წარმომადგენლისგან.

აღნიშულ ტექსტში გამოყენებულია დადებითი თავაზიანობის თითქმის ყოველი მარკერი, მაგ.: ჟარგონული სიტყვები “niggas”, “gorillas”; ვხვდებით

შემოკლებებს მაგ.: “sayin”; “ain't”; “spillin”; “Ye”. აღნიშნული მარკერები, ბრაუნისა და ლეინსონის „თავაზიანობის თეორიის“ თანახმად, დადებით თავაზიანობას ასახაობს.

სახის პირდაპირობის სტრატეგიის (Bald On Record) მაგალითებს წარმოადგენს ამერიკული ლიტერატურის შემდეგი ნიმუშები:

ერნესტ ჰემინგუეის ნაწარმოები „მკვლელები“ (“The Killers”) წარმოადგენს ჰემინგუეის მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავ მოთხრობას, რომელშიც ვლინდება ორი სამყაროს დაპირისპირება: თეთრი რასისა და აფროამერიკელების წარმომადგენლებს შორის. ასახულია სიტუაცია ჯერ არ ჩადენილ მკვლელობაზე, რომელიც უნდა განახორციელოს ქალაქის ორმა განგსტერმა მაქსმა და ელმა.

აღნიშნულ მოკლე მოთხრობაში დიდი სიხშირით ვხვდებით ტერმინს “nigger”. პერსონაჟი სემი, გახლავთ აფროამერიკელი მზარეული, რომელსაც გამუდმებით და გამოკვეთილად მიმართავენ სიტყვით “nigger”. თავად ავტორი იყენებს იმ დროისათვის პოლიტიკურად კორექტულ, მართებულ ტერმინს “Black”. ასე მაგალითად:

- “None of your damned business,” Al said. “Who’s out in the kitchen?”
- “The **nigger**.”
- “What do you mean the **nigger**?”
- “The nigger that cooks.”
- “You talk silly,” Al said to him. “What the hell do you argue with this kid for? Listen,” he said to George, “tell the **nigger** to come out here.”
- The door to the kitchen opened and **the nigger** came in. “What was it?” he asked. The two men at the counter took a look at him.
- “All right, **nigger**. You stand right there,” Al said.
- Sam, the **nigger**, standing in his apron, looked at the two men sitting at the counter. “Yes, sir,” he said. Al got down from his stool.
- “I’m going back to the kitchen with the **nigger** and bright boy,” he said. -“Go on back to the kitchen, **nigger**. You go with him, bright boy.” -“You talk too damn much,” Al said. “The **nigger** and my bright boy are amused by themselves...”
- “What about the two bright boys and the **nigger**?”

სახის პირდაპირობის სტრატეგიის (Bald On Record) მომდევნო მაგალითს ამერიკული ლიტერატურიდან წარმოადგენს შემდეგი.

ამერიკელი მწერლის ერსკინ კოლდუელის “Saturday Afternoon”, პირველად დაიბეჭდა 1936 წელს და სულ რაღაც 2700 სიტყვისგან შედგება აღწერილია ერთი დღის რუტინული ამბავი, რომელშიც მთავარ თემას რასიზმი წარმოადგენს. ავტორი იყენებს მთხრობელს, რომელიც აღწერს ერთ ჩვეულებრივ შაბათ დღეს. აფროამერიკელ პერსონაჟს თეთრი რასის წარმომადგენლები კლავენ იმ მიზეზით, რომ ის განსხვავდება კანის ფერით და უფრო მეტ ფულს შოულობს ბამბის გაყიდვით.

კოლდუელის მიერ დაწერილ ამ მოკლე მოთხრობაში აღწერილია ის სიტუაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც იმ წლებში იყო გაბატონებული. აფრო-ამერიკელები მაშინ იმყოფებოდნენ საშინელი წნეხის ქვეშ, რაც გამოიხატებოდა მათი დისკრიმინაციით, მათდამი ცუდად მოპყრობით და ყველაზე საშინელი ქმედებით - მათი სიცოცხლის ხელყოფით.

როგორც უკვე ითქვა, აღნიშნულ მოთხრობაში გამოყენებულია აფრო-ამერიკელებისათვის დამამცირებელი ტერმინები “coon”, “nigger”, “Negro”.

სიტყვა “coon” გვხვდება ორჯერ შემდეგ წინადადებებში:

- “And we're going to git him good and proper, the yellow-face coon”;
- “Yes, sir, they had Will Maxie now, the yellow-face coon”.

როგორც უკვე აღინიშნა, ოქსფორდის ლექსიკონის (Oxford Advanced Learner's Dictionary) თანახმად, სიტყვა “coon” განმარტებულია, როგორც “a very offensive word for a black person”, ხოლო ამერიკული სლენგის ლექსიკონში ის შეყვანილია სლენგად, რომელიც გამოიყენებოდა 1800-იდან წლებში და აღნიშნავდა აფრო-ამერიკელს.

ასევე სიტყვა “Negro”, ოქსფორდის ლექსიკონში (Oxford Advanced Learner's Dictionary) განმარტებულია: “(old-fashioned, often offensive) a member of a race of people with dark skin who originally come from Africa”. ანუ, განმარტების თანახმად, ის შეურაცხყოფელი და დამამცირებელი ტერმინია

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინები: “Coon”, “Negro”, ცალკეულად აღებული, შეურაცხყოფელია, მაგრამ შიდა ჯგუფური კომუნიკაციისას შესაძლოა გახდეს სავსებით მისაღები.

სიტყვა “Negro” გამოყენებულია ოთხჯერ შემდეგ ფრაზებში:

- “Will was the gingerbread Negro”;
- “But Will was a pretty smart Negro”;

- “Will was a pretty good Negro too”;
- He was too damn good for a Negro”.

სოლო სიტყვა “nigger” –ს ტექსტში ვხვდებით ხუთჯერ:

- “We're going after a nigger down the creek a ways”;
- “You going to git a nigger, sure enough?”;
- “Him's the nigger we're going to git”;
- “You know that gingerbread nigger”;
- “They'd get the God-damn nigger”.

ოქსფორდის ლექსიკონში (Oxford Advanced Learner's Dictionary) სიტყვა “nigger” განმარტებულია: “(slang) very offensive word for a black person”.

რადგანაც, სიტყვები “nigger”, “Negro”, “coon” წარმოადგენენ შეურაცხყოფელი და დამამცირებელი სახელდების ფორმებს, შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ არათავაზიანობის გამოვლენას და რასობრივი დისკრიმინაციის ნიშნებს..

რალფ ელისონის რომანი “Invisible Man” („უჩინარი კაცი“), რომელიც გამოქვეყნდა 1952 წელს, ეხება იმ სოციალურ და ინტელექტუალურ საკითხებს, რომლებსაც აფრო-ამერიკელები აწყდებოდნენ XX საუკუნეში. თემატურად ნაწარმოები ეხება აფრო-ამერიკელთა იდენტობის საკითხს.

აღნიშნული რომანი არის ახალგაზრდა, კოლეჯის განათლების მქონე აფროამერიკელის შესახებ; ის იბრძვის თავის გადასარჩენად რასობრივად დაყოფილი საზოგადოებისგან, რომელიც მას უარყოფს, როგორც ადამიანს.

რომანის ავტორი აქტიურად იყენებს ტერმინებს “Negro” და “Black”, რომლებსაც ვხვდებით ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

წინადადებები ტერმინის “Negro” გამოყენებით:

- “Unlike any novel you've ever read, this is a richly comic, deeply tragic, and profoundly soul-searching story of one young **Negro's** baffling experiences on the road to self-discovery”.

აღნიშნული მაგალითი ხაზს უსვამს აფროამერიკელთა თემას. ავტორი წინა პლანზე წამოწევს იმ ტრაგიკულ, სულისშემძვრელ სიტუაციას, რომელიც გაბატონებული იყო შავკანიანთა მიმართ იმ პერიოდის აშშ-ში. გარდა

ტრაგიკული ელემენტებისა, ავტორი ირონიით, კომიკურ სიტუაციასაც წარმოადგენს; ხშირად აფროამერიკელები გაქილიკებისა და აბუნად აგდების მსხვერპლნი იყვნენ.

- “It was a scholarship to the state college for **Negroes**”.

აქ ჩანს რასობრივი დისკრიმინაციის ნათელი მაგალითი: წინადადებაში ნათქვამია, რომ სტიპენდია მხოლოდ აფროამერიკელებისთვისაა, ავტორს ისინი ცალკე ჯგუფად ჰყავს გამოყოფილი, რაც გვიჩვენებს, რომ ისინი არ მიეკუთვნებიან სტუდენტობას მთლიანად და საზოგადოების ერთგვარი მარგინალები არიან.

- “A Bostonian, smoker of cigars, teller of polite **Negro** stories, shrewd banker, skilled scientist, director, philanthropist, forty years a bearer of the white man's burden, and for sixty a symbol of the Great Traditions”.

აფროამერიკელთა თემა იმპლიციტურადაა შეპირისპირებული თეთრკანიანის დახასიათებისას; სიტყვა თეთრი თვალში საცემია და დახასიათებაც საყურადღებო - ბოსტონელი, გამჭრიახი ბანკირი, ნიჭიერი მეცნიერი, აფროამერიკელთა ამბებს „თავაზიანად გვიყვება“. აქ გამოიკვეთება ავტორის ირონია.

- “Did he know that **Negroes** like my grandfather had been freed during those days just before the college had been founded?”.

ჩაგვრის თემა კვლავ დომინირებს ნაწარმოებში: კოლეჯის დაარსებამდე გაათავისუფლეს ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავებულ რასას მიეკუთვნებოდნენ, განათლების მიღება მათთვის ერთგვარი ფუფუნება იყო, რადგან მიიჩნეოდა, რომ მათთვის თეთრკანიანთა გვერდით ადგილი არ იყო.

- “How can he tell this to white men, I thought, when he knows they'll say that all **Negroes** do such things?”.

დამკვიდრებულია სტერეოტიპი, რომ ისინი (აფროამერიკელები) „ცუდები“ არიან და მხოლოდ ცუდი საქმის ჩადენა შეუძლიათ. აქაც მკაფიოდ იჩენს თავს საზოგადოების არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება. თეთრი რასის წარმომადგენლებს მხოლოდ ფიქსირებული აზრი გააჩნიათ, რომ ყველა

აფროამერიკელი ერთნაირია და რომ არ შეიძლება რომელიმე მათგანი იყოს კარგი.

- "College for **Negroes!** Boy, what do you know?". „კოლეჯი აფროამერიკელებისთვის“.

აღნიშნულ წინადადებაში იგულისხმება, რომ აფროამერიკელები დისკრიმინირებულნი არიან და იზოლირებულად არიან საზოგადოების სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებისგან.

- "I'll have to investigate him," he said. "A **Negro** like that should be under lock and key".

აღნიშნულ მონაკვეთში ვლინდება ზიზღი და სახელდებაშიც იგულისხმება ნეგატიური კონოტაცია: „მსგავსი აფროამერიკელი უნდა ჩაიკეტოს“, რაც გულისხმობს მის ჩამოშორებას საზოგადოებისგან.

- "Tell anyone you like," he said. "I don't care. I wouldn't raise my little finger to stop you. **Negroes? Negroes** don't control this school or much of anything else -- haven't you learned even that?".

თუ აფროამერიკელი დანაშაულს სჩადის, იმის სურვილიც კი არ აქვს მთქმელს რომ ხელი გაანძრიოს და შეაჩეროს დანაშაულის ჩადენისგან იგი. მთქმელი აქვე დასძენს, რომ „აფროამერიკელები ღატაკები და უპოვრები არიან, მათ არაფერი გააჩნიათ, რაც ვერ გაითავისეს“.

- "I looked down the hall. It was empty. White folks were funny; Mr. Bates might not wish to see a **Negro** the first thing in the morning”.

აფროამერიკელების კანის ფერის გამო ცუდ განწყობაზე რომ არ დამდგარიყო ბ-ნი ბეითსი, დილიდანვე მას არ უნდოდა მთავარი მოქმედი პირის დანახვა.

- "Then near the door I saw something which I'd never noticed there before: the cast-iron figure of a very black, red-lipped and wide-mouthed **Negro**, whose white eyes stared up at me from the floor, his face an enormous grin, his single large black hand held palm up before his chest”.

აღნიშნულ მონაკვეთში აფროამერიკელის ვიზუალურ დახასიათებას

ვხედებით და იგი აღნიშნულ მაგალითში გაიგივებულია „რადაცასთან“, რაც გულისხმობს, რომ აფროამერიკელებს არაფრად აგდებენ”.

- “Never mind your impertinence,” she said. “I’m sick and tired of having you southern **Negroes** mess up things for the rest of us!”.

მოქმელი დაღლია და ყელში აქვს ამოსული სამხრეთელი აფროამერიკელი, რომელიც გამუდმებით ტრიალებს მოქმელის გარემოში. პასაჟში გამოსატყულია მოქმელის ნეგატიური დამოკიდებულება აფროამერიკელისადმი.

წინადადებები ტერმინის “Black” გამოყენებით:

- “Oh, no you don't, **black** bastard!”.

აღნიშნული გამონათქვამი შეიცავს ფრაზას „შავო ნაბიჭვარო“, რაც კიდევ უფრო აორმაგებს აფროამერიკელის დამცირებას.

- “To you he is a mark on the score-card of your achievement, a thing and not a man; a child, or even less -- a **black** amorphous thing. And you, for all your power, are not a man to him, but a God, a force --”.

ისევ და ისევ აფროამერიკელი გაიგივებულია ნივთთან და არა ადამიანთან, მას არც ბავშვად თვლიან და უწოდებენ ამორფულ საგანს.

- “You must see this slave, this **black** Aristotle, moving slowly, with sweet patience, with a patience not of mere man, but of God-inspired faith -- see him moving slowly as he surmounts each and every opposition”.

აღნიშნულ მაგალითში დამცინავი ტონით ხდება აფროამერიკელის შედარება არისტოტელესთან, რომელიც გადაადგილდება დინჯად.

- “Ah! And that great, **black**, noble beast, wall-eyed with the din of battle and twitching already with its sense of loss”.

აღნიშნულ წინადადებაში კვლავ დამამცირებელი ტონია; აფროამერიკელი შედარებულია დიდსულოვან მხეცთან.

- “You're a **black** educated fool, son”.

აფროამერიკელი სახელდებულია, როგორც, განათლებული სუფელი, რაც ნეგატიური იმპლიკაციის მატარებელია.

- "He goes wild when he sees **black** people and white people together”.

„გიჟდება როდესაც ერთად ხედავს თეთრ და აფროამერიკელ წარმომადგენლებს”, აღნიშნული პიროვნებისთვის ორივე რასა უნდა იყოს ერთმანეთისგან ყოველთვის დამოუკიდებლად და იზოლირებულად, არ უნდა მოხდეს მათი ერთ საზოგადოებრივ სივრცეში ინტეგრირება და ჩართვა. ბუნებრივია, აღნიშნული წარმომადგენს აფროამერიკელისთვის გამაღიზიანებელ დამოკიდებულებების ნიმუშს.

- “You **black, BLACK!** You -- Godahm, mahn!" he said, swinging the knife for emphasis”.

აღნიშნულ მონაკვეთში, მთქმელი აფროამერიკელს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „ღმერთის მიერ დაწყევლილო”, ის აგრეთვე მას დანით ემუქრება. აღნიშნულ გამონათქვამში ყრადღებას იპყრობს მსხვილი და დიდი ასოებით წარმოდგენილი სიტყვა “**BLACK**” (შავი). ანუ ავტორი მკითხველში ემოციური განწყობის შესაქმნელად მიმართავს ვიზუალურ საშუალებას.

- “Some call you Brother to your face and the minute you turn your back, you're a **black** son of a bitch!”.

მთქმელი დასძენს: ზოგი გეძახის ძმას, მაგრამ იმ წამს როდესაც შენ ზურგით შებრუნდები, შენ ხარ „შავი ნაბიჭვარი”.

წარმოდგენილ მაგალითებში გამოყენებული იმ დროისათვის პოლიტორექტული ტერმინები “Negro” და “Black “ კონტექსტუალურად ცინიზმითა და ნეგატიური დამოკიდებულებით არის განმსჭვალული აფროამერიკელების მიმართ. შესაბამისად, მკითხველში სახის რღვევის გამომწვევ აქტს წარმოადგენს და თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის მაგალითია.

1961 წელს გამოიცა ამერიკელი მწერლის ჰარპერ ლის კლასიკური რომანი “To Kill a Mockingbird”, რომელიც დიდაქტიკური ხასიათისაა. რომანი ითვლება

კლასიკური ლიტერატურის ნიმუშად. მიმართულია რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მთავარი მოქმედი პერსონაჟი ატიკუს ფინჩი იცავს აფროამერიკელთა უფლებებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ რომანი მოიცავს უხამსი სიტყვების ნიმუშებს და გაუპატიურების მცდელობის პასაჟის გამო რომანი შევიდა აკრძალულ წიგნთა სიაში. ტერმინის “Negro” გამოყენება დიდი სიხშირით ხდება უარყოფით კონტექსტში.

წარმოგიდგინოთ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც ვხვდებით ტერმინის “Negro” გამოყენებას.

- “Every scratch of feet on gravel was Boo Radley seeking revenge, every passing **Negro** laughing in the night was Boo Radley loose and after us”.

ბ-ნი რედლი არაკეთილგანწყობილი იყო აფროამერიკელებისადმი. ყოველი მათი ჩაველა და სიცილი იწვევდა მასში შურისძიების გრძნობას.

- “You know, it’s a funny thing about Braxton,” said Atticus. “He despises **Negroes**, won’t have one near him”.

ბრექსტონი აბუჩად იგდებს აფროამერიკელებს და საკუთარ გარემოში არავის გააჭაჭანებს.

- “You said Braxton Underwood despises **Negroes** right in front of her”.

იგრძნობა ბრექსტონის ნეგატიური დამოკიდებულება აფროამერიკელების მიმართ.

- “That’s what I thought,” said Jem, “but around here once you have a drop of **Negro** blood, that makes you all black”.

თუ ვინმეს აქვს აფროამერიკელის ერთი წვეთი სისხლი, მაშინ ის სრულიად შავია.

- “**Negroes** wouldn’t have anything to do with her because she was white”.

აღნიშნულ გამონათქვამში აფროამერიკელები დადებით კონტექსტშია გამოყვანილი. ისინი არაფერს დაუშავებდნენ ქალბატონს, რომელიც თეთრი რასის წარმომადგენელი იყო.

- “He seemed to be a respectable **Negro**, and a respectable **Negro** would never go up into somebody’s yard of his own volition”.

აღნიშნულ მონაკვეთში აფროამერიკელი გამოყვანილია დადებითი კუთხით და დახასიათებულია, როგორც პატივცემული: ის თავისი სურვილით არასოდეს შევიდოდა სხვის ეზოში. ანუ აღნიშნულ წინადადებაში არის იმპლიკაცია იმისა, რომ აფროამერიკელები მიჩნეულნი იყვნენ მარგინალებად.

- “You know the truth, and the truth is this: some **Negroes** lie, some **Negroes** are immoral, some **Negro** men are not to be trusted”.

აღნიშნულ მაგალითში, აფროამერიკელთა რასა გამოყვანილია ნეგატიურ კონტექსტში, ისინი წარმოდგენილია, როგორც მატყუარები, ზნედაცემულები და არასანდო ადამიანები.

- “In the balcony, the **Negroes** sat and stood around us with biblical patience”.

განსხვავებით ზემოთ მოყვანილი ნეგატიური კონოტაციის მქონე მაგალითებისგან, აღნიშნული მონაკვეთი დადებითი შეფასების მატარებელია: „აივანზე, ბიბლიური მოთმინებით ისხდნენ და იდგნენ მათ ირგვლივ ზანგები”.

მაგალითების კვლევის ანალიზმა გვაჩვენა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის თემა მასშტაბური ხასიათისაა, ავტორები ღიად თუ შეფარვით ეხებიან და ასახავენ დამოკიდებულებას, რომელიც წლების მანძილზე არსებობდა მათ თანამედროვე საზოგადოებაში. მართალია, არა იმ სიხშირით, როგორც ადრე, მაგრამ დისკრიმინაციის თემა ინგლისურენოვან საზოგადოებაში აქტუალობას არ კარგავს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულმა საზოგადოებამ დასძლია აფროამერიკელთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება და დღეს მათ აფროამერიკელი წარმოშობის პრეზიდენტი ჰყავთ.

2014 წლის 18 ივნისს, ონლაინგაზეთ „გარდიანის” ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც საუბარია ამერიკული ფეხბურთის გუნდის სახელწოდებაზე. აღნიშნული გუნდის სახელია “Washington Redskins (ვაშინგტონის წითელკანიანები, ინტერნეტ წყარო №110)”. აღნიშნული ფაქტი გააპროტესტა ჩრდილოეთ ამერიკის ხუთმა ინდიელმა, ისინი მიიჩნევენ, რომ აღნიშნული სახელწოდება ძირძველი ამერიკელების დამცირებას იწვევს.

ვინაიდან სახელწოდებაში ვლინდება კონვეპტუალური მეტაფორა: „რასა არის ფერი“.

აღნიშნულ სახელწოდებაში ხაზგასმული კანის ფერის გამო დაირღვა ამერიკელ ინდიელთა უფლებები. ადგილი ჰქონდა კომუნიკანტთა სახის რღვევას, მაგალითი წარმოადგენს თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის ნიმუშს.

ქართულენოვანი ემპირიული მასალა. ქართულენოვან დადებითი თავაზიანობის მაგალითს ვხვდებით დისკურსის შემდეგ ნიმუშებში:

ქართულ ვებგვერდზე „თურქეთთან მეგობრობის ასოციაცია“ განთავსდა სტატია, რომელშიც უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა იუშჩენკომ უკრაინელებს მოუწოდა, ნუ იქნებიან „ხახოლები“: „უკრაინელებო! ნურასდროს იქნებით „ხახოლები“, ყოველთვის უკრაინელები იყავით“. რადგანაც, მოსაუბრე და მსმენელები ეკუთვნიან ერთ სოციალურ ჯგუფს, გამოყენებული სიტყვა „ხახოლები“ არ ითვლება შეურაცხმყოფელ ლექსიკურ ერთეულად.

ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ ვერბალურ აქტებს ვხვდებით ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში:

2007 წლის 25 აპრილს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ბესო ჯუღელის ეროვნული უმცირესობებზე გაკეთებულმა განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია; მან თბილისის ძველ უბნებში მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის ახალი მოსაკრებლების შესახებ კანონპროექტზე საუბრისას განაცხადა, რომ ეს ინიციატივა „ქართველების წინააღმდეგ არ არის მიმართული და ამ ისტორიულ უბნებში ძირითადად სომხები, აზერბაიჯანელები, ქურთები და სხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს... და არ არის აუცილებელი, მიკირტუმა სულ სოლოლაკში იცხოვროს“ (იხ. გვ. 57).

ზემოაღნიშნულ მონაკვეთში ბ-მა ჯუღელმა გამოიყენა ეთნიკური წარმომადგენლისადმი დამაკინებელი სახელდება „მიკირტუმა“ (როგორც ცნობილია, აღნიშნულ სახელს გამოიყენებენ ზოგადად სომხების აღსანიშნად), რომელიც იწვევს კომუნიკანტთა სახის რღვევას.

2012 წლის შემოდგომაზე, ბ-ნი დავით დარახველიძე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, სრულიად ინტერნეტსამყაროში შემდეგი განცხადების გამო რასისტად და ქსენოფობად შერაცხა:

„თბილისში ნებისმიერი ზანგი მოქალაქეა, რომელიც შეგვხვდება. ინდოელი და ჩინელი სულ ყველა... ჩემს შვილს ქართველი ცოლი უნდა

ჰყავდეს, თუ ეს რაჭველი იქნება, მთლად უკეთესი ჩემთვის... ქართველებისთვის უნდა იყოს საქართველო“ (სტილი დაცულია).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, სიტყვა „ზანგები“ განმარტებულია „ტროპიკული აფრიკის ძირითადი მოსახლეობა, მათთვის დამახასიათებელია შავი კანი“. განმარტების მიხედვით, სიტყვას „ზანგი“ სულაც არ აქვს ნეგატიური დატვირთვა. მაგრამ, ბ-ნი დარახველიძის ეს განცხადება წარმოადგენს ვერბალურ აქტს, რომელიც არათავაზიანობის მანქენებელია და კონტექსტუალურად იწვევს კომუნიკანტთა სახის რღვევას. თუმცა აქვე აღსანიშნია ბ-ნი დარახველიძის მიერ გამოყენებული სხვადასხვა ნეიტრალური მიმართვა: „ჩინელი“, „ინდოელი“, რომლებიც კონტექსტში უარყოფითი დატვირთვის მატარებელი არიან.

განვიხილოთ პირველ თავში მოყვანილი მაგალითი თავაზიანობის თეორიის თვალსაზრისით. 2012 წლის 8 მარტს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე განთავსებულ სტატიაში, რომელიც ეხება ევრო-2020-ის ფეხბურთის ტურნირის ჩატარებას საქართველოსა და აზერბაიჯანში. სტატიის ქვემოთ მოყვანილ კომენტარებში ვხვდებით: „მე არ ვიცი საქართველო ჩაატარებს თუ არა, მარა აზერებს რო ვაცეკვებთ ალბათ და აზერები ბაჯიებს-თეატრალურად დადგამენ...“.

აღნიშნულ მაგალითში ვხვდებით სახელდებას „ბაჯიები“, რომელიც აზერბაიჯანლების დამაკინებელ სახელდებად ითვლება („ბაჯი“ აღნიშნავს მიმართვის ფორმას „და“, რომელიც დროთა განმავლობაში განზოგადდა). შესაბამისად, აღნიშნული დისკურსის მონაკვეთი წარმოადგენს კომუნიკანტთა სახის რღვევის ნიმუშს.

2014 წლის 2 მარტს, განთავსებულ სტატიაში სახელწოდებით: „ბათუმის სკოლის ანტითურქული პროპაგანდა“ ვხვდებით შემდეგს: მასწავლებელი შეშფოთებას გამოთქვამდა „თურქების ბათუმში პარპაშთან“ დაკავშირებით და მოსწავლეებს ეუბნებოდა, რომ „ეს ურჯულო ხალხი ახალგაზრდა თაობას დალუპავს თუ ერთხელ და სამუდამოდ არ გაყვარეთ“ (თავი 1, გვ. 57).

ზემოაღნიშნულ მაგალითში ლექსიკური ერთეული „ურჯულო“, გამოყენებულია თურქების სახელდებისთვის. აგრეთვე ვხვდებით სიძულვილის ენისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს: „გაყვარეთ“, „დალუპავა“. შესაბამისად, კონტექსტუალურად, როგორც ეთნიკური წარმომავლობის

პიროვნების სახელდება, ასევე სიძულვილის ენის ნიმუშები იწვევს კომუნიკანტთა სახის რღვევას.

23-29.05.2011, „ასავალ-დასავალი“ №21. „რობიკო სტურუამ ხმამაღლა თქვა ის, რაც ქართველ ხალხს გულში ჰქონდა და ამას ვამბობ მეც: დიას, სააკაშვილი არის სომეხი და ეს არის არა ქსენოფობია, არამედ ფაქტი!“. ჯაბა ხუბუას ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან.

„რეზო ამაშუკელი: ბადრი პატარკაციშვილს რომ ურიას ეძახდნენ, ეს არ იყო ქსენოფობია და ფაშიზმი?! მაშინ სად იყვნენ და რატომ არ იღებდნენ ხმას ეს თახსირები, ეს სულიერი პედერასტები?! ...ლიბერასტებო, პედერასტებო, ვითომ ძალიან დემოკრატებო, ხურუშიანებო, რომ გახველებთ სუყველას ქვედა სართულებში, შუაზე რომ გაიხეთ, რობიკო სტურუას წამწამს ვერ ჩამოუგდებთ!“

განვიხილოთ იმავე ინტერვიუს მომდევნო მონაკვეთი (23-29.05.2011, გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №21).

„რეზო ამაშუკელი: ჩვენი სიდედლით, უყაირათობით, მიმტვევებლობით და მიუტვევებელი გულმაგიწყობით თანდათან ყველაფერს ვკარგავთ. იმის მაგივრად, რომ ეს მანქურთები, ეს სულიერი პედერასტები და უმეტესწილად ფიზიკურადაც პედერასტები საქართველოს გაუბედურების გამო ტეხდნენ განგაშს, მსოფლიო მასშტაბის გენიოსის, რობიკო სტურუას, ერთ სიტყვას გამოეკიდნენ და ცდილობენ, როგორმე ჩირქი მოსცხონ კაცს, რომლის გამოც ისევე ამაყობს მთელი საქართველო, როგორც თითზე ჩამოსათვლელი რამდენიმე გენიოსით.“

ინტერვიუს ორივე მონაკვეთში ვხვდებით ქსენოფობიურ („მანქურთები“), ჰომოფობიურსა („პედერასტები“) და სიძულვილის („თახსირები“, „ხურუშიანებო“, „სიდედლით“) ენისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს, რაც დამახასიათებელია პირდაპირობის სტრატეგიისათვის და იწვევს კომუნიკანტთა სახის რღვევას.

6 მაისის, 2013 წლის ტელეარხ „კავკასიის“ გადაცემაში „სპექტრი“ ვხვდებით შემდეგს:

დავით აქუბარდია: „ჩვენ თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ, მართლა უცხო ძალა წაგვართმევს საქართველოს, რასაც ზვიადი ამბობს და მე ხშირად დავდივარ თბილისის ზღვაზე, გული მისკდება, კაცო, ინტენსიური მშენებლობა მიდის ჩინელები გვინდა კიდევ აქა, ჩვენ თვითონ უმუშევრებითა გვაქვს სავსე მთელი ქალაქი“ (ინტერნეტწყარო №111).

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი აქუბარდია იყენებს ნეიტრალურ

სახელდებას „ჩინელები“, კონტექსტუალურად აღნიშნული პასაჟი შეიცავს სახის მრღვეველ ვერბალურ ქცევას.

30 მაისი 2013, ტელეარხი „კავკასიის“ გადაცემა „სპექტრ“-ში, გაუღებრებული ლექსიკური ერთეულები არის ნეიტრალური შინაარსის მატარებელი, თუმცა კონტექსტუალურად დისკრიმინაციული.

დავით აქუბარდია: ”ყველაზე მთავარი ამ მემარცხენე იდეოლოგიის არის სოციალური სამართლიანობა. ეს თუ დომინანტი არ გახდა, ან თურქები შეგვჭამენ ან პაკისტანელები, ელემენტარულად ქვეყანა დაინგრევა“ (ინტერნეტ წყარო № 112).

ტელეგადაცემა „ობიექტივი“ დამის სტუდიაში ვხვდებით შემდეგ პასაჟს:

ნინო რატიშვილი: „აჭარის საკითხი, მიწების საკითხი გროვდება, ძალიან ბევრი პრობლემა გროვდება... მერე შეიძლება იყოს ძალიან გვიან. ჩინური ქალაქი რომ აშენდეს...“ ”ჩვენი ადგილი აღარ იქნება მალე“ (ინტერნეტ წყარო №113).

ტელეგადაცემა „ობიექტივი“ დამის სტუდიაში ვხვდებით:

ბონდო მძინარაშვილი: „ჩვენი თეთრკანიანი მათხოვრები არ გვაკლდა ახლა ქალაქში, შავკანიანი, უკაცრავად, აფროამერიკელი... და მართლა სირცხვილია, საქართველოში რატომ უნდა ჩამოდიოდეს, ჯერ ერთი, ვინ ჩამოიყვანა, მეორეც – რა უფლებით ცხოვრობს ამ ქვეყანაში და მესამე – დადის და მათხოვრობს ქუჩაში“ (ინტერნეტ წყარო №114).

2013 წლის 19 აპრილის მე-9 არხის „მთავარ კითხვაში“ ვხვდებით:

კახა კუკავა: „უნდა გაგრძელდეს ის, რაც ხდება, როდესაც ასეულობით ათას ჰექტარს ეუფლებიან ინდოელი, პაკისტანელი, ჩინელი, თურქი და არაბი ფერმერები?... ეს არის ქვეყნის მტრობა, რაც დღეს ხდება, როდესაც იუსტიციის სახლში რომ შეხვიდეთ, პაკისტანელი და ინდოელი მეტი დგას ქართული პასპორტებით რიგში, ვიდრე – ქართველი“ (ინტერნეტ წყარო №115).

მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ მაგლითებში ვხვდებით ეთნიკური წარმომავლობის აღსანიშნ პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებს („თეთრკანიანი“, „აფროამერიკელი“, „ინდოელი“, „პაკისტანელი“, „ჩინელი“, „თურქი“, „არაბი“), კონტექსტუალურად („ჩვენი თეთრკანიანი მათხოვრები არ გვაკლდა“; „შავკანიანი, რა უფლებით ცხოვრობს ამ ქვეყანაში“) მაგალითები წარმოადგენს სახის მრღვეველ აქტებს.

ზემოაღნიშნულ ქსენოფობიურ და რასისტული გამოხატულების მაგალითებში ვხვდებით პოლიტიკურად არაკორექტულ ტერმინებს, აგრეთვე დისკრიმინაციულ ვერბალურ აქტებს და სიძულვილის ენას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის თუ რასის წარმომადგენლის მიმართ. შესაბამისად, მოსაუბრეები პირდაპირი სამეტყველო აქტებით არღვევენ მსმენელის სახეს, რაც თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის (Bald On Record) ნიშნია.

2011 წლის 6 მაისს ჟურნალში „ტაბულა“ ვხვდებით ნინო მაჭარაშვილის ინტერვიუს ბ-ნ გიორგი ტულუშთან; ინტერვიუში საუბარია ბ-ნი ტულუშის მიერ გაკეთებულ საგანგებო განცხადებაზე, „იმედის“ ეთერში მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრების მიერ ებრაელებზე ხუმრობის შესახებ.

„ნინო მაჭარაშვილი: ცოტა ხნის წინ გავრცელდა თქვენი საგანგებო განცხადება, „იმედის“ ეთერში მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრების მიერ ებრაელებზე ხუმრობის შესახებ. თქვენი შეფასებით, ის ანტისემიტურ ხასიათს ატარებდა. სად გადის ზღვარი ხუმრობასა და სიძულვილის ენას შორის? რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობთ, როდესაც გამოხატვის ამა თუ იმ ფორმას სიძულვილის ენად აფასებთ?

გიორგი ტულუში: როდესაც ხუმრობა ეხება კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს და ამ ჯგუფისთვის ყველაზე მტკივნეულ თემას, ის გადის ხუმრობის ფარგლებიდან. ჩემდა გასაკვირად, ეს ხუმრობა დარბაზმა სიცილით აიტაცა და მაღალი შეფასებაც მისცა. კარგია, რომ ბოდიში მოიხადეს, ეს ნიშნავს, რომ მიხვდნენ, რომ არასწორად მოიქცნენ.

ნინო მაჭარაშვილი: მსგავსი ფაქტები მედიაში საკმაოდ ხშირია, ხშირია ჰომოფობიური განცხადებები. რამდენად ხშირად ახდენთ რეაგირებას?

გიორგი ტულუში: ძალიან ხშირია. განსაკუთრებით ბეჭდვით მედიაში, სადაც ადამიანს შეურაცხყოფას მისი ეთნიკური წარმომავლობის მოშველიებით აყენებენ. ეს დაუშვებელია. მედიას ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვს, ის დიდ გავლენას ახდენს სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ასევე მნიშვნელოვანია ამ მხრივ საჯარო მოხელეების ქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებთან აქტიურად ვმუშაობთ და ვცდილობთ აუუხსნათ, რას ნიშნავს უმცირესობის უფლებები და რამდენად დიდია ის პასუხისმგებლობა, რომელიც ჟურნალისტებს აკისრიათ. სამწუხაროდ, გასაკეთებელი ძალიან ბევრი რჩება იმისთვის, რომ სასურველი სურათი მივიღოთ. რაღაც შეიძლება ჩვენც გამოგვრჩეს, მეც ტელევიზორთან და

რადიოსთან არ ვზივარ დღე და ღამე, თუმცა ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციები გვეხმარებიან”.

აღნიშნულ დიალოგში როგორც ჟურნალისტი, ასევე რესპონდენტი იყენებს უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიას. ისინი მიმართავენ პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებს მაგ.: „ებრაელები”, „ეთნიკური უმცირესობა”, „ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები” და აღნიშნული ქმედებით ინარჩუნებენ როგორც საკუთარ, ისე აუდიტორიის სახეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ემპირიული მასალის კვლევამ ცხადყო შემდეგი:

1. ინგლისურენოვან სამყაროში ანტიდისკრიმინაციული მოძრაობა მიმართულია კონცეპტუალური მეტაფორის - „რასა არის ფერი” აღმოფხვრისაკენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული კანის ფერის შემცველი ტერმინის გამოყენება ეთნიკური ჯგუფის სახელდებისას განსხვავებულ დატვირთვას იღებს შიდა და გარე ჯგუფური კომუნიკაციისას.
2. ქართულენოვანი მასალის შემთხვევაში სახის რღვევა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ ცალკეული ეთნიკური ჯგუფისათვის მიუღებელმა ტერმინებმა, არამედ ასევე ნეგატიურ კონტექსტში გამოყენებულმა ცალკეული რასის აღმნიშვნელმა ნეიტრალურმა ტერმინებმა.

2.5 ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სფერო სახისა და თავაზიანობის სტრატეგიებთან მიმართებაში

ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სფეროსადმი საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ინტერესს იწვევს აღნიშნული ტიპის დისკურსის განხილვა სახისა და თავაზიანობის თეორიებთან მიმართებაში.

ინგლისურენოვანი ემპირიული მასალა. უარყოფითი თავაზიანობის (Negative Politeness) მაგალითის მაჩვენებელად შეიძლება მივიჩნიოთ ფიზიკური ნაკლის მქონე ინდივიდთა მიმართვისას პოლიტიკურად კორექტული სიტყვები,

რომლებიც შეიცავენ ლექსიკურ ერთეულს "challenged" მაგ.: Physically challenged, Visually challenged, Vertically challenged. როგორც აღინიშნა, რთულ სიტყვებში ლექსიკური ერთეული "challenged" (გამოწვევა) დადებითი სემანტიკის მატარებელია და ინდივიდის ნაკლი დადებითი კუთხით არის წარმოდგენილი.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში, რომლებიც BBC-ისა და CNN-ის სტატიებიდანაა, ვხვდებით ფიზიკური ნაკლის მქონე ინდივიდთა სახელდების პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებს (ინტერნეტ-წყარო №116).

1. "Often this comes from people you'd expect might know a thing or two: a doctor once kept calling me physically challenged".
2. "The efforts of a physically challenged person who overcomes the odds and participates in the Paralympic Games is lauded".
3. "Top 5 physically challenged athletes who participated in the Olympics".
4. "The Centre for the Physically Challenged started in December 2010, It is a centre jointly operated by Handicaps Welfare Association (HWA) and Abilities Beyond Limitations and Expectations (ABLE)".
5. "To enable the physically challenged to lead a productive and independent life".
6. Comedian Kevin Hart Talks Being Vertically Challenged And Staying Connected To Fans!
7. Sad News For the Vertically Challenged: Tall Men Are Happier And Richer, Study Says
8. "The long and short of this Australian report is that tall workers earn significantly more than their vertically challenged counterparts".

მეშვიდე და მერვე მაგალითში თითქოს გამოყენებულია უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგია, ვხვდებით ისეთ პოლიტიკურად კორექტულ ტერმინს, როგორცაა: "Vertically Challenged" დაბალი ადამიანის აღსანიშნად. თუმცა, კონტექსტუალურად გამონათქვამი არის დისკრიმინაციული ხასიათის. ვინაიდან, გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ დაბალი ადამიანები გამოიმუშავენ ნაკლებს ვიდრე მაღალი ადამიანები.

ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ადამიანთა ტერმინებში მნიშვნელოვანია ნაკლის/დაავადების სახელდებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა სახელდებოდეს ჯერ ადამიანი და შემდეგ - დაავადების/ნაკლის სახელწოდება.

არსებულ ტერმინებში ვხვდებით შემდეგ სტრუქტურებს:

- **a + person + with/of/from + name of disability/disease.** წყობა წინდებულისანი “with”/”of”/”from” ფრაზით;
- **a + person + to have + name of disability/disease.** ზმნის სტრუქტურისანი წყობა “to have”.გამოყენებით.
- აგრეთვე, ადგილი აქვს გაბუნდოვანებას. მაგ.: Congenital disability - რომელიც მიღწეულია სამედიცინო ტერმინის გამოყენებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ გაბუნდოვანებული ტერმინები გვხვდება ზემომოყვანილ პირველ სტრუქტურაში.

წარმოგიდგინო მაგალითებს, რომლებშიც გამოყენებულია ზემოსხენებული სტრუქტურები, მათ ვხვდებით სხვადასხვა სამედიცინო სტატიებში (ინტერნეტ წყარო № 117).

მაგალითები სტრუქტურით: **a + person + WITH + name of disability/disease**

- “Stephen Hawking is one of the most well-known physicists in the world, and he was able to achieve that in spite of being diagnosed with ALS when he was 21”.
- “Her daughter came to be diagnosed with cerebral palsy. ...She was required to drink 37 mL of formula or breast milk”.
- “Many children with cerebral palsy have a normal intellect”.
- “People with cerebral palsy may have difficulty with swallowing and commonly have eye muscle imbalance”.
- “Out of the estimated 24 million people with diabetes, one third, or eight million, don’t know they have the disease”.
- “In 2005-2008, 4.2 million (28.5%) people with diabetes aged 40 years or older had diabetic retinopathy, and of these, almost 0.7 million (4.4% of those with diabetes) had advanced diabetic retinopathy that could lead to severe vision loss”.
- “Unlike people with type 1 diabetes, the bodies of people with type 2 diabetes make insulin”.
- “Americans are newly diagnosed with diabetes each year”.
- “A person is diagnosed with AIDS when they have developed an AIDS related condition or symptom, called an opportunistic infection, or an AIDS related cancer”.
- “Some people are diagnosed with HIV and AIDS concurrently”.

- “When the CD4 count drops below 200, a person's immune system is severely weakened, and that person is then diagnosed with AIDS”.
- “A person was diagnosed with full blown AIDS in 2000”.
- “People who are HIV positive is “People Living With HIV/AIDS”.”
- “35.3 million people worldwide are currently living with HIV/AIDS”.
- “If you are living with HIV and have flu-like symptoms, take steps to avoid passing the illness to others and contact your doctor right away”.
- “Attitudes toward people with congenital disabilities and other devalued conditions”.
- “The aim of this study was to examine GPs' (registrars and trainers) consultations with people who have congenital disabilities”.
- “Chris fell in love with a girl with Down Syndrome..
- “Girl with Down's syndrome is a year ahead of her peers in mainstream school thanks to parents SINGING to her every day”.

მაგალითები სტრუქტურით: **a + person + to Have + name of disability/disease**

- “People who have AIDS are still infected with the HIV virus”.
- “Treatment and information for people who have recently been diagnosed with HIV”.
- “Parents learn that they have a child of short stature”.
- “All of them have Down syndrome”.

მაგალითები სტრუქტურით: **a + person + of + name of disability/disease**


- “Differentiating characteristics of deafblindness and autism in people with congenital deafblindness and profound intellectual disability”.
- “LPA is a nonprofit organization that provides support and information to people of short stature and their families”.
- “She is a person of short stature, former officer of Little People of America (LPA) and director of professional development for Kean University in New Jersey”.
- “A person of short stature does not have a health problem”.
- “She was a person of short height (less than 5 feet tall), frail, and weak”.

მაგალითები სტრუქტურით: **a + person + from + name of disability/disease**

- “Upon starting his political career in gusto, he contracted polio while drinking water at a campground and became paralyzed from the waist down”.

ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში, რომლებშიც გვხვდება ტერმინებისთვის დამახასიათებელი აღნიშნული სტრუქტურები, წარმოადგენს უარყოფითი თავაზიანობის მაგალითებს.

აღნიშნული 29 მაგალითიდან უპირატესობა ენიჭება შემდეგ კონსტრუქციულ ფორმებს: a + person **WITH** + name of disability/disease; a + person **OF** + name of disability/disease.



ქართულენოვანი ემპირიული მასალა. ქართულ სინამდვილეში უარყოფითი თავაზიანობის მაგალითებს ვხვდებით შემდეგ დისკურსის ნიმუშებში:

სოციალურ ქსელში “Facebook” გავრცელდა ვიდეორგოლი „1 წუთი მანქანაზე“ (ინტერნეტ წყარო№118). აღნიშნულ ვიდეო რგოლში, ქ-ნი მირანდა ძიძიგური საუბრობს თავის შვილზე – ლილეზე. აღნიშნულ მონაკვეთში ვხვდებით სამედიცინო ტერმინის „დაუნის სინდრომი“ გამოყენებას.

„ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ცხოვრების მთავარი გზამკვლევი იქნებოდა ისეთი პატარა არსება, როგორც არის ლილე, ჩემი შვილი, დაბადებული დაუნის სინდრომით. მისი გენიალურობა იმაშია, რომ შეინარჩუნებს იმას, რასაც კარგავენ სხვები. იმიტომ რომ, ბუნებით კეთილია და ცხოვრება ვერასდროს ასწავლის იმას, რაც არ იქნება მისთვის ბუნებრივი. ლილე არ არის ჩვეულებრივი, იგი არაჩვეულებრივია.“

აღნიშნულ ვიდეორგოლთან დაკავშირებით, ვიდეორგოლთა საიტზე “YouTube” ვხვდებით კომენტარს, რომელშიც ავტორი წერს შემდეგს(ინტერნეტ წყარო№118):

„საოცარი შეგრძნებაა დედობა და ამაზე თბილი არაფერი შეიძლება იყოს... აბსოლუტურად ზუსტი ემოციაა და სხვაგვარად შეუძლებელია იყოს. იმედი მაქვს ძალიან მალე ლილე და ყველა სხვა ბავშვი, ადამიანი, თავიანთი "განსაკუთრებულობის" მიუხედავად, სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვრებს და ბედნიერად იგრძნობს თავს ჩვენს ქვეყანაში და უფრო მეტიც, განსაკუთრებული მზრუნველობით და სიყვარულით დაჯილდოვდებიან საზოგადოების, ოჯახის და სახელმწიფოს მხრიდან”.

მოყვანილ მაგალითში ვხვდებით ტერმინს „დაუნის სინდრომი“, რომლის გამოყენება უარყოფითი თავაზიანობის ნიშნია. აღნიშნულის საპირისპიროდ, ყოფით მეტყველებაში გამოყენებული სიტყვა „დაუნი“ პირდაპირობის სტრატეგიისა და სახის რღვევის მაჩვენებელია.

ზემომოყვანილი მაგალითის საპირისპიროდ ყურადღებას იპყრობს შემდეგი: 2014 წელს მომღერალი ნინა წკრიალაშვილი „ჩემი ცოლის დაქალებში“ განსახიერებული როლის გამო შვილმა სერიალის გმირთან გააიგივა და უთხრა: „შენ დოდოშკასავით დაუნი ხარ, ამიტომ თამაში არ გაგიჭირდაო“ (ინტერნეტ წყარო №120)“.

სწორედ ტერმინის „დაუნი“ გამოყენებას მოჰყვა დიდი აუიოტაჟი და ფეისბუქის გვერდზე არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილები“ მომღერლისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა. აღნიშნულ შემთხვევაში ყოფით მეტყველებაში გამოყენებული სიტყვა „დაუნი“ პირდაპირობის სტრატეგიისა და სახის რღვევის მაჩვენებელია.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: 2014 წლის, 25 ივნისს, გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით, „ასეთი“ ბავშვებისთვის სხვა სკვერი მოძებნეთ - შშმ ბავშვებისთვის დადგმული საქანელა ადგილობრივებმა ჩამოხსნეს“ (ინტერნეტ წყარო №119).

სტატიაში განსხვავებული უნარის მქონე ბავშვები სახელდებულია ჩვენებითი ნაცვალსახელით „ასეთი“. აღნიშნული ქმედებით, ნაკლის არმქონე ბავშვების მშობლები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდების მიმართ. ერთი მხრივ,

აღნიშნული ვერბალური ქმედება ეგზემიზაციის ნიშნია, თუმცა რეალურად ეს არის სახის რღვევის გამომწვევი აქტი.

წარმოდგენილმა მაგალითებმა ცხადყო, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი დადებითად და გულისყურით ეკიდება ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ადამიანებს. მათთვის სპეციალურად იქმნება წამახალისებელი შეჯიბრებანი, ეწყობა კონცერტები, ტარდება საქველმოქმედო აქციები იმისათვის, რომ მოხდეს ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა თანამედროვე საზოგადოებაში ინტეგრაცია!

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ინგლისურენოვან პოლიტიკურად კორექტულ დისკურსში ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სახელდება ერთობ დიდი სიფრთხილით ხდება, რადგან ადრესანტი ორიენტირებულია იმაზე, რომ ადგილი არ ჰქონდეს სახის მრღვეველ აქტს და მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ არ გამოიწვიოს ადრესატის გაღიზიანება და არ გაუღვივოს შეგრძნება, რომ ის განსხვავებულია, მას არ აქვს იგივე უნარ-შესაძლებლობები, რაც ფიზიკური/მენტალური უნარების მქონე ადამიანს.

ქართულ სინამდვილეში სრულიად განსხვავებული სურათი იხატება. ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ადამიანები ხშირ შემთხვევაში დაცინვის, აბუჩად აგდების, აგრესიისა და გაქილიკების მსხვერპლნი ხდებიან. სამწუხაროდ, არსებულ სურათს ისევ და ისევ საზოგადოების დაბალ თვითშეგნებამდე მიყვავართ. ქართული საზოგადოება არ არის მზად მიიღოს შეზღუდული უნარის მქონე ადამიანი და აღიაროს ის საზოგადოების ისეთივე თანაბარ წევრად, როგორც თვითონაა. ეს ყოველივე კი ვლინდება ენაში, რადგანაც სწორედ ენის საშუალებით ხდება მოსაუბრეებს შორის კომუნიკაციის დამყარება.

II თავის დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. პოლიტიკური კორექტულობა მჭიდრო კავშირშია თავაზიანობისა და სახის თეორიების სტრატეგიებთან. პოლიტიკურად კორექტული და არაკორექტული ტერმინების გამოყენება შეიძლება დავაკავშიროთ თავაზიანობის

ოთხივე ტიპთან: დადებით, უარყოფით, თავაზიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ სტრატეგიებთან.

2. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით გენდერული სფეროს განხილვამ სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით გეჩვენა, რომ ინგლისურ და ქართულ ენებსა და კულტურებში სახისა და თავაზიანობის ნორმების რეალიზაცია შესაძლოა განხორციელდეს ორი გზით: ექსპლიციტური ლინგვისტური საშუალებებით და/ან იმპლიციტურად - გარკვეული სტერეოტიპების გამოყენებით.

3. ცალკეული ლინგვისტური ერთეულის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება შეიძლება სხვადასხვა პრაგმატიკული დატვირთვის იყოს. ეს შეიძლება გამომდინარეობდეს კომუნიკანტთა შორის არსებული დისტანციით. აგრეთვე, საყუადლებოა რომ კონტექსტიდან გამომდინარე, ერთი და იგივე ლინგვისტური ერთეული შეიძლება აღვიქვათ, როგორც დადებითი ან უარყოფითი თავაზიანობის ნიშნი.

4. თავაზიანობის თეორიის თვალსაზრისით სექსუალურ უმცირესობათა დისკურსი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თანამედროვე საზოგადოებაში აღნიშნული სფეროს კვლევა დიდი აქტუალობით ხასიათდება. ლებტ წარმომადგენლებს ყველა ერში ვხვდებით და შესაბამისად, ყოველი ერი ცდილობს შეიმუშაოს ტერმინები აღნიშნული სოციალური ჯგუფის სახელდებისას.

ინგლისური და ქართულენოვანი ემპირიული მასალებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ენაში არსებობს სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაციის გამომხატველი როგორც ექსპლიციტური ასევე, იმპლიციტური საშუალებები. ორივე ენაში ვხვდებით სიძულვილის გამომხატველ პოლიტიკურად არაკორექტულ ტერმინებს აღნიშნული სოციალური ჯგუფის სახელდებისას.

ინგლისური და ქართულენოვანი მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ პოლიტიკურად კორექტული დისკურსის აღნიშნულ სფეროში ვლინდება თავაზიანობის ოთხივე სტრატეგია.

5. რასობრივი სფეროს ინგლისურენოვანი საკვლევი მასალის განხილვისას გამოვლინდა, რომ ინგლისურენოვანი სამყაროში ანტიდისკრიმინაციული მოძრაობა მიმართულია კონცეპტუალური მეტაფორის: „რასა არის ფერი“ აღმოფხვრისაკენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული

კანის ფერის შემცველი ტერმინის გამოყენება ეთნიკური ჯგუფის სახელდებისას განსხვავებულ დატვირთვას იღებს შიდა და გარე ჯგუფური კომუნიკაციისას.

6. ქართულენოვანი მასალის შემთხვევაში სახის რღვევა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ ცალკეული ეთნიკური ჯგუფისათვის მიუღებელმა ტერმინებმა, არამედ ასევე ნეგატიურ კონტექსტში გამოყენებულმა ცალკეული რასის აღმნიშვნელმა ნეიტრალურმა ტერმინებმა.

7. ინგლისურენოვან პოლიტიკურად კორექტულ დისკურსში ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სახელდება ერთობ დიდი სიფრთხილით ხდება, რადგან ადრესანტი ორიენტირებულია იმაზე, რომ ადგილი არ ჰქონდეს სახის მრღვეველ აქტს და მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ არ გამოიწვიოს ადრესატის გაღიზიანება და არ გაუღვივოს შეგრძნება, რომ ის განსხვავებულია, მას არ აქვს იგივე უნარ-შესაძლებლობები რაც ფიზიკური/მენტალური უნარების მქონე ადამიანს.

8. ქართულ სინამდვილეში სრულიად განსხვავებული სურათი იხატება. ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ადამიანები ხშირ შემთხვევაში დაცინვის, აბუჩად აგდების, აგრესიისა და გაქილიკების მსხვერპლნი ხდებიან. სამწუხაროდ, არსებულ სურათს ისევ და ისევ საზოგადოების დაბალ თვითშეგნებამდე მიყვავართ. ქართული საზოგადოება არ არის მზად მიიღოს შეზღუდული უნარის მქონე ადამიანი და აღიაროს ის საზოგადოების ისეთივე სრულფასოვან წევრად, როგორც თვითონაა. ეს ყოველივე კი ვლინდება ენაში, რადგანაც სწორედ ენის საშუალებით ხდება მოსაუბრეებს შორის კომუნიკაციის დამყარება.

საერთო დასკვნა

1. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ პოლიტიკური კორექტულობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ვერბალური ქცევა, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერი სახის ვერბალურ დისკრიმინაციას: რასობრივს, გენდერულს, რელიგიურს თუ პოლიტიკურს.

სპეციალური ლიტერატურისა და ინგლისურ და ქართულ ემპირიულ მასალაზე ჩატარებული კვლევების შედეგად გამოყოფილ იქნა პოლიტიკურად კორექტული დისკურის ოთხი ძირითადი სფერო: **გენდერული, სექსუალურ უმცირესობათა, რასობრივი, ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა** სფეროები, რომლებიც განსხვავებულად არის რეალიზებული თანამედროვე ინგლისურსა და ქართულში.

2. XIX-XX საუკუნეებში ფემინისტური მოძრაობის გაძლიერებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც აისახა ინგლისური ენის ლექსიკასა და გრამატიკაში.

ა) ინგლისურენოვანი ფემინისტები მოითხოვდნენ, რომ მდებარებითი სქესის მიმართვის ფორმაში არ ასახულიყო ქალის ოჯახური მდგომარეობა. შესაბამისად, ნაცვლად მიმართვისა “Mrs“ შეიქმნა მიმართვის ფორმა “Ms“.

ბ) ფემინისტ ქალთა პროტესტს იწვევდა ადამიანის ზოგადი მნიშვნელობის მატარებელი ბოლოსართი “-man“, რომელიც ძირითადად გვხვდებოდა პროფესიასთან დაკავშირებულ ტერმინებში. აღნიშნულის ჩანაცვლება მოხდა განზოგადებული მნიშვნელობის ტერმინით “person“, რომელშიც არ არის განსაზღვრული პიროვნების გენდერი.

გ) ზოგადი მნიშვნელობის მხ. რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელს “he“ ჩაენაცვლა გრამატიკული კონსტრუქციები, რომელთა მთავარი მიზანია ზოგადის მნიშვნელობით გამოყენებული “he“-ს თავიდან აცილება.

დ) მცდელობა, შემუშავებულიყო გენდერულად ნეიტრალური მესამე პირის მხ. რიცხვის ნაცვალსახელები “zhe“, “zher“, “zhim“, უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან ენისთვის „მიუღებელია“ ხელოვნური ჩარევა.

3. იმდენად რამდენადაც, ქართულ ენაში, ინგლისურისგან განსხვავებით, სქესი არ გამოიხატება გრამატიკულად, შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი არ დამდგარა ქართულ საზოგადოებაში.

თანამედროვე ქართულში ქალისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიხატება, ძირითადად, პროპოზიციათა დონეზე. ეს უკანასკნელი ეფუძნება კონცეპტუალურ მეტაფორაში ასახულ სტერეოტიპებს: მათში ქალი წარმოდგენლია სუსტი სქესის წარმომადგენლად, მამაკაცი კი, ძლიერი სქესის წარმომადგენლად. აღნიშნულ სტერეოტიპთა რღვევაც პროპოზიციათა დონეზე ხდება.

4. რასობრივ სფეროში გამოვლინდა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლთა პროტესტს იწვევს ინგლისურენოვან კულტურებში ტერმინი „რასა“, რომელიც ეფუძნება კონცეპტუალურ მეტაფორას - „რასა არის ფერი“. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ისეთი ინგლისური ტერმინების აღმოფხვრა, რომლებშიც წარმონეწილია პიროვნების კანის ფერი. ასევე რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლთა პროტესტს იწვევს ცალკეული ერების გაიგივება ცხოველთა გარკვეულ სახეობებთან და მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფელი ლექსიკური ერთეულების გამოყენება.

5. ქართულში რასობრივად დისკრიმინაციული ტერმინები გამოიხატება ცალკეული ერისათვის დამახასიათებელი საკუთარი სახელების განზოგადებული მნიშვნელობებით გამოყენებაში. განსხვავებული რელიგიის მქონე ინდივიდთა მიმართ ხშირია ლექსიკური ერთეულის „ურჯულო“ გამოყენება. შეურაცხყოფელ ლექსიკურ ერთეულად იქცევა, ხშირ შემთხვევაში, წოდებით ბრუნვაში ან უარყოფით კონტექსტში გამოყენებული ცალკეული ეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინი.

6. ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე პირთა პოლიტიკურად კორექტული სახელდება როგორც თანამედროვე ინგლისურში, ასევე ქართულ ენაში, ეფემიზაციის პრინციპს ეფუძნება.

7. საყურადღებოა, ინგლისურენოვან რეალობაში ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა აღსანიშნავად ფართოდ გამოყენებული ლექსიკური ერთეული “challenge” პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებში (ზმნიზედა + სიტყვა “challenge” წარსულის მიმღეობის ფორმით). პოლიტიკურად კორექტული ტერმინები ინდივიდის ნაკლს წარმოაჩენენ მხოლოდ

დადებითი კუთხით, შესაბამისად, აღნიშნული რთული სიტყვები გვევლინება დადებითი სემანტიკის მატარებლად.

8. საქართველოში ფიზიკური/მენტალურ ნაკლის მქონე ადამიანთა მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია; ერთი მხრივ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი გაგებით კვიდება განსხვავებული უნარის მქონე ადამიანებს. მეორე მხრივ, საზოგადოების სხვა ნაწილი ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდებს მარგინალურად მიიჩნევს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი უარს ამბობენ მათთან ურთიერთობაზე. ქართულ მედიაში ამის მრავალი მაგალითი არსებობს. საზოგადოების ეს ნაწილი ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ადამიანებს სახელითაც კი არ მოიხსენიებს. კერძოდ, მათ მიმართ გამოიყენებენ ნაცვალსახელებს: „ისეთი“, „ის“. ქართული საზოგადოებისთვის ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სახელდება ტაბუირებულია.

აგრეთვე ყურადღებას იპყრობს სამედიცინო ტერმინები: „დაუნი“, „დებილი“; მათი ყოფით მეტყველებაში გამოყენება ნეგატიური კონოტაციის მატარებელია.

9. ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სფეროშიც პოლიტიკურად კორექტული ტერმინების წარმოება ეფუძნება ევფემიზაციის პრინციპს. თანამედროვე ინგლისურენოვანი და ქართული საზოგადოებები მისწრაფიან აღმოფხვრან ის ლინგვისტურად შეურაცხყოფელი ტერმინები, რომლებიც ახდენენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, კერძოდ: სოციალურად დაუცველი ინდივიდების, არაპრესტიჟული პროფესიის ადამიანების სახელდებას.

10. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პოლიტიკური კორექტულობა მჭიდრო კავშირშია თავაზიანობისა და სახის თეორიების სტრატეგიებთან. პოლიტიკურად კორექტული და არაკორექტული ტერმინების გამოყენება შეიძლება დავაკავშიროთ თავაზიანობის ოთხივე ტიპთან: დადებით, უარყოფით, თავაზიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ სტრატეგიებთან.

11. გენდერული სფეროს განხილვამ სახისა და თავაზიანობის თეორიების თვალსაზრისით გვიჩვენა, რომ ინგლისურ და ქართულ ენებსა და კულტურებში სახისა და თავაზიანობის ნორმების რეალიზაცია შესაძლოა

განხორციელდეს, ერთი მხრივ, ექსპლიციტური ლინგვისტური საშუალებებით და/ან მეორე მხრივ, იმპლიციტურად - გარკვეული სტერეოტიპების გამოყენებით.

12. ცალკეული ლინგვისტური ერთეულის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება შეიძლება სხვადასხვა პრაგმატიკული დატვირთვის იყოს. ეს შეიძლება გამომდინარეობდეს კომუნიკანტთა შორის არსებული დისტანციით. აგრეთვე, საყუადლებოა, რომ კონტექსტიდან გამომდინარე ერთი და იგივე ლინგვისტური ერთეული შეიძლება აღვიქვათ, როგორც დადებითი ან უარყოფითი თავაზიანობის ნიშნად.

13. ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ ლგბტ წარმომადგენლებს ყველა ერში ვხვდებით და შესაბამისად, ყოველი ერი ცდილობს შეიმუშაოს ტერმინები აღნიშნული სოციალური ჯგუფის სახელდებისას. აგრეთვე, გამოიკვეთა, რომ თავაზიანობის თეორიის თვალსაზრისით განხილული სექსუალურ უმცირესობათა დისკურსი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და თანამედროვე საზოგადოებაში აღნიშნული სფეროს კვლევა დიდი აქტუალობით ხასიათდება.

ინგლისური და ქართული ემპირიული მასალებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ენაში არსებობს სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაციის გამომხატველი როგორც ექსპლიციტური ასევე, იმპლიციტური საშუალებები. ორივე ენაში ვხვდებით სიძულვილის გამომხატველ პოლიტიკურად არაკორექტულ ტერმინებს აღნიშნული სოციალური ჯგუფის სახელდებისას.

ინგლისური და ქართულენოვანი მასალის კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ პოლიტიკურად კორექტული დისკურსის აღნიშნულ სფეროში ვლინდება თავაზიანობის ოთხივე სტრატეგია.

14. რასობრივი სფეროს ინგლისურენოვანი საკვლევი მასალის განხილვისას გამოვლინდა, რომ ინგლისურენოვან სამყაროში ანტიდისკრიმინაციული მოძრაობა მიმართულია კონცეპტუალური მეტაფორის- „რასა არის ფერი“ აღმოფხვრისაკენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული კანის ფერის შემცველი ტერმინის გამოყენება ეთნიკური ჯგუფის სახელდებისას განსხვავებულ დატვირთვას იღებს შიდა და გარე ჯგუფური კომუნიკაციისას.

14. ქართულენოვანი მასალის შემთხვევაში სახის რღვევა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ ცალკეული ეთნიკური ჯგუფისათვის მიუღებელმა ტერმინებმა, არამედ ასევე ნეგატიურ კონტექსტში გამოყენებულმა ცალკეული რასის აღმნიშვნელმა ნეიტრალურმა ტერმინებმა.

15. ინგლისურენოვან პოლიტიკურად კორექტულ დისკურსში ერთობ დიდი სიფრთხილით ხდება ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სახელდება. ადრესანტი ცდილობს ადგილი არ ჰქონდეს სახის მრღვეველ აქტს და მის მიერ წარმოთქმული სიტყვა არ იწვევდეს ადრესატის გაღიზიანებასა და ნეგატიური შეგრძნებების გაღვივებას.

16. ინგლისურისგან განსხვავებით, ქართულ სინამდვილეში ფიზიკური/მენტალური ნაკლის მქონე ადამიანები ხშირ შემთხვევაში დაცინვის, აბუჩად აგდების, აგრესიისა და გაქილიკების მსხვერპლნი ხდებიან, რაც საზოგადოების დაბალი თვითშეგნების მაჩვენებელია. ქართული საზოგადოება არ არის მზად მიიღოს განსხვავებული უნარის მქონე ადამიანი და აღიაროს ის საზოგადოების ისეთივე სრულფასოვან წევრად, როგორც თვითონაა. შესაბამისად, ეს ყოველივე აისახება ენაში, რადგანაც სწორედ ენა არის კომუნიკაციის საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბრეგაძე, ლ. „ქართული ქარგონის ლექსიკონი“, თბილისი : ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005.

2. გამყრელიძე, თ., ი., შადური, ნ., შენგელია თეორიული ენათმეცნიერების კურსი (მეორე გამოცემა), თბილისი :თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

3. ლექციების კრებული, „ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში?“ თბილისი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2013

4. მელაშვილი, თ. „კატო მიქელაძე ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“, თბილისი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2013.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, ბათუმი, გამომცემლობა ფავორიტი, 2009.

6. საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. ბათუმი, გამომცემლობა მომზადდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, 2011.

7. სონღულაშვილი, ჯ. ქართული ანდაზები და გამოცანები, „არმაზი“-89, თბილისი, 1991.

